# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 მაისი **ხუთშაბათი** 2012 №109 (13 715) ფასი 80 თეთრი




## ვიქტორ სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

9

# ატლეტიკოს ასი და თასი



8

# დღეს ისლანდიაა




2



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ფინალისაკენ

სუპერლიგის ნახევარფინალები

12



## ცეცხლი აინთო

ოლიმპიური ჩირაღდანი ლონდონისკენ დაიძრა



## ხოტენაშვილი საქართველოს ჩემპიონია

გელა გლიცსა და სწრაფ ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზეც ითამაშებს

10

## ქართული ფეხბურთი

U17. ევროპის ჩემპიონატი



საქართველოს ნაკრებს დღეს ისლანდიასთან პრინციპული მატჩი ელის

# ქართულ-ისლანდიური იმედები

## დღეს საქართველოსა და გერმანიას უნდა ვუქომაგოთ

დღეს, თბილისის დროით 21 საათსა და 30 წუთზე, ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩები გაიმართება და გაირკვევა, შეძლებს თუ არა საქართველოს ნაკრები ნახევარფინალში გასვლას. შეგახსენებთ, ჩვენი გუნდის ამოცანა ასეთია – უნდა დაამარცხოს ისლანდია და ამავდროულად, პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში უმოტივაციოდ დარჩენილმა და ჯგუფში პირველი ადგილის გამნაღდებელმა გერმანიამ ჩვენს უშუალო კონკურენტ საფრანგეთთან არ უნდა წააგოს. როგორც ხედავთ, სიტუაცია არცთუ იოლია, მაგრამ უიმედოც არ ეთქმის.

ისლანდია-საქართველო დომჟალეს "სპორტნი პარკზე" გაიმართება და მისი ხილვა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ტელეეთერით იქნება შესაძლებელი. მატჩს ფინელი არბიტრი **მატიას გესტრანიუსი** განსჯის.

მეტოქე ხელწამოსაკრავი რომ არ არის, ეს მხოლოდ შესარჩევ ტურნირში კი არა, სლოვენიაში მიმდინარე ევროპირველობის საწყის ორ მატჩშიც გამოჩნდა, როცა კუნძულელებმა ჯერ საფრანგეთს ამოუქაჩეს ორბურთიანი ჩამორჩენა და შეხვედრა ფრედ, 2:2 დაასრულეს, შემდეგ კი გერმანიასთან მინიმალურად, 0:1 დამარცხდნენ.

ცნობისთვის, საფრანგეთის ნაკრების კარში გოლები გუნდის კაპიტანმა, ცენტრალურმა მცველმა **ჰიორტურ ჰერმანსონმა** და შეცვლაზე შესულმა **გუნლაგურ ბირგსონმა** გაიტანეს. გერმანიასთან შეხვედრისთვის ისლანდიელთა ძირითად შემადგენლობაში ერთადერთი ცვლილება განხორციელდა და პირველივე წუთიდან თამაშის უფლება სწორედ ბირგსონმა მიიღო.

ცუდია, რომ ქართველებთან დაპირისპირებას ისლანდიელთაგან დისკვალიფიკაციის გამო არავინ გამოტოვებს, მაგრამ, სამაგიეროდ, საკადრო პრობლემები არც ჩვენს ნაკრებს აწუხებს და ქართველი 17-წლამდელებიც ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ.

### საქართველოსთან მატჩი ისლანდიისთვისაც ფინალია

მოახლოებული მატჩის წინ უეფას ოფიციალური ვებგვერდი **ჰიორტურ ჰერმანსონს** ესაუბრა. ისლანდიის ნაკრების კაპიტანს იმედი აქვს, რომ მისი გუნდი ევროპას მორიგ სენსაციას შესთავაზებს და ნახევარფინალის საგზურს დაეუფლება. მანვე განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის დღევანდელი მატჩი ფინალის ტოლფასია: *"საქართველოს ნაკრებთან გამარჯვება ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ეს ნახევარფინალის გარანტიას არ გვაძლევს, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ჯგუფის მეორე მატჩში ჩვენთვის ხელსაყრელი შედეგი დაფიქსირდება. მეც და ჩემს თანაგუნდელებსაც ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს ფინალისთვის ვემზადებით და რეალურად, ამ შეხვედრას მართლაც აქვს ამხელა მნიშვნელობა".*

ჰერმანსონმა საფრანგეთის ნაკრების კარში გატანილი გოლიც გაიხსენა: *„რა თქმა უნდა, ეს ჩემს კარიერაში ჯერჯერობით, უმნიშვნელოვანესი გოლია. თუმცა, ამასთანავე, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს შეხვედრა განსაკუთრებულად მაღალ დონეზე ჩავატარე. ნაკრებისთვის ყველა მატჩში ერთნაირად ვიხარჯები და ყოველთვის ვცდილობ, გუნდისთვის მაქსიმალურად სასარგებლო ვიყო".*

ისლანდიელთა კაპიტანმა აღნიშნა, რომ გერმანიასთან დაპირისპირებამ მის გუნდს დიდი ენერგია წაართვა, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსთან ბრძოლის წინ ძალების აღდგენას მოასწრებენ. ბოლოს კი დასძინა, სლოვენიაში ყოფნა ძალიან მოგვწონს და იმედი გვაქვს, აქ კიდევ უფრო დიდი ხნით დარჩენის საშუალება მოგვეცემაო.

### განწყობა და ერთსულოვნება

უეფას საიტის რესპონდენტი საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ნიკა ჭანტურიაც** იყო. ვებგვერდი აღნიშნავს, რომ საფრანგეთთან ფრედ დასრულებულ მატჩში ქართულ დაცვას დიდი ჯაფა დაადგა, ერთ-ერთი გამორჩეული კი ქართველ 17-წლამდელთა კაპიტანი, ცენტრალური მცველი ჭანტურია იყო.

*"ძალიან მძიმე შეხვედრა გამოვიდა, რაც მოსალოდნელიც იყო. თუმცა მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ბევრი ვიბრძოლეთ და ჩვენ მიერ მიღწეული შედეგით გულშემატკივრებს კიდევ ერთი სიურპრიზი შევთავაზეთ. მართალია, გარკვეული შეცდომებიც დავუშვით, მაგრამ მთლიანობაში, გამართული და ძალიან კარგი დაცვითი ფეხბურთი ვაჩვენეთ. საქართველოს ნაკრები უპირველესად, გუნდური თამაშით გამოირჩევა და გამონაკლისი არც ეს შემთხვევა ყოფილა"*, - ამბობს ჭანტურია.

მან მეტოქეც შეაქო: *"საფრანგეთის ნაკრები ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, ვის წინააღმდეგაც ოდესმე მითამაშია. ფრანგებს ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკური, სწრაფი და ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელები ჰყავთ. კარგი იქნებოდა, მათთვის მოგვეგო. ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ თავზე ვიქნებოდით დამოკიდებულნი, მაგრამ წარსულს ველარ შევცვლით. ნახევარფინალში გასვლის შანსი მაინც გვაქვს და რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ".*

ჭანტურიამ დასძინა, რომ საქართველოს ნაკრებში ერთიანობა სუფევს და გუნდში ყველას დიდი იმედი აქვს, რომ ჯგუფური ეტაპი დაუძლეველი არ დარჩება.

*"ყველა მოახლოებულ მატჩზე ვფიქრობთ, მაგრამ ამასთანავე, საჭიროა, ფსიქიკა ზედმეტად არ გადაგვეტვირთოს და ამიტომ განტვირთვისთვის ქალაქის ქუჩებში ვსეირნობთ და ვცდილობთ, ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას დასვენებულები შევხვდეთ"*, - თქვა ჩვენმა კაპიტანმა.

■ ■ ■

დასასრულ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობას და იმედი დავიტოვოთ, რომ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის აქტიური გაშუქების საფუძველი უახლოეს დღეებშიც გვექნება.

**A ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. საფრანგეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 3. ისლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. საქართველო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

**21:30 დომჟალე სპორტნი პარკი**
**ისლანდია-საქართველო**

**21:30 ლიუბლიანა სტოჟიცე**
**გერმანია-საფრანგეთი**

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 4. სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

**19:30 მარიბორი ლიუდსკი**
**ბელგია-სლოვენია**

**19:30 ლენდავა სპორტნი პარკი**
**ჰოლანდია-პოლონეთი**

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპეციალისტთა აზრით

# 17-წლამდელების პლუს-მინუსები

დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფში ბოლო მატჩს ითამაშებს. თქმა რად უნდა, ჩვენი ჭაბუკების სლოვენიაში გამოსვლა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მოვლენაა და საინტერესოა, როგორ აფასებენ ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი გუნდის თამაშს სპეციალისტები.

ფეხბურთი იმადაც კარგია, რომ კამათის საშუალებას იძლევა და ბევრი ისეთი ნიუანსი ტივტივდება, აზრთა სხვადასხვაობას რომ იწვევს.

ხშირად სპეციალისტის აზრი სუბიექტურია ხოლმე, თუმცა ყურადსაღებიც უნდა იყოს. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება პოლემიკა 17-წლამდელებზე. ალბათ, არავის არ უნდა ეხამუშებოდეს განსხვავებული აზრის მოსმენა...



**ოთარ კორძალიძე**
საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი

- სასიამოვნოდ გამაკვირვა ჩვენი გუნდის თამაშმა გერმანიასთან პირველ ტაიმში. არ ველოდი, ჩვენი 17-წლამდელები ასე კარგად თუ წარმოაჩენდნენ თავს. ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრებმა ესპანეთთან, ინგლისთან და უკრაინასთან წარმატებით იასპარეზა, თუმცა მიმაჩნია, რომ გერმანიასთან ჩატარებული პირველი ტაიმი ამ გუნდის ჯერჯერობით საუკეთესო თამაში იყო. გერმანიასთან არ უნდა წაგვეგო...

**- როგორ ფიქრობთ, ყველაზე უფრო რა ფაქტორმა განაპირობა გერმანიასთან წაგება?**

- ვფიქრობ, ეს არასათანადო გამოცდილების ბრალი იყო. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ასეთი რანგის ტურნირზე თამაში ძალიან იშვიათად უწევს, გერმანიას კი ბევრად უფრო დიდი გამოცდილება აქვს და სწორედ ამით გვაჯობეს.

**- გერმანიის ნაკრებმა გამარჯვების გოლი მოხდენილ, მრავალსვლიან კომბინაციას მიაყოლა, შეტევა დაცვიდან დაიწყო, სწრაფად გადავიდა საკუთარი მოედნიდან მეტოქის საჯარიმომდე...**

- როგორც უნდა იყოს, გოლი ჩვენი დაცვის შეცდომას მოჰყვა, საგოლე კომბინაციას ჩვენმა გუნდმაც შეუწყო ხელი, გერმანიის ნაკრები კი ასეთ რამეს არავის არ აპატიებს.

**- ისლანდიასთან მატჩზე როგორია თქვენი პროგნოზი?**

- დარწმუნებული ვარ, რომ მოვიგებთ.

**- რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში? ასეთი რანგის ტურნირზე ხომ ყველაფერი ხელისგულზე დადებულივით ჩანს...**

- იმ ნაკრებში, რომელსაც ახლა მე ვწვრთნი, არიან გამორჩეული ფეხბურთელები: გიორგი პარუნაშვილი, გიორგი ჭანტურია, ვაკო ყაზაიშვილი...საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში კი ასეთნაირად გამოკვეთილი ფეხბურთელები არ ჩანან, სამაგიეროდ, შეკრული გუნდია, რომელსაც მწვრთნელის ხელი ეტყობა.



**ზაურ სვანაძე**
საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი

- გერმანიასთან გაშვებულ გოლზე ამას გეტყვით: დარწმუნებული ვარ, ასეთ კომბინაციებს მწვრთნელები ჩვენს ჭაბუკებთანაც ამუშავებენ. საქართველოში არის რამდენიმე ისეთი მწვრთნელი, რამელიც ამაზე მუშაობს: ბურთის დაცვიდან ასეთნაირად ამოტანაზე, გამოთავისუფლებულ ზონაში სწრაფად შესვლაზე, შეტევის დინამიკურად განვითარებაზე.

**- ჩვენი ნაკრების საფრანგეთთან მატჩზე რას იტყოდით? რა დააკლდათ ქართველ ჭაბუკებს?**

- გერმანიასთანაც და საფრანგეთთანაც მაისურაძის გაწვრთნილმა გუნდმა უკეთესად ითამაშა, ვიდრე თბილისში გამართულ ელიტრაუნდის შეხვედრებში. ფაქტია, რომ მწვრთნელმა გუნდი ჩინებულად მოამზადა. რაც შეეხება შედეგს, ვნახოთ, ჯერ კიდევ არის შანსი...

**- მიგაჩნიათ, რომ ისლანდიასთან მატჩში საქართველო ფავორიტია?**

- ისლანდიასთან მოგება გვმართებს, თუმცა ფაქტია, რომ ამ გუნდთან თამაში გერმანიასაც გაუჭირდა და საფრანგეთსაც. ვფიქრობ, ისლანდიასთან იოლი მატჩი არ ელის მაისურაძის გუნდს.

**- რაშია საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ძალა? რა არის ამ გუნდის კოზირი?**

- გუნდური თამაში, მონდომება და სწორი ტაქტიკა.

**- საფრანგეთის ნაკრები უფრო მოგეწონათ, თუ გერმანიის?**

- ფრანგმა ჭაბუკებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს, უფრო ტექნიკური გუნდია, მეტი ინდივიდუალისტიც ჰყავს, ვიდრე გერმანიას.

>> მე-3 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტთა აზრით

# 17-წლამდელების პლუს-მინუსი



**გიორგი კიკნაძე**
საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, უმაღლესი ლიგის არაერთ გუნდში უმუშავია მთავარ მწვრთნელად

<< მე-2 გვერდიდან

**- რა დაგანახვათ ჩვენი 17-წლამდ-ლების მატჩებმა გერმანიასთან და საფრანგეთთან?**

- ჯერ კიდევ ელიტრაუნდის შეხვედრებში გამოჩნდა და გერმანია-საფრანგეთთანაც იგივე განმეორდა – ჩვენი ნაკრები პირველ ტაიმში სხვა გუნდია, მეორეში კი...

**- რას გულისხმობთ?**

- მეორე ტაიმში თამაშს ვთმობთ, ანუ ზუსტად იმ მომენტში, როცა გუნდმა უნდა მოუმატოს, მეტოქე კი პირიქით, ამას ახერხებს. კონდიციების მხრივ გვაქვს პრობლემები. ჩვენი ჭაბუკები მართლაც ძალიან მონდომებულები არიან, ცდილობენ, სწორად ითამაშონ, ოღონდაც სასურველია, რომ ორივე ტაიმი ერთ დონეზე ჩაატარონ. 60 წუთის შემდეგ გუნდი აშკარად დაღლილი ჩანს...

**- რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

- საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ბევრია თბილისის "ლოკომოტივიდან" მისული ფეხბურთელი. ამ ბიჭებს კარგად ვიცნობ, "ლოკომოტივში" ყოფნისას მათთან მომიწია მუშაობამ. ჭაბუკთა ლიგაში ეს ფეხბურთელები მეტოქეებს 5:0-ს და 6:0-ს უგებდნენ, ანუ კონკურენციას ვერ გრძნობდნენ. მთელი სეზონი რომ ასე გაქვს საქმე და მერე გერმანიას და საფრანგეთს ეთამაშები, ყოველივე ეს აუცილებლად წამოყოფს თავს. ერთი სიტყვით, თუ სერიოზული წარმატებები გვინდა, გლობალურად უნდა მივუდგეთ საქმეს.

**- რომელი ნაკრები უფრო მოგეწონათ – გერმანია თუ საფრანგეთი?**

- ფრანგები უფრო გუნდურად თამაშობენ, ძალისმიერი კოლექტივია, ფიზიკურად კარგად მომზადებული.

- გერმანიის ნაკრებში განსაკუთრებით ორი ფეხბურთელი მომეწონა და საერთოდაც, საფრანგეთზე უკეთესი ინდივიდუალისტები მოეპოვებათ. გერმანელებს ჰყავთ ისეთი მოთამაშეები, ნებისმიერ წამს რომ შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა.

**- ასეთ მოთამაშეებს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ვერ ხედავთ?**

- კარგი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ ისეთი ვერავინ ვნახე, მოედნის ცენტრში ბურთს რომ დაიჭერს და ისეთ პასს გააკეთებს, რომელსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. კარგი თავდამსხმელები არიან ჯიქია, დარციმელია...თუმცა არც ისეთი ფორვარდი გვყავს, საჭირო მომენტში რომ შეატრიალებს თამაშს. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები უდავოდ ბრძოლისუნარიანი გუნდია და ამის გაკეთება მაისურაძემ შეძლო. სერიოზულ დონეზე მატჩის შედეგს კი მაინც სათამაშო კლასი განაპირობებს. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდში ინგლისს, ესპანეთსა და უკრაინას აჯობა და ეს ძალიან დასაფასებელია. ჩვენი გუნდის წარმატებას სულაც არ ვაკნინებ, უბრალოდ იმის თქმა მსურს, რომ ამ ასაკში ყველა მეტოქესთან არის მოგების შანსი. მთავარია, მერე რა მოხდება, როგორ განვითარდება ახალგაზრდა ფეხბურთელი...

**დავით თავართქილაძე**

ტორპედო

# ქუთაისელები ფეიქრიშვილს დაემშვიდობნენ

ქუთაისის "ტორპედომ" **გიორგი ფეიქრიშვილთან** კონტრაქტი გაწყვიტა. 29 წლის ნახევარმცველმა კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. ფეიქრიშვილმა "ტორპედოს" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ბოლნისის "სიონიდან" მიაშურა და **გია გეგუჩაძის** გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ოფიციალური მატჩი ჩაატარა, ბოლო პერიოდში კი "ტორპედოს" 18-კაციან განაცხადში საერთოდ აღარ გამოჩენილა.

ფეიქრიშვილი უკვე მესამე ყოფილი სიონელია, რომელთანაც "ტორპედომ" თანამშრომლობა ვადაზე ადრე გაწყვიტა. შეგახსენებთ, **გიორგი რეხვიაშვილსა** და **გიორგი ქუცურუაზე** "ტორპედომ" უარი საკმაოდ უცნაურ ვითარებაში თქვა – მათ ჯერ კონტრაქტი გაუფორმა და უცხოურ შეკრებაზე წაიყვანა, შემდეგ კი ამ დუეტზე ჩემპიონატის განახლებამდე თქვა უარი და რეხვიაშვილი და ქუცურუა "სიონში" დაბრუნდნენ.

ჯერჯერობით, უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას ფეიქრიშვილი. ბუნებრივია, მიმდინარე სეზონში იგი სხვა კლუბში ველარ გადავა და დროებით დასვენება მოუწევს. კარიერის განმავლობაში მას "სიონის" გარდა, "ვიტ ჯორჯიაში", "ოლიმპში", თბილისის "დინამოსა" და ყაზახურ "ატირაუში" უთამაშია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სკ დინამო თბილისი 1925

შერჩევა დინამოს საფეხბურთო აკადემიაში

დინამო არენა
13 მაისი 2012 წელი

2001-2002-2003-2004 წლებში დაბადებული ბავშვები

შერჩევის დრო

2003-2004 რეგისტრაცია 9:30 დინამო არენაზე. შერჩევა 10:00 – 13:00
2001-2002 რეგისტრაცია 14:30 დინამო არენაზე. შერჩევა 15:00 – 18:00

შერჩევა იწარმოებს "დინამო არენაზე"
ანკეტის შევსება–ჩაბარება შესაძლებელია დილმის საწვრთნელ ბაზაზე, "დინამო არენაზე".
ასევე შესაძლებელია ანკეტა გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით info@fcdinamo.ge
ანკეტის ელექტრონული ვერსია: http://fcdinamo.ge/akademia
განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2012 წლის 11 მაისი
დინამო თბილისის საფეხბურთო აკადემიაში სწავლება უფასოა

სიტუაცია

# რომელ ნაკრებში იმუშავებს დევდარიანი?



გიორგი დევდარიანი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, **გიორგი დევდარიანი** მალე დაუბრუნდება სამწვრთნელო სარბიელს. შევიტყვეთ, რომ დევდარიანს შეხვედრა ჰქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, საუბრის შემდეგ გამოიკვეთა თანამშრომლობის პერსპექტივაც – სავარაუდოდ, დევდარიანი ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებში იმუშავებს.

დევდარიანი ბოლოს თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი გახლდათ, მის ხელში გუნდს წაუგებელი სერია ჰქონდა, თუმცა თამაშების მოგება უჭირდა და ევროლიგაზე მოხვედრის შანსიც შეიმცირა.

დევდარიანმა შუა გზაზე ჩაიბარა "დინამო" და ცხადია, ამან კიდევ უფრო გაურთულა ისედაც ძნელი სამუშაოს შესრულება. დევდარიანი მანამდე "დინამოს" მეორე გუნდს ხელმძღვანელობდა, პირველ გუნდს მაშინ ჩაუდგა სათავეში, როცა საშუასეზონო შეკრების დროს "დინამოს" ესპანელი დამრიგებელი **ალექს გარსია** დაითხოვეს.

ამ სპეციალისტს უკვე აქვს ასაკობრივ ნაკრებებში მუშაობის გამოცდილება: 2009-10 წლებში 17-წლამდელთა ნაკრებს თავკაცობდა, 2011-12 წლებში კი 19-წლამდელებს.

ამ დროისთვის საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებს ჰყავს მთავარი მწვრთნელი და ჯერჯერობით უცნობია, ზუსტად სად მოუწევს მუშაობა დევდარიანს. ისიცაა, რომ ფედერაცია ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელთა როტაციას მიმართავს და შესაძლოა, დევდარიანისთვისაც გამოჩნდეს საქმე.

"დინამომდე" დევდარიანი "საბურთალოში" და უმაღლესი ლიგის "თბილისში" მუშაობდა, სადაც წარმოაჩინა კიდეც თავი საინტერესო სპეციალისტად.

**დავით თავართქილაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# რატი წინამძღვრიშვილი ზესტაფონიდან მიდის



რატი წინამძღვრიშვილი

24 წლის **რატი წინამძღვრიშვილი**, რომელიც იმერულ კლუბში 2008 წლიდან გამოდის, "ლელოს"ინფორმაციით, სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს.

ამ ბოლო დროს წინამძღვრიშვილი "ზესტაფონის" 18-კაციან განაცხადში ვერ ხვდებოდა, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ "ზესტაფონიდან" წასვლის სურვილი თავად ფეხბურთელსაც გაუჩნდა. ტრავმებისგან დატანჯულმა ფორვარდმა ოპტიმალური ფორმის დაბრუნება ვერ შეძლო, რის გამოც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად, "ლელო" "ზესტაფონის" პრესსამსახურის ხელმძღვანელ **სერგო ფუტკარაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამგვარ საკითხებზე საუბარი ამ მომენტში მიზანშეწონილი არ არის.

*"სეზონი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ამიტომ გუნდიდან ვინ წავა და ვინ მოვა, ამაზე საუბარი ახლა ნაადრევია. ამ საკითხზე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ვილაპარაკებთ".*

"ლელო" ფეხბურთელსაც ესაუბრა, რომელმაც დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს:

- გუნდთან ერთი წელი კონტრაქტი კიდევ მაქვს, მაგრამ დიდი ალბათობით, სეზონის ბოლოს "ზესტაფონიდან" წამოვალ.

**- რაიმე კონკრეტული ვარიანტი უკვე ხომ არ გამოჩნდა?**

- არა, ვარიანტებზე ჯერ არაფერი ვიცი, იმის გარდა, რომ გუნდს დავტოვებ. თუმცა, ჯერჯერობით ზესტაფონში ვარ და გუნდთან ერთად ვვარჯიშობ.

**მაგდა კლდიაშვილი**

ტრავმის შემდეგ

## გიორგი ხიდეშელი:
# ამ განსაცდელსაც უნდა გავუძლო

**გიორგი ხიდეშელი "ზესტაფონისა" და თბილისის "დინამოს" შეხვედრის 78-ე წუთზე დაშავდა. 24 წლის ცენტრალური მცველი უმძიმეს შოკში იყო –შარშან, კიშინიოვში "დაჩიასთან" განმეორებით მატჩში ტრავმირებული ფეხბურთელი მოედანს ხომ რვათვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.**



გიორგი ხიდეშელი

ხიდეშელს ჯვარედინი იოგები ჰქონდა დაზიანებული და ოპერაცია დასჭირდა. ახლაც ეგონა, რომ მძიმედ დაშავდა და იძულებითი დასვენება მოუწევდა. მატჩის შემდეგ გიორგის ექიმებმა უთხრეს, რომ საშიში არაფერი იყო, თუმცა, დიაგნოზის სურათი ბელგიაში მკურნალ ექიმს, **მარტენს** გაუგზავნა და მოულოდნელმა პასუხმა გული დაუმძიმა – საქმე ბევრად უფრო რთულად ყოფილა.

*"სამწუხაროდ, ტრავმა სერიოზულია: ექიმ მარტენსის თქმით, მენისკი საოპერაციოა, მარჯვენა იოგი კი - დაზიანებული და მინიმუმ 3-4 თვე ვერ ვითამაშებ. ამჟამად მარტენსი ყატარშია და შევთანხმდით, რომ 26 მაისს ბელგიაში ჩავალ და ოპერაციას იქ გავიკეთებ... დავითარსე, შოკში ვარ, აღარც ფიქრის თავი მაქვს და აღარც ვიცი, ამ 3-4 თვის შემდეგ რა მოხდება. მაგრამ, სხვა გზა არაა, ამ განსაცდელსაც უნდა გავუძლო"* - ამბობს ხიდეშელი.

გიორგი "ზესტაფონს" ძალიან დააკლდება, რადგან ცენტრალური მცველის პოზიციაზე გუნდს ისედაც სერიოზული პრობლემა შეექმნა: გამოცდილი **გიორგი ონიანი** კარიერას გორის "დილაში" გააგრძელებს და ზესტაფონელებს სასწრაფოდ დასჭირდებათ საკვანძო პოზიციაზე მოთამაშეების შერჩევა.

იმერული კლუბის საფიქრალი ამით არ ამოიწურება: კონტრაქტი უმთავრდება და წასვლა სურს საყრდენ ნახევარმცველს, გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **შოთა გრიგალაშვილს** – 25 წლის ფეხბურთელს ვლადიკავკაზის "ალანია" და თბილისის "დინამო" იწვევენ. თუმცა, ძნელი სათქმელია, დათანხმდება გრიგალაშვილი საქართველოში დარჩენას და "ზესტაფონის" კონკურენტში გადასვლას?

**მერაბ მამულაშვილი**

სოვეტსკი სპორტი ქართველ მენეჯერებზე

# ვინ არიან ვლადიმერ მაშია და მამუკა ჯულელი?

**მსოფლიო** ფეხბურთი გვარიან სიბინძურეშია გასვრილი და გამონაკლისი არც რუსეთია. მაგრამ ბოლო დროს, რუსული მედია ქართველ მენეჯერს მამუკა ჯულელს ისე გადაეკიდა და ისეთ სურათს ხატავს, თითქოს, რუსეთში წყალს მხოლოდ ქართველები ამღვრევენ.

"სოვეტსკი სპორტმა" ინტერვიუ ჩამოართვა იმ ადამიანებს, რომლებიც რუსულ საფეხბურთო სამყაროში ცნობილ ორ ქართველ მენეჯერს, მამუკა ჯულელსა და ვლადიმერ მაშიას იცნობენ. ჩვენი გულშემატკივარი ჯულელს უფრო იცნობს, მაშიას კი "მორდოვიასთან" აკავშირებენ.

გთავაზობთ წერილის შემოკლებულ ვარიანტს.



მამუკა ჯულელი

"გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის ექსპერტთა საბჭოს ჯულელისა და მაშიას ახლოს გაცნობა სურთ, რაშიც ჩინოვნიკებს დავეხმარებით.

... ჯულელი არის კაცი, რომელიც პირველ დივიზიონში საქმეებს აგვარებს. პრემიერლიგაში "ანჟისა" და "ვოლგას" გადასვლას მას მიაწერენ... მამუკას აგენტობა წლების წინ მოეწონა და რუსულ ბაზარზე დაიწყო საქმიანობა. 2009 წელს "ანჟის" სპორტული დირექტორი გახდა და იქ რამდენიმე თავისივე კლიენტი, ქართველი ფეხბურთელები მიიყვანა. შემოდგომაზე მახაჩყალელები პრემიერლიგაში გადავიდნენ.

*ამით მამუკას ამბიცია არ შემცირებულა. მას ყველგან და ყველაფერში სურდა გამარჯვება, ამხანაგურ შეხვედრებშიც კი. ჩეხურ "სლავიასთან" შეხვედრისას დონეცკელმა მსაჯმა ჟუკოვმა ისე გააბრაზა, რომ მკერდში ხელი დაარტყა.*

*"ვოლგაში" ომარ თეთრაძესთან ერთად გადავიდა და თავისი კლიენტებიც წაიყვანა. თუმცა, იქ ოფიციალური პოსტი არ ჰქონია. თანამშრომლობა დასრულდა და მისი კლიენტების უმრავლესობა კლუბიდან წავიდა, უმთავრესად, "კრასნოდარში". იქ აღმოჩნდა მეკარე ნუკრი რევიშვილიც, რომელმაც ასე დაახასიათა – მამუკა ფეხბურთელებისთვის არა მხოლოდ აგენტი, არამედ ახლო მეგობარიაო.*

*ეს აზრი გამომდინარეობს იქიდან, რომ მოთამაშეებთან მაქსიმალურად პატიოსანია, მათ არასოდეს ატყუებს და ისინიც ყოველთვის ეყრდნობიან. ცოტაა მაგალითი, მენეჯერი ფეხბურთელს ბევრს რომ ჰპირდება და არაფერს აკეთებს?*

*ადრე დაიწერა, რომ "კრასნოდარში" რევიშვილის ტრანსფერში მამუკამ 500 ათასი დოლარი აიღო. ხმების მიხედვით, ბოლო დროს, მამუკა კვლავ პირველ ლიგაში დაბრუნდა – ჯერ, ვითომ, ბრიანსკის "დინამოს" ინტერესებს იცავდა, ახლა ორენბურგის "გაზოვიკის", რომელიც ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.*

თუმცა, ორენბურგელთა მთავარმა მწვრთნელმა **რობერტ ევდოკიმოვმა** ჯულელისა და ვლადიმერ მაშიას შესახებ მკვახედ გვიპასუხა: *"ისინი ერთხელაც არ გვინახავს და იმედია, არც ვიხილავთ. გუნდი "გაზპრომს" ეკუთვნის, სუფთად ვმუშაობთ და საკუთარ თავში დარწმუნებულები ვართ".*

**ომარ თეთრაძე** ამბობს, რომ ჯულელისა და მისი გზები გაიყო: *"ვოლგიდან" ჩემი წასვლის შემდეგ დავშორდით და მერე ოთხი-ხუთი თვე არც გვისაუბრია. რატომ? ამაზე ყურადღებას ნუ გავამახვილებთ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რომ შევხვდეთ, ერთმანეთს ხელს ჩამოვართმევთ. გამოვრიცხავ თუ არა მასთან ახალ კლუბში მუშაობას? ვფიქრობ, ეს არ მოხდება... არა მგონია, ეს ჩემი პრინციპული პოზიციაა. ჩემს დროს ორივე კლუბში სპორტული დირექტორი იყო, მაგრამ "ვოლგაში" პოსტი ოფიციალურად არ ეკავა. არ ვიცი, ეს რას უკავშირდებოდა და ამაზე "ვოლგას" ყოფილი პრეზიდენტი გოიხმანი გიპასუხებთ.*

*მიმაჩნია, რომ მისი სახელის უცნაურ მატჩებთან ასოცირება გადაჭარბებულია და გამოვრიცხავ, მსგავს ამბებში გარეულიყო. ეს ოფიციალურად შემიძლია განვაცხადო. ის მენეჯერობს და "ვოლგაში" ყველა ქართველი ფეხბურთელი (მარცვალაძე, ხოჯავა, გოგუა, ბიბილოვი, გრიგალავა, სალუქვაძე, არზიანი, ვანაძე, აგრეთვე რუმინელი პლეშჩანი და აზერბაიჯანელი ჯავადოვი – ("სოვეტსკი სპორტ") მან მიიყვანა".*

**ალექსანდრე გოიხმანი**, "ვოლგას" ყოფილი პრეზიდენტი: *"ჯულელზე ცუდის თქმა არ შემიძლია. ჩვენს კლუბში არ მუშაობდა, მაგრამ მოგვიყვანა მარცვალაძე, რომელმაც პირველ ლიგაში 21 გოლი გაიტანა და პრემიერლიგის საგზურის მოპოვებაში დაგვეხმარა. მან მოიყვანა ფილიგრანული ტექნიკის მქონე ხოჯავაც, რომლის დამსახურებაც იყო, გუნდმა საკუთარი სახე რომ შეიძინა. მან სულ ათამდე მოთამაშე გვირჩია და ერთის გარდა, ყველა მაღალი კლასის იყო. არ მესმის, ისინი ჩემი წასვლის შემდეგ რატომ გაუშვეს... მსგავსი აგენტი ძალიან ცოტაა, რომლისთვისაც მთავარია არა მხოლოდ ტრანსფერში აღებული ფული, არამედ ფეხბურთელის ბედიც. ჯულელი აგენტის როლში გვეხმარებოდა და მუდამ აკონტროლებდა საკუთარ მოთამაშეებს, მათ ქცევებს და ა.შ. მამუკას რეკომენდირებული ბიბილოვი პერსპექტივის გათვლით ავიყვანეთ. ახლა ეს ბიჭი კარგად თამაშობს და ბევრი გოლიც გააქვს. ახლანდელი ხელმძღვანელობის შეცდომაა, ვანაძე საქართველოში რომ გაუშვეს, რადგან იქ უკვე ათი გოლი გაიტანა. რაც მთავარია, ჯულელს პერსპექტიული ფეხბურთელები მოჰყავდა.*

*... მიმაჩნია, რომ გარიგებულ მატჩებში ჯულელის მონაწილეობაზე ინფორმაცია ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. მამუკას წესიერ ადამიანად ვიცნობ და მსგავს საქმეებში არასოდეს შემიმჩნევია. ყოველ შემთხვევაში, "ვოლგაში" ფეხბურთელების მოყვანისას, ამაზე არ ულაპარაკია".*

*ვლადიმერ მაშია მშვიდად გველაპარაკა და კითხვამ აშკარად გააოცა: "ჩემი გვარი გარიგებული მატჩების საბჭოს ექსპერტებმა ახსენეს? ეს რა კომედიაა? აჯობებს, პრემიერლიგას მიხედონ. ეტყობა, გარიგებებზე რაღაცები იციან, მაგრამ მე რა შუაში ვარ, ან "მორდოვიასთან" რა კავშირი მაქვს? იქ მეგობრის შვილი, კირილ პანჩენკო თამაშობს. საერთოდ, არასაფეხბურთო პირი ვარ, ადრე რაგბს ვთამაშობდი".*

**ვასილი უტკინი**, ტელეწამყვანი: "ამ პიროვნებაზე (ჯულელზე) მსმენია, რომ გუნდის პრემიერლიგაში გადაყვანის სპეციალისტია. მეეჭვება, მსგავსი რამ მოურინიომ მოახერხოს. ვწუხვარ კიდეც, მამუკა მხედველობის არედან რომ გაქრა".

**ანზორ კავაზაშვილი**, გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე: "ეს ხალხი კლუბიდან კლუბში მოგზაურობს, მაგრამ ოფიციალურად არსად მუშაობენ და კომისიის სხდომაზე ვერ მოვიწვევთ. ერთი მათგანი ადრე ნიჟნი ნოვგოროდში იყო, შემდეგ, როგორც ამბობენ, ბრიანსკში, ახლა კი ინფორმაციაა, რომ ულიანოვსკში მივიდა. თუ არ მეშლება, ჯულელი "ვოლგაში" თეთრაძეს ეხმარებოდა. მე არ ვიცნობ, მაგრამ მასთან დალაპარაკება მსურდა".

**მერაბ მამულაშვილი**

დაპირისპირება




ბუბა დაუშვილის ტრანსფერის ირგვლივ ხმაური არ წყდება

# ზესტაფონი VS კარპატი

## დავა უკრაინულ მედიაში გრძელდება

**ბუბა დაუშვილის** გამო "ზესტაფონსა" და ლვოვის "კარპატის" შორის წარმოქმნილ კონფლიქტზე უკრაინული მედია არაფერს წერდა. პიონერი ინტერნეტ-გამოცემა "სპორტ.უა" გახდა და ამ კონფლიქტის მიზეზებზე წერილი გამოაქვეყნა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ.

"ევროპაში უკრაინა ყოველთვის, სულ მცირე, ორი სიტყვის ასოციაციას იწვევს – ჩერნობილი და კორუფცია. ევროპელთა აზრით, უკრაინაში კორუფცია ყველა სფეროშია, მათ შორის, ფეხბურთში, რაზეც ბოლო დროს ბევრი რამ ითქვა. გარიგებული შეხვედრები, "ჯიბის" მსაჯები, მოთამაშეებთან საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობა... მაგრამ დღესაც ასე გრძელდება.

ბოლო წლებში საფეხბურთო კანონების შეუსრულებლობის მხრივ ლვოვის "კარპატიზე" ბევრი დაიწერა. ჯერ იყო სკანდალი ხარკოვის "მეტალისტთან" ვითომცდა გარიგებული მატჩის გამო, შემდეგ კი ყურადღება მიიქცია სერგეი კუზნეცოვთან, არტიომ ფედეცკისთან და ერიკთან კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით და ხანგრძლივი გარჩევებით.

და აი, "კარპატის" კიდევ ერთი უსიამოვნო ისტორია, რომელმაც, შესაძლოა, ფიფას ყურადღება მიიქციოს.

საქმე ეხება ლვოველთა ახალწვეულ ბუბა დაუშვილს, რომლის გადასვლა მოკრძალებული "ზესტაფონიდან" "კარპატიში" წარმოუდგენელი მიმართულებით განვითარდა და დაიწყო ლვოველთა კლუბში მისი გადასვლის ოფიციალური ვერსიით, რაც "ლვოვში" მისი ტრანსფერითა და შემდგომ "კარპატიში" იჯარით დასრულდა.

... "კარპატიმ" ძველ კლუბთან კონტრაქტის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე დაუშვილს წინასწარი ოთხწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია გავრცელდა 2011 წლის 8 აგვისტოს ლვოველთა არაოფიციალურ ვებგვერდზე.

... ფიფას კანონებით, "ზესტაფონს" 360 ათასი ევრო ეკუთვნოდა, მაგრამ "კარპატი" დუმდა, ამიტომ "ზესტაფონი" იძულებული გახდა, ოფიციალური წერილით მიემართა, საკომპენსაციოს ოდენობა 20 ათასით შეამცირა და მხოლოდ **360** ათასი მოითხოვა.

შემდეგ მოხდა ამბავი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება: 7 თებერვალს ქართულ მხარეს "კარპატი" ოფიციალური განცხადებით პასუხობს, რომ არ აპირებს კომპენსაციის გადახდას და მხოლოდ 50 ათასს სთავაზობს, თანხას ჩარიცხვას კი 10 დღეში ჰპირდება. "ხელსაყრელ" წინადადებაზე უარის შემთხვევაში კი ლვოველები დაიმუქრნენ, რომ საერთოდ არაფერს გადაიხდიდნენ, ფეხბურთელს მხოლოდ 23 წლის შესრულების შემდეგ შევიყვანთ განაცხადშიო. ამის შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო უცნაურად განვითარდა. მალე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დაუშვილის ტრანსფერზე მოთხოვნა პირველ ლიგაში ჩაძირვის პირას მყოფი "ლვოვისგან" მიიღეს. როგორც გაირკვა, დაუშვილს 2012 წლის 10 თებერვალს კონტრაქტი ამ კლუბმა გაუფორმა, 29 თებერვალს კი იჯარით "კარპატიში" გაუშვა.

ასეთი გაუაზრებელი გზით "კარპატიმ" 190 ათასი ევროს კომპენსაციის გადახდის ვალდებულება "ლვოვს" გადაულოცა. დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა კლუბს ლეგიონერებით გაძლიერების საშუალებას არ აძლევს ("ლვოვი" პირველი ლიგიდან ვარდება, მეორე ლიგაში კი უცხოელის თამაში აკრძალულია) და არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაშიც იმყოფება. შესაძლოა, დაუშვილთან კონტრაქტის გაფორმებით "ლვოვმა" გამდიდრება გადაწყვიტა, მაგრამ კონტრაქტის პირობებში წერია, რომ იჯარაში "მთელი" 6 ათასი გრივენი მიიღეს. გაითვალისწინეთ, მინუს გადასახადები და გამოდის, რომ საკუთარ თავზე 190-ათასევროიანი კომპენსაციის ვალდებულების ამღებმა კლუბმა 500 დოლარზე ოდნავ მეტი გამოიმუშავა.

ამასწინანდელ ინტერვიუში დაუშვილმა თქვა, როდესაც "კარპატი" "ზესტაფონს" ვერ შეუთანხმდა, "ლვოვთან" კონტრაქტი შეგნებულად გააფორმა, "კარპატისთან" წინასწარი კონტრაქტი კი უარყო, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებით შემოვიფარგლეთო.

ვითარებაში გასარკვევად "სპორტს.უა" უკრაინაში "ზესტაფონის" წარმომადგენელს, **ილია სკოროპაშინს** ელაპარაკა: *"ამჟამად "ზესტაფონი" ფიფაში წარსადგენ დოკუმენტებს ამზადებს. შეგროვებული მასალები საქმის საჩვენოდ დასრულების იმედს გვაძლევს. მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, უკრაინული მხარის გონიერების იმედად ვიყოთ, რადგან ფიფაში არასწორი ინფორმაციების მიწოდებას, შესაძლოა, კლუბებისა (იგულისხმება "კარპატი" და "ლვოვი") და ფეხბურთელისთვის ნეგატიური შედეგები მოჰყვეს.*

*ასევე საინტერესოა, რომ "კარპატიმ" წინასწარი კონტრაქტის კვალის განადგურება დაიწყო. 2012 წლის იანვრიდან დაწყებული, "კარპატის" საიტზე დაუშვილის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია ჩასწორებულია, "გუნდის ახალწვეული" კი "პოტენციური ახალწვეული" გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობები სხვა საიტებმა გადაწერეს - თუ წინასწარი კონტრაქტი არ გაფორმებულა, რა საჭირო იყო ეს ჩასწორებები"?*

"ზესტაფონის" წარმომადგენელმა გამოცემას წარუდგინა ინტერნეტში "კარპატის" საიტზე გამოქვეყნებული მასალები, რომელთა ტექსტებიც შემდგომ შეცვალეს. იქ კარგად ჩანს, რომ დაუშვილი 10 თებერვლამდე "კარპატის" ახალწვეულად არის დასახელებული. ამ თემასთან დაკავშირებით "კარპატის" წარმომადგენლებმა კომენტარზე უარი განაცხადეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ფიფას რეიტინგი

# აპრილმა ბევრი ვერაფერი შეცვალა

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

გასულ თვეში მთელი მსოფლიოს მასშტაბით სანაკრებო მატჩები ძალიან მცირე რაოდენობით გაიმართა, შესაბამისად, მინიმალური ცვლილებებია ფიფასა და "კოკა კოლას" მორიგ ერთობლივ რეიტინგში. უცვლელია საქართველოს ნაკრების მდგომარეობაც – **თემურ ქეცბაიას** გუნდი კვლავ 95-ე პოზიციაზეა.

რაც შეეხება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეებს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ესპანეთი პირველობას არავის უთმობს, საფრანგეთი მე-16 ადგილზე რჩება, ბელარუსმა ერთი პოზიცია დათმო და 69-ე პოზიციაზეა, ფინეთი კი კვლავ 79-ეზეა. როგორც ხედავთ, ჩვენი ჯგუფის ბინადართაგან კვლავ ბოლოები ვართ.

რეიტინგის ზეოცეულში ერთადერთი ცვლილებაა – არგენტინამ დანიას მე-9 ადგილი მეათეში გაუცვალა.

1. ესპანეთი
2. გერმანია
3. ურუგვაი
4. ჰოლანდია
5. პორტუგალია
6. ბრაზილია
7. ინგლისი
8. ხორვატია
9. არგენტინა
10. დანია
11. რუსეთი
12. იტალია
13. ჩილე
14. საბერძნეთი
15. კოტ დივუარი
16. საფრანგეთი
17. შვედეთი
18. ირლანდია
19. შვეიცარია
20. მექსიკა

...

95. საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ. არიენ რობენი

# რა დროს ნასვლაა? ვიხუმრე, ხალხო!

## მთავარია, რომ ფინალში ვართ, იქ კი რაღაცას მოვახერხებთ

**ბოლო თვე-ნახევარი არიენ რობენისთვის ურთულესი პერიოდი იყო: „ბაიერნისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ლიდერმა ბევრი რამ გადაიტანა. ზოგადად, არიენმა ამ სეზონში ისე ვერ „იფრინა“, როგორც, მაგალითად, შარშან, ფინიშის სწორზე კი საფეხბურთო ცხოვრება სულაც უკიდურესად დაეძაბა: ჯერ გერმანიის ჩემპიონატის უმთავრეს მატჩში, დორტმუნდის „ბორუსიასთან“ თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა და იმავე შეხვედრის ბოლო წუთებზე ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა, რის გამოც ექსპერტებმა სწორედ ჰოლანდიელი დაადანაშაულეს იმაში, რომ მიუნხენური გრანდი გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდა, მერე კი, მადრიდის „რეალთან“ პირველი ნახევარფინალური შეხვედრის შესვენებაზე ფრანკ რიბერისთან იჩხუბა, რის გამოც რეკორდმაისტერთან ახალი კონტრაქტის გაფორმება კინაღამ გადაიფიქრა. ახლა „რობენის საპნის ოპერა“ დასრულებული ჩანს, „ბაიერნთან“ კონტრაქტი გაფორმებულია, თავად არიენი კი ჯერ გერმანიის თასის ფინალის, მერე ჩემპიონთა ლიგის ფინალის და რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატის მოლოდინშია.**
**28 წლის გარემარბმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს საინტერესო ინტერვიუ მისცა.**



არიენ რობენმა რთული პერიოდი გადაიტანა და ისევ კარგ ხასიათზეა

**- ჰერ რობენ, გერმანიის თასის ფინალის წინ „ბაიერნში“ როგორი განწყობაა?**

- ვარჯიშზე იგრძნობა, რომ ყველანი მონდომებულები ვართ. „კიოლნთან“ ბოლო ტურის მატჩში ისე არ ვიბრძოდით, როგორც გვჩვევია, რადგან უკვე ფინალზე ვფიქრობდით. თუმცა კარგია, რომ კიოლნში მაინც მოვიგეთ და სეზონი გამარჯვებით დავასრულეთ.

**- „ბაიერნმა“ დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ზედიზედ ოთხი თამაში აქვს წაგებული და ეს რეკორდმაისტერისთვის უკვე ძალიან სამარცხვინო ფაქტია. რა მოხდება, მეხუთედაც რომ დამარცხდეთ?**

- გამორიცხული არაა, რომ ისევ წავაგოთ, რადგან დორტმუნდელებს მართლა ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ – სხვა შემთხვევაში ზედიზედ ოთხჯერ ვერ დაგვამარცხებდნენ. „ბორუსია“ გერმანიის ღირსეული ჩემპიონია და ახლა დუბლის შესრულება უნდა, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ „ბაიერნი“ ალარ შერცხვეს.

**- თქვენ ყურადღების ცენტრში იქნებით...**

- მე უკვე დავივიწყე ის, რომ ერთი თვის წინ „დორტმუნდთან“ პენალტი ვერ გავიტანე. ყოველთვის წინ ვიხედები და მომდევნო თამაშზე ვფიქრობ – თუ ეს გაინტერესებთ, წნეხის ქვეშ არ ვიქნები მოქცეული.

**- რა შანსი აქვს „ბაიერნს“ თასის ფინალში?**

- მართალია, გერმანიის ჩემპიონები ვერ გავხდით, მაგრამ სამაგიეროდ, „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდახრილები არ უნდა ვიყოთ. თასის ფინალს თავდაჯერებულები ვხვდებით. „ბაიერნიც“ და „დორტმუნდიც“ საუკეთესო გერმანული კლუბებია და იმედი მაქვს, რომ ძალიან კარგი თამაში გამოვა.

**- „დორტმუნდის“ კარში პენალტი რომ დაინიშნოს, დაარტყამთ?**

- აუცილებლად! თუ დორტმუნდში ვერ გავიტანე, მადრიდში ხომ დავამტკიცე, რომ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. მომავალშიც ასე მოვიქცევი.

**- შაბათს ისევ შეხვდებით ნევენ სუბოტიჩს, რომელმაც იმ შეხვედრაში, გაცუდებული პენალტის შემდეგ ნიშნის მოგებით შემოგიტიათ...**

- ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ეს თამაში უნდა მოვიგოთ და დორტმუნდელებს ჩვენი სიძლიერე ფეხბურთითა და ტაბლოზე დაფიქსირებული შედეგით დავუმტკიცოთ. ასე რომ, სუბოტიჩთან ჩხუბს არ ვაპირებ.

**- „დორტმუნდთან“ დუელი თქვენთვის და თქვენი თანაგუნდელებისთვის უკვე განსაკუთრებული მოტივაციაა?**

- ამ მატჩისთვის ჩვენ ძალიან მოტივირებული ვართ, მაგრამ არა იმიტომ, რომ „დორტმუნდს“ ვეთამაშებით, არამედ იმის გამო, რომ გერმანიის თასის ფინალის მოგება გვინდა. „ბაიერნს“ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრებში მოტივაცია არასდროს აკლია ხოლმე. ორი წლის წინ, თასის ფინალში „ვერდერი“ დავამარცხეთ და პირადად მე ბერლინი კარგად მაქვს დაცდილი. თანაც, გასულ უქმეებზე „ჰერტას“ კონკრენტ „კიოლნს“ მოვუგეთ და იმედი მაქვს, რომ „დორტმუნდის“ წინააღმდეგ ბერლინელი ფანებიც გვიქომაგებენ.

**- ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ გერმანიის თასის ფინალზე კონცენტრირება რთულია...**

- შესაძლოა, ამაში იყოს სიმართლის მარცვალი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე არ ვფიქრობთ. ცხადია, „ჩელსისთან“ მატჩს საბოლოო ჯამში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბერლინის ფინალს და ეს უნდა ვაღიაროთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანიის თასს „დორტმუნდს“ ვაჩუქებთ. არჩევანზე რომ მიდგეს, საქმე, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის თასს ავირჩევდი, მაგრამ ჩვენთვის გერმანიის თასიც მნიშვნელოვანია.

**- ჩელსისთან სეზონის უმნიშვნელოვანეს მატჩზე რას ფიქრობთ?**

- ყველა ამბობს, ფავორიტი „ბაიერნიაო“ და რეალურად ასეცაა, მაგრამ ყურადღებით უნდა ვიყოთ. „ჩელსის“ ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, რომლის დამარცხება ადვილი არ იქნება.

**- ლუის გუსტავო, დავიდ ალაბა და ჰოლგერ ბადშტუბერი დისკვალიფიცირებულები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნს“ „ჩელსისთან“ სერიოზულ საკადრო პრობლემებთან მოუწევს გამკლავება...**

- გული მწყდება, რადგან სამივეს ძალიან უნდოდა ფინალში თამაში. კარგი მხოლოდ ის არის, რომ ამის გამო გერმანიის თასის ფინალში ბოლომდე დაიხარჯებიან. რუმენიგეს აზრს გავიზიარებ და ვიტყვი: მთავარი ის იყო, რომ ფინალში გავედით – იქ კი რამეს მოვახერხებთ!

**- „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვით, ჩემპიონთა ლიგას თუ მოვიგებ და ზაფხულში ევროპის ჩემპიონიც გავხდები, კარიერის დამთავრება მომინდებაო...**

- რა თქმა უნდა, ვიხუმრე! ისე, ასეთი რამ ორი წლის წინაც ვთქვი და მართალია, მაშინ ორივე ფინალი (ჩემპიონთა ლიგა, მსოფლიოს ჩემპიონი) წავაგე, მაგრამ ეს მაშინაც ხუმრობა იყო.

**- როგორც იქნა, „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმეთ...**

- და ეს პირველი შემთხვევაა ჩემს კარიერაში! ადრე, კონტრაქტის მიწურულს გუნდებს ყოველთვის ვტოვებდი ხოლმე და „ბაიერნი“ პირველია, ვისთანაც ხელშეკრულება გავაგრძელე. ვფიქრობ, ეს ყველაფერზე ნათლად მეტყველებს.

**- „ბაიერნის“ ყოფილმა ფეხბურთელმა თომას შტრუნცმა თქვა, რობენმა ახალი კონტრაქტი იმიტომ გააფორმა, რომ სხვა გზა არ ჰქონდაო...**

- მაგ ტიპს არ ვიცნობ, მაგრამ როგორც ჩანს, ჩემზე მეტი იცის. ფაქტი ერთია: მიხარია, რომ „ბაიერნთან“ ახალ ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი. რა მნიშვნელობა აქვს, მქონდა თუ არა შემოთავაზებები სხვა კლუბებიდან? თუ შტრუნცმა ზუსტად იცის, ვინ რას მთავაზობდა, მაშინ ეს კაცი უდიდესი კომპლიმენტის ღირსი ყოფილა! მაგრამ არა მგონია, რომ იცოდეს...

**- 28 წლის ხართ და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აქტიურ სპორტულ კარიერას მიუნხენში დაასრულებთ?**

- მთავარია, გუნდში თავს კარგად ვგრძნობდე და ორგანიზმი მომყვებოდეს. როცა ფეხბურთის თამაშით სიამოვნებას ველარ მივიღებ, ბუცებს მაშინვე ლურსმანზე დავკიდებ. იმედი მაქვს, ეს უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე არ მოხდება. ფაქტია, რომ დღეს კარიერის დასრულებაზე ნაღდად არ ვფიქრობ. რაც შეეხება ბოლომდე „ბაიერნში“ დარჩენას – მე ვიტყოდი: რატომაც არა?!

გერმანია. ბუნდესლიგა. რელეგაცია


ეროვნული ბიბლიოთეკა

1980 წელს ოტო რეჰაგელი ფორტუნას დამრიგებელი გახლდათ და დიუსელდორფელებს ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის თასი მოაგებინა

# რეჰაგელი: ფორტუნა ძალიან სახიფათოა!

## კობის და კომპანიის ბოლო ბრძოლის პირველი რაუნდი

**დღეს**

**ჰერტა-ფორტუნა 22:30**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – იანკერი (ან ლელი), ნიმაიერი, ჰუბნიკი, ჰოლანდი – პერდედაი, კობიაშვილი – ებერტი, რაფაელი, ბენ ჰატირა – რამოსი.
**ფორტუნა (4-2-2-2):** გრიუნი – შრიოკი, კლაინე, მავრაი, შმიდტგალი – პრიბი, პეკოვიჩი – სარარერი, პექთურქი – ოუშენი, ნიოთე.

დღეს **ლევან კობიაშვილის** „ჰერტას“ დიუსელდორფის „ფორტუნასთან“ პირველი სარელეგაციო დუელი ელის. როგორც იცით, ბერლინელებმა ბუნდესლიგაში მე-16 ადგილი დაიკავეს და ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსან „ფორტუნასთან“ ორრაუნდიან ბრძოლაში გამარჯვება სჭირდებათ. პირველი მატჩი დღეს ბერლინში, სავარაუდოდ სავსე „ოლიმპიაშტადიონზე“ გაიმართება. „ჰერტა“ ფავორიტია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი ბუნდესლიგის წარმომადგენელია. ბერლინელთა მთავარმა მწვრთნელმა **ოტო რეჰაგელმა** ამიტომაც გააფრთხილა თავისი შეგირდები – ზედმეტი თავდაჯერება ახლა ძალიან სახიფათოაო. კობის გუნდისთვის კარგი ის არის, რომ რეჰაგელს მხოლოდ თავდამსხმელი **პიერ-მიშელ ლასოგა** აკლია.

რაც მთავარია, გამოჯანმრთელდა მარჯვენა მცველი **კრისტიან ლელი** და ამ დღეებში რეჰაგელმა გარემარბი **თუნაი თორუნიც** შეიწყალა – როგორც იცით, ოტომ ეს უკანასკნელი ერთი კვირის წინ გუნდიდან მოკვეთით დასაჯა. რეჰაგელი ამბობს, რომ თორუნს შეურიგდა და ეს უკანასკნელი დღეს მინიმუმ განაცხადში აუცილებლად იქნება.

რაკი ცნობილია, რომ რეჰაგელს არ უყვარს როტაციები, „ჰერტა“ დღეს, სავარაუდოდ, იმ ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს, რომლითაც შაბათს „ჰოფენჰაიმი“ 3:1 დაამარცხა და რელეგაციამდე მიაღწია. ერთადერთი განსხვავება მხოლოდ ლასოგას არყოფნაა, რომელმაც უმძიმესი ტრავმა მიიღო. ამ უკანასკნელს დღეს სასტარტოში სავარაუდოდ, **ადრიან რამოსი** შეცვლის და სწორედ ეს უკანასკნელი იქნება „ჰერტას“ ერთადერთი ცენტრფორვარდი.

### რეჰაგელმა პირველი სერიოზული ტიტული დიუსელდორფში მოიგო

73 წლის რეჰაგელი გუშინდელ პრესკონფერენციაზე უჩვეულოდ მშვიდი ჩანდა. *„რაც უნდა ვილაპარაკოთ, ყველაფერი უშუალოდ მოედანზე, ფეხბურთელებმა უნდა გადაწყვიტონ. ამიტომაც ბევრ ლაპარაკს არ ვაპირებ, უბრალოდ, დაველოდოთ მატჩს,“* - განაცხადა ოტომ.

ნერვიულობა უფრო „ჰერტას“ მენეჯერ **მიხაელ პრეეტცს** ეტყობოდა, რომელსაც ახალი არაფერი უთქვამს: *„ფორტუნასთან მატჩები ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ სეზონში, მიზანი კი ის არის, რომ „ჰერტამ“ მომდევნო სეზონშიც პირველ ბუნდესლიგაში უნდა ითამაშოს. ვფიქრობ, ჩვენმა ფანტასტიკურმა ფანებმა ეს დაიმსახურეს,“* - აღნიშნა მან.

საინტერესოა ის, რომ რეჰაგელიც და პრეეტციც თავიანთი წარსულით დიუსელდორფულ კლუბთან არიან დაკავშირებულები, თუმცა მათი თქმით ეს დღეს არანაირ როლს არ ითამაშებს. პრეეტცი წარმოშობით დიუსელდორფელია და თავის დროზე პროფესიულ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები სწორედ „ფორტუნას“ ფორმით გადადგა, რეჰაგელი კი „ფორტუნას“ დამრიგებელი გახლდათ და 1980 წელს გერმანიის თასის მოგებით ამ გუნდთან ერთად თავის სამწვრთნელო კარიერაში პირველი სერიოზული ტიტული მოიგო.

1980 წლის 4 ივნისს რეჰაგელის განვრთნილმა „ფორტუნამ“ გერმანიის თასის ფინალში „კიოლნი“ სენსაციურად დაამარცხა და ცხადია, ეს „მეფე ოტოს“ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმაც შეახსენეს, მაგრამ დღეს ეს ამბავი რეჰაგელისთვის მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბერლინელები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მაშინაც და ახლაც, დიუსელდორფელები აუტსაიდერებად მიიჩნეოდნენ.

*„მაშინ არავის სჯეროდა, რომ ჩვენ გელზენკირხენის „პარკშტადიონზე“ კიოლნის დამარცხებას მოვახერხებდით, რადგან „ფორტუნა“ აუტსაიდერი იყო. მხოლოდ იმას დავძენ, რომ აუტსაიდერები ყოველთვის სახიფათონი არიან,“* - თქვა რეჰაგელმა. მისი თქმით, დღევანდელ მატჩში „ჰერტას“ მიზანი ნულზე გამარჯვებაა და ოტოს ფანების იმედი აქვს. გუშინ საღამოს 55 000 ბილეთი იყო გაყიდული – ბერლინელები იმედოვნებენ, რომ დღეს „ოლიმპიაშტადიონის“ ტრიბუნები გაივსება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVI ტური

# მაჟორულ ნოტზე

შაბათს "ლივერპული" და "ჩელსი" ერთმანეთს "უემბლიზე" ასოციაციის თასის ფინალში შეხვდნენ. ლონდონელებმა მეტოქეს აჯობეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს 2:1. ამჯერად ისინი უკვე პრემიერლიგის ეგიდით "ენფილდზე" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და "წითლებმა" დამაჯერებელი რევანში აიღეს. მართალია, "ლურჯები" ერთობ შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ, მაგრამ ეს მასპინძელთა დამსახურებას ვერ დააკნინებს.

თამაში "წითლების" აქტიურობით დაიწყო. პირველი მომენტები მეტოქის კართან **ლუის სუარესმა** და ძირითადში დაბრუნებულმა **ენდი კეროლმა** შექმნეს. "ჩელსიმ" კი **პეპე რეინა** მხოლოდ მე-17 წუთზე შეაწუხა. მომენტი **ბრანისლავ ივანოვიჩს** შეექმნა. კუთხურის გათამაშების შემდეგ სერბის თავური ძელს მოხვდა. მე-19 წუთზე კი ანგარიში გაიხსნა. ლუის სუარესმა, თითქოს მოყვარულ ფეხბურთელებს ეთამაშებაო, ისე აუარა გვერდი სტუმართა მცველებს და მათ დაზღვევაზე წამოსულ **მაიკლ ესიენს** ფეხებში გაარტყა. განელმა **როს ტერნბულის** კარი დალაშქრა – 1:0. ამის მერე "ჩელსი" თითქოს მოიშალა – გუნდმა 9 წუთში კიდევ 2 გოლი გაუშვა. პირველ შემთხვევაში **ჯონ ტერის** არ გაუმართლა, ვისაც მასპინძელთა კონტრშეტევის დროს ფეხი დაუცდა. **ჯონათან ჰენდერსონი** მეკარესთან პირისპირ გავიდა და მას დაბალი, ტექნიკური დარტყმით გაუტანა – 2:0. ეს 25-ე წუთზე მოხდა. 3 წუთში კუთხურის შემდეგ ბურთი **ენდი კეროლმა** მოიგო და **დანიელ აგერს** დაუგდო, ვისაც თავით გატანა აღარ გასჭირვებია. 35-ე წუთზე ანგარიშის შემცირება **ფერნანდო ტორესს** შეეძლო. მან ტექნიკურად შეიგდო ბურთი და რეინას ძალიან ძლიერად დაურტყა, მაგრამ ესპანელის დარტყმულისგან ესპანელი ხარიხამ იხსნა. მალე ხარიხასვე გაარტყა ბურთი **სტიუარტ დაუნინგმა**. ტაიმის დამთავრებას არაფერი უკლდა, როცა საჯარიმოში ივანოვიჩმა კეროლს ბურთისთვის ბრძოლის დროს იდაყვი მკერდში ჩაარტყა. **კევინ ფრენდს** ბევრი არ უფიქრია – პენალტი. ბურთთან დაუნინგი მივიდა, ვისი დარტყმაც ძელს მოხვდა. დამატებაზე კეროლს არ გაუმართლა, როცა ბურთს კარგად ვერ მიუდგა და კარს ააცილა.

მეორე ნახევარი "ჩელსის" გოლით დაიწყო. **ფლორან მალუდას** ჯარიმას მეკარის საჯარიმოში **რამირესი** გამოეხმაურა – 3:1. თამაში შედარებით დაბალ ტემპში გაგრძელდა. 61-ე წუთზე საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა. "ჩელსის" გოლკიპერმა ელემენტარული შეცდომა დაუშვა, როცა ერთი შეხებით სცადა ბურთის გამოტანა და პირდაპირ **ჯონჯო შელვის** ჩააბარა, ვინც საჩუქარი აუღელვებლად დაამუშავა და 25-26 მეტრიდან ცარიელ კარში გაიტანა – 4:1. თამაშის ბოლომდე ანგარიში კიდევ რამდენჯერმე შეიძლებოდა შეცვლილიყო, პირველად მაშინ, როცა შეცვლაზე შესულ **რომელუ ლუკაკუს** თავურს რეინამ წარმოუდგენელი რეაქციით უპასუხა და შემდეგ კეროლის მოუხეშავი მცდელობისას.



ლივერპულელებმა გულშემატკივარს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს

### მატჩის შემდეგ

**რობერტო დი მატეო** (ჩელსი): *"შემადგენლობის ასეთი მასშტაბური ცვლილებების მიზეზი იყო ის, რომ გუნდის ენერგია მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. აქამდე ეს ერთადერთი გზა იყო მეოთხე ადგილისა და თასისთვის ბრძოლაში. შედეგის მიუხედავად არაფერს ვნანობ, რადგან "ლივერპულთან" გასვლაზე თამაში ყოველთვის ძალიან ძნელი იყო. თანაც დღეს ჩვენ წინააღმდეგ მაქსიმალურად მოტივირებულმა გუნდმა ითამაშა. ბოლო პერიოდში ძალიან დატვირთული გრაფიკით ვთამაშობთ. წინა თამაში ხომ სულ 3 დღის წინ ჩავატარეთ. ასეთ დროს ყოველ მატჩზე სრული კონცენტრაცია კი... შეუძლებელია ფეხბურთელებისგან ამის მოთხოვნა. ვფიქრობდი, რომ ახალი ფეხბურთელებით მეტად ენერგიულები ვიქნებოდით და მეტი შანსი გვექნებოდა. თუმცა დღეს "ლივერპული" აშკარად საუკეთესო იყო".*

**კენი დალგლიში** (ლივერპული): *"ძალიან კარგად ვითამაშეთ და ბევრი მომენტი შევქმენით. ასე სეზონის განმავლობაში ხშირად ხდებოდა, მაგრამ სასურველ შედეგს ხშირად ვერ ვაღწევდით. სწორედ ამიტომ არის, რომ დღევანდელი მატჩის შედეგი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დღეს ბიჭებმა ეს შედეგი ნამდვილად დაიმსახურეს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი გულშემატკივრები სტადიონს ბედნიერები ტოვებდნენ. შეუძლებელია ეს არ გვახარებდეს. მათი მხარდაჭერა ხომ შეუფასებელია. თამაშამდე არანაირ ზეწოლას არ ვგრძნობდით. უბრალოდ გამოვედით და ფეხბურთი ვითამაშეთ. გვინდოდა ზუსტად ისე გვეასპარეზა, როგორც "უემბლიზე" ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში და ეს გამოგვივიდა. დაცვამ კარას (კარაგერი) მეთაურობით ძალიან კარგად ითამაშა, ჰენდო (ჰენდერსონი) და შელვი მოედნის ცენტრში თავიანთ მოვალეობებს იოლად გაუმკლავდნენ. ენდი (კეროლი) კი სულ უფრო უკეთ თამაშობს ლუისთან (სუარესი) დუეტში. ისინი მეტოქეებს უზარმაზარ საფრთხეს უქმნიან".*

ფინანსური საკითხი

# იუნაიტედს მინუს 20 მილიონი

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენა, ასოციაციის თასის მე-4 ეტაპზე მარცხი და პრაქტიკულად წაგებული ჩემპიონატი "მანჩესტერ იუნაიტედს" სერიოზულ ფინანსურ ზარალს უქადის. ლაპარაკია მინიმუმ 20 მილიონ ფუნტზე. შარშან "ეშმაკებმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალს უწიეს და უეფასგან 45 მილიონი ევრო მიიღეს. ამჯერად კი მხოლოდ ამ ტურნირიდან ნაადრევად გამოვარდნის გამო მას 17 მილიონი დააკლდება, რაც ბუნებრივია, რადგან "იუნაიტედი" ტელეტრანსლაციებიდან და ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გარეშე დარჩა; ასევე დააკლდა სპონსორების მიერ გადასახდელი თანხები. ამას გარდა გუნდი 5 მილიონით იზარალებს იმ შემთხვევაში, თუკი პრემიერლიგაში მეორე ადგილს დაიკავებს. ეს ერთად 22 მილიონია. თუმცა საქმეს "ნათელი მხარეც" აქვს - "ბლექბერნთან" **ფილ ჯონსის** თაობაზე გაფორმებული სატრანსფერო კონტრაქტის თანახმად 2 მილიონი ფუნტის გადახდა აღარ მოუწევს. სავარაუდოა, რომ ასეთი სოლიდური ზარალი გუნდის სატრანსფერო აქტივობაზეც აისახება.

პრემიერლიგა. XXXVI ტური. შეჯამება

# ქუინზ პარკის იმედად

**ასოციაციის თასის ფინალმა "ჩელსისა" და "ლივერპულს" შორის 37-ე ტური ცოტა ჩრდილში მოაქცია, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენაზე ხაზგასმა მაინც აუცილებელია.**

## 1. გადასარჩენთა საქმე

უქმეების შემდეგ ორმა გუნდმა თავი სამშვიდობოს დაიგულა - "ასტონ ვილამ" და "უიგანმა". პირველმა "ტოტენჰემთან" ფრედ ნათამაშები შეხვედრის შემდეგ შეძლო მიზნის მიღწევა, მეორემ - უშუალო კონკურენტ "ბლექბერნს" გასვლაზე მოუთავა საქმე. ახლა მხოლოდ "ბოლტონისა" და "ქუინზ პარკის" ბედილაა გასარკვევი. აუტსაიდერებს ბოლო ტურში გასვლითი მატჩები ელით - პირველს "სტოკ სიტისთან", მეორეს – "მანჩესტერ სიტისთან". **ოუენ კოილის** გუნდის ერთადერთი შანსი სწორედ "ეტიჰადზე" გასამართი მატჩია. ბუნებრივია, "მანჩესტერ სიტი" ლონდონელებთან შეხვედრაში აბსოლუტურ ფავორიტად განიხილება. არ გვგონია, ამ თამაშის შესაძლო შედეგში ვინმეს წამითაც კი ეპარებოდეს ეჭვი. თუკი მანჩესტერში ყველაფერი ისე წარიმართა როგორც მოსალოდნელია, "ბოლტონს" თავისი თამაშის მოგება მართებს. ალბათ ყველას ესმის, რამდენად რთული იქნება "ბრიტანია სტედიუმზე" 3 ქულის აღება, მაგრამ "უკვდავების წყაროს" თავისი ფასი აქვს და გასაკვირი აქ არაფერია.

## 2. ლიგა და ჩემპიონობა

მოულოდნელად დაიძაბა ბრძოლა ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი მესამე საგზურისთვის. "არსენალის" 4-მატჩიანმა მოუგებელმა სერიამ "ტოტენჰემს" შანსი მისცა. ბოლო ტურის წინ ფავორიტად ჩვენ მაინც "მეთოფეებს" განვიხილავთ. **არსენ ვენგერის** გუნდს ნამდვილად შეუძლია ვესტ ბრომვიჩის "ჰოუთორნსზე" 3 ქულის აღება და სანუკვარი მიზნის მიღწევა.

**ბოლტონი–ვესტ ბრომვიჩი 2:2**

**საუკეთესო:** ბენ ფოსტერი (ვესტ ბრომვიჩი)

**ფულჰემი–სანდერლენდი 2:1**

**საუკეთესო:** კლინტ დემპსი (ფულჰემი)

**ქუინზ პარკი–სტოკ სიტი 1:0**

**საუკეთესო:** პიტერ კრაუჩი (სტოკ სიტი)

**ვულვზი–ევერტონი 0:0**

**საუკეთესო:** ნიკიცა იელავიჩი (ევერტონი)

**მანჩესტერ იუნაიტედი–სუონსი 2:0**

**საუკეთესო:** უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**ბლექბერნი–უიგანი 0:1**

**საუკეთესო:** იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი)

**ლივერპული–ჩელსი 4:1**

**საუკეთესო:** დენიელ სტარიჯი (ჩელსი)

**სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით:**

1. რობინ ვან პერსი (არსენალი) - 851 ქულა
2. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 819
3. ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი) - 669
4. დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი) - 648
5. სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) – 615

**ზოგადი სტატისტიკა დღეისთვის:**

370 მატჩი
278 მოგება
92 ფრე
202 მშრალად შენახული კარი
1 035 გოლი
5 399 ზუსტი დარტყმა კარში
4 176 აცილება
537 ფეხბურთელი
68 ეროვნების მოთამაშე
19 ჰეთ თრიკი
1 151 ყვითელი ბარათი
63 წითელი ბარათი
12 813 957 ფანი ტრიბუნებზე

### ტურის მწვრთნელი

**რობერტო მარტინესი** (უიგანი) – "უიგანი" მარტიდან მოყოლებული პრემიერლიგის მთავარ აღმოჩენად გადაიქცა. **რობერტო მარტინესის** გუნდმა ბოლო 8 შეხვედრიდან 6 მოიგო. დამარცხებულთა შორის აღმოჩნდნენ "ლივერპული", "სტოკ სიტი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი" და "ნიუკასლი". გუნდი "ჩელსისთანაც" მხოლოდ და მხოლოდ არბიტრის საშინელი მუშაობის წყალობით დარჩა ხახამშრალი. გეხსომებათ, რამხელა მითქმა-მოთქმა მოჰყვა **მაიკლ ჯონსის** მიერ "ლურჯებისთვის" თამაშგარიდან ჩათვლილ 2 გოლს. ბრწყინვალე იყო "უიგანი" "ივუდ პარკზეც", სადაც ჭეშმარიტად 6-ქულიან "ომში" იმარჯვა და საბოლოოდ გაინაღდა მომდევნო სეზონში ადგილი პრემიერლიგაში.

### ტურის ნაკრები

**ტომას სორენსენი** (სტოკ სიტი) – **ფილ ჯონსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ვენსან კომპანი** (მანჩესტერ სიტი), **გარი კოლდუელი** (უიგანი), **გაელ კლიში** (მანჩესტერ სიტი) – **ეშლი იანგი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ჯოი ბარტონი** (ქუინზ პარკი), **მაიკ კერიკი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი) – **მარტინ პეტროვი** (ბოლტონი), **ჯიბრილ სისე** (ქუინზ პარკი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 37 | 27 | 5 | 5 | 90-27 | 86 |
| 2. იუნაიტედი | 37 | 27 | 5 | 5 | 88-33 | 86 |
| 3. არსენალი | 37 | 20 | 7 | 10 | 71-47 | 67 |
| 4. ტოტენჰემი | 37 | 19 | 9 | 9 | 64-41 | 66 |
| 5. ნიუკასლი | 37 | 19 | 8 | 10 | 55-48 | 65 |
| 6. ჩელსი | 37 | 17 | 10 | 10 | 63-45 | 61 |
| 7. ევერტონი | 37 | 14 | 11 | 12 | 47-39 | 53 |
| 8. ლივერპული | 37 | 14 | 10 | 13 | 47-39 | 52 |
| 9. ფულჰემი | 37 | 14 | 10 | 13 | 48-49 | 52 |
| 10. ვესტ ბრომვ. | 37 | 13 | 8 | 16 | 43-49 | 47 |
| 11. სანდერლენდი | 37 | 11 | 12 | 14 | 45-45 | 45 |
| 12. სუონსი | 37 | 11 | 11 | 15 | 43-51 | 44 |
| 13. ნორვიჩი | 37 | 11 | 11 | 15 | 50-66 | 44 |
| 14. სტოკ სიტი | 37 | 11 | 11 | 15 | 34-51 | 44 |
| 15. უიგანი | 37 | 10 | 10 | 17 | 39-60 | 40 |
| 16. ასტონ ვილა | 37 | 7 | 17 | 13 | 37-51 | 38 |
| 17. ქუინზ პარკი | 37 | 10 | 7 | 20 | 41-63 | 37 |
| 18. ბოლტონი | 37 | 10 | 5 | 22 | 44-75 | 35 |
| 19. ბლექბერნი | 37 | 8 | 7 | 22 | 47-76 | 31 |
| 20. ვულვზი | 37 | 5 | 10 | 22 | 38-79 | 25 |



სენტ ჯეიმს პარკზე იაია ტურემ კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი დუბლი მიითვალა

ჩემპიონობაზე კი ახალი რა უნდა ვთქვათ? სიტუაცია ცხადზე ცხადია. "მანჩესტერ სიტი" "ეტიჰადზე" თამაშობს. საკუთარ არენაზე კი "ქალაქელებმა" მიმდინარე სეზონში 18-დან 17 თამაში მოიგეს და ახლაც, რასაკვირველია, ყველაფერი მათ ხელშია. **ალექს ფერგიუსონის** გუნდის მიერ ტიტულისთვის ბრძოლაში განცდილი მარცხი ლოგიკურიც იქნება, რადგან ბოლო ტურში "ქუინზ პარკის" იმედად არ უნდა დარჩენილიყო.

**არსენალი–ნორვიჩი 3:3**

**საუკეთესო:** რობინ ვან პერსი (არსენალი)

**ნიუკასლი–მანჩესტერ სიტი 0:2**

**საუკეთესო:** პაპის სისე (ნიუკასლი)

**ასტონ ვილა–ტოტენჰემი 1:1**

**საუკეთესო:** გარეთ ბეილი (ტოტენჰემი)

### ტურის გმირი

**იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი) – მიზეზი ყველასთვის ცხადია. ინგლისური ფეხბურთის გულშემატკივართა ალბათ აბსოლუტურმა უმრავლესობამ უყურა იმას, თუ როგორ გაუსწორდა "მანჩესტერ სიტი" "ნიუკასლს" მისსავე მოედანზე და თანაც ისე, რომ მთელი მატჩის განმავლობაში პრაქტიკულად წამითაც არ დაუყენებია საკუთარი უპირატესობა ეჭვქვეშ. საუკეთესო "ქალაქელთა" შორის 28 წლის ივუარელი იყო. უნივერსალმა ფეხბურთელმა ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავი მას მერე, რაც **რობერტო მანჩინიმ** მოედანზე **ნაიჯელ დე იონგი** შეუშვა და მას შეტევებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა მისცა. განსაკუთრებით ეფექტური იყო იაიას პირველი გოლი საჯარიმოს გარედან.

### ბოლო ტური

**13 მაისი.** ჩელსი-ბლექბერნი, ევრტონი-ნიუკასლი, სიტი-ქუინზ პარკი, ნორვიჩი-ასტონ ვილა, სტოკი-ბოლტონი, სანდერლენდი-იუნაიტედი, სუონსი-ლივერპული, ტოტენჰემი-ფულჰემი, ვესტ ბრომვიჩი-არსენალი, უიგანი-ვულვზი.

**ბომბარდირები:** 30 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 26 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 22 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 17 - კლინტ დემპსი (ფულჰემი).

**ასისტენტები:** 14 - დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი) 13 - ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი), ხუან მატა (ჩელსი); 11 - ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი); 10 - რობინ ვან პერსი, ალექს სონგი (ორივე არსენალი) ლუიშ ნანი (მანჩესტერ იუნაიტედი), გარეთ ბეილი (ტოტენჰემი).

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● იუვენტუსი



ალესანდრო დელ პიერო და მილოშ კრასიჩი

# მაროტა საზაფხულო გეგმებზე

## ბორიელო, ელია, დელ პიერო, კრასიჩი, ვან პერსი, ნესტა...

"იუვენტუსი" იტალიის ჩემპიონია, მთავარი ამოცანა უკვე შესრულებულია და რა გასაკვირია, რომ ტურინში უკვე საზაფხულო ტრანსფერებზე და სამომავლო გეგმებზე ფიქრობენ. მართალია, "ვეკია სენიორას" წინ იტალიის თასის ფინალი ელის, მაგრამ ამ შეხვედრაზე მეტად, ბევრს კონკრეტული სატრანსფერო ცნობები აინტერესებს. სწორედ ამად იყო, რომ "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი კლუბის სპორტულ დირექტორს, ჯუზეპე მაროტას შეეხმიანა და მას სწორედ საზაფხულო გეგმებზე ჩამოუგდო სიტყვა. გასაგებ მიზეზთა გამო, მაროტა შესანიშნავ ხასიათზეა და ჟურნალისტისთვის უარი არ უთქვამს – საუბარი კი მართლაც საინტერესო გამოვიდა და კონკრეტულ ფეხბურთელებს შეეხო; მოვუსმინოთ სენიორ ჯუზეპეს...

### მარკო ბორიელო

მარკოს თავიდან გაუჭირდა, თუმცა დროთა განმავლობაში გაიხსნა და ჩემპიონატის ფინიშზე დიდი დახმარება გაგვიწია. თანაც, ანტონიო კონტე მისი თამაშის სტილით აღფრთოვანებულია და ბოლომდე ენდობა. ამიტომ, მის გამოსყიდვას ვაპირებთ და "რომას" მესვეურებთან მოლაპარაკებებში ვართ ჩაბმულნი. დრო 22 ივნისამდე გვაქვს და არა მგონია, რომ შეთანხმებას ვერ მივაღწიოთ. ფაქტია, რომ ბორიელო რომაელთა გეგმებში არ ჯდება, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს.

### ელჯერო ელია

მიმდინარე სეზონი მისთვის ადაპტაციის გამოდგა და მჯერა, რომ მომავალში შესაძლებლობებს სრულად წარმოაჩენს. ელჯერომ ნათლად დაინახა, რომ სერია A ბუნდესლიგისგან რადიკალურად განსხვავდება – აქ სხვა კომპონენტებზე უნდა იმუშაოს და ვიცი, რომ თავს არ ზოგავს. ელიასთან განშორება ჩვენს გეგმებში არ შედის და იმედია, არც მას სურს წასვლა.

### ალესანდრო დელ პიერო

მოდი, ამ საკითხზე იტალიის თასის ფინალის შემდეგ ვისაუბროთ. ეს ის თემაა, რომელიც ჩემს კომპეტენციაში არ შედის და რომელსაც მე ყველაზე ნაკლებად ვწყვეტ. დელ პიეროს მომავალთან დაკავშირებით, შეხვედრები თავად ფეხბურთელს და პრეზიდენტს შორის მიმდინარეობს, ამ პროცესში ანტონიო კონტეც ჩართულია და შეგიძლიათ მასაც შეეხმიანოთ. ასე რომ, მე საინტერესოს ვერაფერს გეტყვით.

### მილოშ კრასიჩი

ერთი ხანობა, მილოში გუნდის ლიდერი იყო, მიმდინარე სეზონში კი თითქმის არ უწევს თამაში, რაც ძალიან საწყენია. ვერ გეტყვით, რატომ ხდება ასე, მაგრამ ფაქტია, რომ კონტეს გეგმებში კრასიჩი ნაკლებად შედის. ამიტომ, მის ტრანსფერზე მოგვიწევს მუშაობა და იმედია, ყველა მხარისთვის სასურველ შეთანხმებას მივაღწევთ.

### რობინ ვან პერსი

მისი თამაშით აღფრთოვანებული ვარ და მიმაჩნია, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდთა ხუთეულში შედის. უდიდესი სურვილი მაქვს, რომ "იუვენტუსში" ვიხილო, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ სურვილია. ლონდონელებთან ვაპირებთ მოლაპარაკების წამოწყებას და ვნახოთ, რა გამოვა... ვიცი, რომ რობინს "არსენალთან" ხელშეკრულებით კიდევ ერთი წელი აკავშირებს, რაც ნამდვილად გვირთულებს ამოცანას. ვან პერსი იმ მასშტაბის ფეხბურთელია, რომლის ფასიც სავარაუდოდ ასტრონომიული იქნება. ამიტომ, დღეს რაიმე დაპირებების გაკეთება ჩემი მხრიდან უადგილო იქნება.

### ალესანდრო ნესტა

ნესტამ თავად განაცხადა, რომ ერთადერთი გუნდი იტალიაში, სადაც შეიძლება გადაბარგდეს, "ლაციოა". ამ ყველაფრის შემდეგ, გამიჭირდება, რომ მის ტრანსფერთან დაკავშირებით ოპტიმისტურად განვეწყო. ისე კი ვადასტურებ, რომ ალესანდროს გადაბირება გვსურს და მასთან კონტაქტზეც არაერთხელ გავედით. ამ საქმეში ანდრეა პირლოც იყო ჩართული, რომელიც ნესტას ახლო მეგობარია. ჩვენი წინადადება ძალაში რჩება, სანდროსთვის კარი ღიაა, დანარჩენი კი თავად ფეხბურთელმა უნდა გადაწყვიტოს.

● მილანი

# გატუზო: მილანი, ან ოჯახი...

## ვან ბომელი [illegible]

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ ივნისში "მილანის" არაერთ ფეხბურთელს უმთავრდება კონტრაქტი, რომელთა გახანგრძლივების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ერთ-ერთი ასეთი მოთამაშე ჯენარო გატუზო გახლავთ, რომელიც უკვე 34 წლისაა და სულ უფრო და უფრო იშვიათად უწევს თამაში. ჯერ კიდევ უცნობია, შესთავაზებენ თუ არა "მილანის" მესვეურები რინოს ახალ ხელშეკრულებას – თავად ფეხბურთელს კი შემდეგი პოზიცია აქვს:

"სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ არ ვიცი, რა იქნება ჩემს თავს. ამ დღეებში, ადრიანო გალიანის შევხვდები და ყველაფერზე დეტალურად დავილაპარაკებთ. ჩემი სურვილია, რომ კარიერა "მილანში" გავაგრძელო, მაგრამ ეს მასიმილიანო ალეგრისა და კლუბის მესვეურებზეა დამოკიდებული. თუ კონტრაქტი არ გამიხანგრძლივეს, ალბათ დავასრულებ კიდეც კარიერას, რადგან მინდა ოჯახს მეტი ყურადღება დავუთმო".

ერთი სიტყვით, არის ვარიანტი, რომ გატუზომ ამ ზაფხულს კარიერა დაასრულოს და ანტონიო დი ნატალეს ბედი გაიზიაროს. ამასობაში, ვრცელდება ინფომაცია იმის შესახებ, რომ სეზონის დასრულენისთანავე მარკ ვან ბომელი "მილანს" დატოვებს და მშობლიურ პსვ-ში გადაბარგდება, სადაც 1999-2005 წლებში ასპარეზობდა. "გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, "როსონერის" მესვეურებმა ჰოლანდიელს კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზეს, თუმცა ხელფასი დააკლეს და არსებული 3.5 მილიონი ევროს ნაცვლად, 2 ლიმონი შესთავაზეს. ვან ბომელს საბოლოო პასუხი ჯერ არ უთქვამს, თუმცა, ჟურნალისტთა ვარაუდით, იტალიას დატოვებს და პსვ-ს შეუერთდება.



ჯენარო გატუზომ შეიძლება ანტონიო დი ნატალეს ბედი გაიზიაროს

● დაპირისპირება

# როსი VS ლიაიჩი

## მტყუან-მართალი თავად განსაჯეთ

იტალიურ ფეხბურთს არასდროს აკლდა სკანდალები, მაგრამ ის, რაც "ფიორენტინა"-"ნოვარას" პაექრობაში მოხდა, განსაკუთრებული შემთხვევა გახლდათ და ამ შემთხვევაზე დღესაც ბევრს ლაპარაკობენ. ხუმრობა საქმე ხომ არაა, გამოცდილი სპეციალისტი, დელიო როსი 20 წლის შეგირდს, ადემ ლიაიჩს დაესხა თავს და მუშტიკრივი გაუმართა. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც ფლორენციელები მეტოქესთან 2:0-ს აგებდნენ და მწვრთნელმა სწორედ ზემოხსენებული ლიაიჩის შეცვლა განიზრახა – ამ უკანასკნელმა ცინიკური ტაში შეაგება დელიოს, რისთვისაც ამ უკანასკნელის რისხვა დაატყდა თავს. როგორც შემდეგ როსიმ განაცხადა, ადემმა მის ოჯახს მიაყენა შეურაცხყოფა და ადამიანური თვალსაზრისით, საკუთარ საქციელს გამართლებული უწოდა. ჟურნალისტები ჩაეძიენ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, სოციალურ ქსელებზე კი ისეთი ამბები დატრიალდა, სიტყვებით რთული გადმოსაცემია. მოკლედ, როსის ამ კომენტარმა ადემს მსოფლიო მასშტაბით გაუტეხა სახელი და იძულებული გახდა, რომ თავდაცვითი ზომებისთვის მიემართა – გაეცანით თავად ლიაიჩის კომენტარს და მტყუან-მართლის შესახებ დასკვნები თავად გამოიტანეთ:

"როსიმ ისეთი საქციელი ჩაიდინა, რომ კარგად იცის, ამას იქით სამუშაოს პოვნა ძალიან გაუჭირდება. სწორედ ამიტომ, ნამუსზე ხელი აიღო და ისეთი ისტორია შეთხზა, რომლის მოფიქრებასაც დიდი ფანტაზია სჭირდება. იმედია, იმას მაინც ხვდება, რომ ამით ისევ თავის ოჯახს აყენებს შეურაცხყოფას. ირონიული ტაში ნამდვილად დავუკარი და ამ საქციელს ვნანობ, მაგრამ ის სიტყვები, რომელიც მან მომაწერა, არასდროს მითქვამს. ნამდვილად არ მეგონა, თუ დელიოს ასე დაცემა შეეძლო, ეს ძალიან სამწუხაროა".



მუშტმომარჯვებული დელიო როსი

მწვრთნელს და სთხოვეს, დაეკონკრეტებინა, თუ რა თქვა ასეთი ლიაიჩმა, რაზეც შემდეგი პასუხი მოისმინეს:

"ადემმა ისეთი რამ თქვა, რისი გამეორებაც კი მიძნელდება. როდესაც მოედნიდან გადიოდა, ტაში დამიკრა და მომაძახა, რომ მე კიდევ უფრო დიდი დაუნი ვარ, ვიდრე ჩემი ინვალიდი შვილი. დიახ, მე ინვალიდი შვილი მყავს, ეს ყველასთვის ცნობილია და როდესაც ამ თემას ცუდად ეხებიან, საკუთარ თავზე კონტროლს ვკარგავ. ბოდიში მინდა მოვუხადო კლუბის მესვეურებს, გულშემატკივრებს და ფეხბურთელებს, მაგრამ ადამიანური თვალსაზრისით, ჩემი საქციელი გამართლებული მგონია".

დელიო როსის ამ კომენტარის შემდეგ, ადემ ლიაიჩს გულშემატკივართა და ჟურნალისტთა რისხვა დაატყდა თავს – პრესაში ახალგაზრდა მოთამაშე

ადემ ლიაიჩს მისი თანაგუნდელი ვალონ ბერამი გამოექომაგა, რომელიც ინციდენტის დროს სათადარიგოთა სკამზე იყო – აი, რა განაცხადა შვეიცარიელმა ნახევარმცველმა: "ძალიან მეცოდება დელიო როსი, რომელსაც ჯერ კიდევ "ლაციოდან" ვიცნობ. სამწუხაროა, რომ ნერვებმა უმტყუნა და ასეთი საქციელი ჩაიდინა. თუმცა, კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რაც შემდეგ მოიგონა და ურცხვად განაცხადა. ის საზარელი სიტყვები მის გარდა არავის გაუგია, არადა, ადემთან ჩვენ, ფეხბურთელები გაცილებით ახლოს ვიყავით. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ როსის ასეთი რამ შეეძლო".

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● სკანდალი

# კალჩო ჩვეულ სტიქიაში



ჯანკარლო აბეტე ბრძოლას არ წყვეტს

იტალიური ფეხბურთი სკანდალების გარეშე ვის გაუგია და აგერ, სულ ახალი ამბავი, რომელმაც აპენინური სპორტული პრესის ფურცლები ელვის სისწრაფით მოიარა – საქმე იმაშია, რომ ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტი კვლავ მიუბრუნდა გარიგებული მატჩების თემას და ახალი დამნაშავეები, უფრო სწორად, ჯერ ეჭვმიტანილები გამოავლინა, რომელთა რაოდენობა 61-ს უდრის. ლაპარაკია 33 ჩაწყობილ თამაშზე, რომელთაგან 29 სერია B-შია გამართული. აქვე, იმ გუნდების ჩამონათვალს გადავხედოთ, რომლებიც გარეულნი არიან ამ საშარო საქმეში: ალბინოლეფე, ანკონა, ასკოლი, ავეზა, კრემონეზე, ემპოლი, ფროზინონე, გროსეტო, ლივორნო, მოდენა, მონცა, პადოვა, პესკარა, პიაჩენცა, რავენა, რეჯინა, რიმინი, სამპდორია, სპეცია.

ალნიშნულ საკითხზე კომენტარი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ჯანკარლო აბეტემ გააკეთა და ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა: "გარიგებული მატჩების წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდება იქამდე, სანამ ეს პრობლემა იტალიურ ფეხბურთში იარსებებს. კარგად მესმის, რომ ასეთი სკანდალები კალჩოს იმიჯზე კარგად არ მოქმედებს, მაგრამ პრობლემაზე თვალს ვერ დავხუჭავთ. იქნება თუ არა საჯარიმო სანქციები? – ეს იმაზეა დამოკიდებული, დაუმტკიცდებათ თუ არა კონკრეტულ ფეხბურთელებს და გუნდებს დანაშაული; ვფიქრობ, რომ იქნება და თანაც, მკაცრი".

უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012 ესპანეთის ნაკრები

# კარლეს პუიოლი იბრძოლებს!

## კარიერას საოპერაციო მაგიდაზე კი არა მოედანზე დავასრულებ



კარლეს პუიოლი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

### სანაკრებო კარიერაზე

როგორ ფიქრობთ, კარიერას საოპერაციო მაგიდაზე დავასრულებ? მე საფეხბურთო მინდვრიდან წავალ. ნაკრებში მეასე მატჩსაც ვითამაშებ, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

### ტრავმაზე

კვირას უკვე ვგრძნობდი, რომ ცუდად იყო საქმე. ორშაბათს ექიმებმა მითხრეს, რომ ოპერაცია აუცილებელია. ერთი სული მაქვს, როდის გავიკეთებ ოპერაციას, რომ რეაბილიტაციის პერიოდი მალე დაიწყო.

### ევრო 2012-ზე თამაშზე

ძალიან ბედნიერი ვიქნები, თამაში რომ შევძლო, მაგრამ კარგად მესმის, რომ ამის გაკეთება ძალიან გამიჭირდება.

### ესპანეთის ნაკრებზე

ესპანეთის ნაკრების ქომაგებს სანერვიულო არაფერი აქვთ. ნაკრებში ბევრი კარგი მცველია.

### უახლოეს გეგმებზე

6 კვირა მშვიდად ვმკურნალობ, რომ ზაფხულს მწყობრში შევხვდე და მომავალი სეზონისთვის სრულყოფილად მოვემზადო.

### მომავლის გეგმებზე

ფეხბურთისთვის თავის დანებებას ჯერ კიდევ 5-6 სეზონი არ ვაპირებ. მთავარია, მაღალ დონეზე თამაში შევძლო.

■ ■ ■

**...და ვინმეს ამაში ეჭვი ეპარებოდა? 34 წლის ბარსელონელის მებრძოლი სული თანამედროვე ფეხბურთში ძალზე იშვიათი რამაა - ის არ ნებდება მაშინაც კი, როცა მარცხდება. სწორედ ამიტომ, კარლეს პუიოლმა ოთხშაბათისთვის პრესკონფერენცია დანიშნა, სადაც გამოაცხადა, რომ ის ფეხბურთელი არაა, ტრავმას ასე იოლად დანებდეს.**

ამასობაში „მარკამ" თავისი მკითხველები გამოკითხა, თუ რომელ წყვილს აძლევენ უპირატესობას ესპანეთის ნაკრების დაცვის ცენტრში პუიოლის არყოფნაში. გამოკითხულთა ნახევარმა 49,5 % (45 300 ხმა) მხარი დაუჭირა **ჟერარდ პიკესა** და **სერხიო რამოსის** დუეტს. მეორე ადგილზე გავიდა **ხავი მარტინესისა** და ჟერარდ პიკეს წყვილი (22,7%), მესამეზე - რამოსი-მარტინესი (18,5%). ყველაზე ცოტა ხმა მიიღო სამი ცენტრალური მცველით თამაშის (რამოსი, მარტინესი, პიკე) იდეამ მიიღო - 9,3%. პირველ სათადარიგო ცენტრალურ მცველად ხალხს **რაულ ალბიოლის** (45%) ხილვა სურს. შემდეგ მოდიან: **ალვარო დომინგესი** (18,7%), **ალბერტო ბოტია** (13,9%), **ვიქტორ რუისი** (13%) და **კარლოს მარჩენა** (9,4%).

ამბები



### დრენტე: მესიმ ნეგრო მიწოდა

მადრიდის „რეალის" ყოფილმა ფეხბურთელმა **როისტონ დრენტემ**, რომელიც ახლა „ევერტონში" ირჯება, **ლიონელ მესის** რასისტი უწოდა. მან განაცხადა, რომ „ბარსელონასთან" დაპირისპირებებში არგენტინელს მისთვის ხშირად უწოდებია „ნეგრო": *„მესის წინააღმდეგ ხშირად მითამაშია და სულ იყო პრობლემები. ყველაზე მეტად გამაღიზიანებელი მისი ტონი იყო, როცა „ნეგრო, ნეგროს" მეძახდა. მესმის, რომ სამხრეთ ამერიკაში ასეთი ფრაზები ხშირია, მაგრამ იქაური ფეხბურთელები როგორმე უნდა გადაეჩვიონ ამას. მახსოვს, მამადუ დიარასაც თავიდან ჰქონდა ანალოგიური პრობლემები. თავიდან მას ასე მიმართავდნენ თანაგუნდელები გაბრიელ ჰაინცე და გონსალო იგუაინი, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ არ შეიძლება. აი, მესიმ კი ეს ვერაფრით გაიგო. „ერკულესში", რომ გადავედი, თამაშის წინ ხელი ჩამომართვა და ასე მომმართა: „ჰელოუ ნეგრო". თამაშის შემდეგ კი ხელის ჩამორთმევაც არ ინება"*, - განუცხადა დრენტემ ჰოლანდიურ ჟურნალ „ჰელდენს".

25 წლის ჰოლანდიელი გარემარბი „ევერტონში" იჯარით თამაშობს, თუმცა ინგლისური კლუბი მის დატოვებას აღარ აპირებს.

### პელეგრინო: ვალენსიას გვარდიოლა

„ვალენსიას" ბრაზილიელი მეკარე **დიეგო ალვეში** ამბობს, რომ დიდი შანსია „ვალენსიას" ახალი თავკაცი **მაურისიო პელეგრინო** ისეთივე წარმატებული გამოდგეს „ლოს ჩესთვის", როგორც **ხოსეპ გვარდიოლა** - „ბარსელონასთვის". *„პელეგრინოს „ვალენსიაში" დიდად აფასებენ. მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისმა დანიშვნამ შესაძლოა, ისეთივე ეფექტი იქონიოს, როგორც „ბარსელონაში" ხოსეპ გვარდიოლას დაწინაურებამ. იმედი ვიქონიოთ, რომ ასეც იქნება"*, - განაცხადა მეკარემ, რომელმაც „ვალენსიას" პირველი გოლკიპერისთვის ბრძოლა წააგო **ვისენტე გუაიტასთან.**

### კანუტე: ესპანეთში აღარ

„სევილიას" 34 წლის კაპიტან **ფრედერიკ კანუტეს** კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში უსრულდება. ის უკვე გააცილეს „სანჩეს პისხუანზე", თუმცა აფრიკელი ფორვარდი კარიერას არ ასრულებს - კანუტე ახალი სეზონიდან ესპანეთიდან მიდის: *„რამდენიმე კვირაში ზუსტად მეცოდინება, სად ვითამაშებ, მაგრამ პირობას აუცილებლად შევასრულებ - ესპანურ კლუბში თამაში გამორიცხულია"*, - განაცხადა კანუტემ, რომელიც „სევილიამ" 2005 წელს შეიძინა „ტოტენჰემისგან" 6,5 მილიონ ევროდ.

### ბენიტესი სამი თვით მოაკვეთეს

ესპანური ფეხბურთის ბოსებმა განაჩენი გამოუტანეს „გრანადას" გარემარბ **დანი ბენიტესს**, რომელმაც „რეალთან" მატჩის დასრულებისთანავე მსაჯ **კლოს გომესს** სახეში წყლის ბოთლი გაარტყა - დანი ბენიტესი 3 თვით დისკვალიფიცირებულია. თანაც დისკვალიფიკაცია ძალაში ახალი სეზონის დაწყებიდან შედის - ბენიტესს ნოემბრის ბოლომდე მოუწევს დასვენება. საშეჯიბრო კომიტეტმა გაითვალისწინა ბენიტესის მონანიება, თორემ ფეხბურთელს უფრო მკაცრი განაჩენი ელოდა. იმ მატჩის მონაწილე სხვა ფეხბურთელებსაც ჩამოურიგეს სასჯელები: **მოისეს ურტადო** 4 მატჩით დასაჯეს, **დავიდ ნავარო** 2 შეხვედრას გამოტოვებს, **ალექსანდრ ხეიხო** - ერთს. „გრანადას" მეკარეთა მწვრთნელი **ინიაკი გარსია** 4 თამაშითაა დასჯილი.

### პიკე მზადაა

**კარლეს პუიოლი** დაშავდა, თუმცა „ბარსელონას" დაცვის მეორე ბურჯი გამოჯანმრთელდა - ექიმებმა **ჟერარდ პიკეს** ნება დართეს ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბეტისთან" გასვლით მატჩში მიიღოს მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ პიკე თავისივე მეკარემ **ვიქტორ ვალდესმა** დააშავა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში „ჩელსისთან" (2:2), როცა ჰაერში დაეჯახა. 25 წლის პიკემ მცირე კონტუზიის გამო სამი მატჩი გამოტოვა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ევროპალიგა. ფინალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგის ბომბარდირი ისევ რადამელ ფალკაოა

# ატლეტიკოს ასი და ტიტული

## ატლეტიკო-ბილბაო 3:0

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, გოდინი, მირანდა, ფილიპე ლუიში - სუარესი, გაბი - დიეგო (90. კოკე), ადრიან ლოპესი (88. სალვიო), არდა თურანი (92. დომინგესი) - ფალკაო.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე (46. ი. გომესი) - ანდერი (63. ტოკერო), იტურასპე (46. ი. პერესი), დე მარკოსი - სუსაეტა, ფ. ლორენტე, მუნიაინი.

**გოლები:** 1:0 ფალკაო (7), 2:0 ფალკაო (34), 3:0 დიეგო (85)

**გაფრთხილება:** ფალკაო - ანდერი, ამორებიეტა, პერესი, სუსაეტა

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 25-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 52 347

აბა, რას წარმოიდგენდა ის სამი ბასკი სტუდენტი, რომელიც ბილბაოს „ატლეტიკის" სიყვარულით მადრიდში ქმნიდა ანალოგიურ კლუბს, რომ მათი პირმშო 109 წლის შემდეგ სწორედ „ბილბაოს" არ დაანებებდა პირველი ევროტიტულის მოპოვებას. „ატლეტიკო" უეფას თასზე (და მის მემკვიდრე ევროპალიგაზე) მე-100 მატჩს თამაშობდა და იუბილე **დიეგო სიმეონეს** გუნდმა ტიტულის მოპოვებით აღნიშნა.

ანგარიში მე-7 წუთზე გაიხსნა, როცა **რადამელ ფალკაომ** ცაციით **გორკა ირაისოსის** კარის შორეულ მაღალ კუთხეში გაიტანა. ამ გოლით კოლუმბიელი ჩამოცილდა ბომბარდირთა დავაში „შალკეს" ჰოლანდიელ შემტევ **კლაას-იან ჰუნტელაარს**. 34-ე წუთზე ფალკაომ სულაც დუბლი შეასრულა - **ფერნანდო ამორებიეტას** ბურთი „მოპარეს", **არდა თურანმა** ჩააწოდა, ხოლო ფალკაომ საჯარიმოში ბრწყინვალე ფინტით ხახამშრალი დატოვა ბასკთა დაცვა და მეკარე.

მეორე ტაიმში **მარსელო ბიელსამ** შეცვლებს მიმართა, რამაც თამაშის ხასიათი პირწმინდად შეცვალა - ბილბაოელებმა მადრიდელთა კართან ნამდვილი შტურმი მოაწყვეს და... 85-ე წუთზე კონტრშეტევით დაისაჯნენ - ბრაზილიელმა **დიეგომ** ბრწყინვალე გოლი გაიტანა და ფინალის ბედიც გადაწყვიტა - 3:0.

**ევროპალიგის ყველა გამარჯვებული**

2010 - ატლეტიკო (ესპანეთი)
2011 - პორტუ (პორტუგალია)
2012 - ატლეტიკო (ესპანეთი)



მადრიდელთა ზეიმი

# უცხოური ფეხბურთი

● გერმანიის ნაკრები



ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი და მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი

# იოახიმ ლიოვი ხელშეუხებელია!

## გერმანია ევროზე რომც შერცხვეს, იოგის არ შეეხებიან

გერმანიისნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფშიც რომ ჩარჩეს, გერმანიის საფეხბურთო კავშირი ბუნდესგუნდის მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** არ გაათავისუფლებს. ცხადია, ამის ალბათობა ძალიან მცირეა, რადგან გერმანია ესპანეთთან ერთად კონტინენტის პირველობის უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ვოლფგანგ ნირსბახმა** ლიოვის ხელშეუხებლობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და იქვე დასძინა, რომ იოგისთან ერთად, ხელშეუხებელია ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფიც**.

„ეს ისეთი ტურნირია, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ყოველგვარი „თუსა" და „მაგრამის" გარეშე ვამბობ, ლიოვი ყველა შემთხვევაში პოსტზე დარჩება," - განაცხადა ნირსბახმა „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ ლიოვს გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე, მსოფლიოს ჩემპიონატის ჩათვლით აქვს გაფორმებული, ევრო 2012-ზე კი ბუნდესნაკრები ჰოლანდიასთან, პორტუგალიასთან და დანიასთან ერთად ე.წ. „სიკვდილის ჯგუფშია".

„გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდიუმი დარწმუნებულია იმაში, რომ ლიოვისა და ბირჰოფის ხელში ბუნდესგუნდი სწორ გზას ადგას, - დასძინა ნირსბახმა, რომელიც გერმანული ფეხბურთის სათავეში 2 მარტიდან უდგას (ექსპრეზიდენტი **თეო ცვანციგერი** შეცვალა), - ფეხბურთში ყველაფერი ხდება და არასდროს არაფერია გამორიცხული. გაიხსენეთ თუნდაც 2010 წლის მუნდიალზე, სერბეთთან განცდილი მარცხი (0:1): 30 წუთის შემდეგ მსაჯს 6 ყვითელი ბარათი ჰქონდა დარიგებული, მიროსლავ კლოზე გაგვიძევა და მიუხედავად ამისა, მაინც კარგად ვითამაშეთ, ლუკას პოდოლსკიმ კი პენალტი ვერ გაიტანა. ლიოვი და ბირჰოფი შესანიშნავად მუშაობენ და არ არსებობს მიზეზი, რის გამოც რამის შეცვლა მოგვინდება. ჩვენ, გერმანელებს იმედგაცრუებების გადატანაც კარგად გვეხერხება."

**გოტფრიდ ლენცი**

● სიახლეები

### კაკაუს აინტრახტი ეპატიჟება

გერმანიის ნაკრების წარმოშობით ბრაზილიელი თავდამსხმელი **კაკაუ** გასრულებული სეზონის პირველ წრეში „შტუტგარტის" ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო, იანვრის შემდეგ კი სასტარტოში მხოლოდ ხუთჯერ მოხვდა. მიზეზი ის არის, რომ იანვარში „შტუტგარტმა" **ვედად იბიშევიჩი** გადაიბირა, რომელმაც კაკაუ ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. კაკაუს სკამზე ჯდომის პერსპექტივა არ ხიბლავს და აცხადებს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შექმნილ სიტუაციაზე ვიფიქრებ და არ გამოვრიცხავ, რომ კლუბი გამოვიცვალოო. „შტუტგარტის" მთავარ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** გამოცდილი თავდამსხმელი არ ეთმობა, ჩვენი გერმანელი კოლეგები კი წერენ, რომ მისი გადაბირება მეორედან პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებულ ფრანკფურტის „აინტრახტს" უნდა.

### დაუმი ჰერტას მწვრთნელად?

**ოტო რეჰაგელი** „ჰერტაში" მხოლოდ დროებითი მწვრთნელია – დიუსელდორფის „ფორტუნასთან" ორრაუნდიანი დუელის შემდეგ კი ბერლინელებს ახალი მწვრთნელის ძებნა მოუწევთ. „ბერლინერ ცაიტუნგის" ცნობით, **ლევან კობიაშვილის** გუნდის ხელმძღვანელების ფავორიტი **კრისტოფ დაუმია**. ხსენებული გაზეთი წერს, რომ მენეჯერმა **მიხაელ პრეეტცმა** 58 წლის დაუმთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. როგორც ირკვევა, ბერლინელები მზად არიან, კრისტოფს წელიწადში 2 მილიონი ევრო გადაუხადონ.

### ბაიერნი ჟირუსთან მოლაპარაკებებს აწარმოებს

ჟურნალ „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში „მონპელიეს" თავდამსხმელმა **ოლივიე ჟირუმ** დაადასტურა, რომ მიუნხენის „ბაიერნთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს. როგორც ირკვევა, 25 წლის გოლეადორის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც ზაფხულში მისი ყიდვა 10 მილიონ ევროდაა შესაძლებელი. საფრანგეთის ჩემპიონატში ჟირუს ანგარიშზე 21 გოლი და 11 საგოლე პასია.

### გადაწყდა: ადლერი ჰამბურგში!

„ჰამბურგის" სამეთვალყურეო საბჭომ **რენე ადლერისა** და **არტიომ რუდნევსის** ტრანსფერებს მწვანე შუქი აუნთო, რაც გუშინ ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** დაადასტურა. გერმანიის ნაკრების ყოფილი პირველი მეკარე ადლერი „ჰამბურგში" „ლევერკუზენიდან" გადავა და ჩრდილოელებთან კონტრაქტს 2016 წლამდე გააფორმებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მიუხედავად რენეს გადაბირებისა, „ჰამბურგი" ამჟამინდელ პირველ ნომერს, **იაროსლავ დრობნისაც** შეინარჩუნებს. რუდნევსი კი HSV-ს პოლონური „ლეხიდან" მიაშურებს და ხელშეკრულებას 2017 წლამდე გააფორმებს. მისი ფასი 3 მილიონი ევროა.

**გოტფრიდ ლენცი**

# კალათბურთი

„ტაიმლაინში" ყოველთვის ვცდილობ კვირის სახალისო ინფორმაციები შევკრიბო, გამოვყო მთავარი თემა, შევალამაზო კარიკატურით. ამ რუბრიკას ოპერატიულობაზე პრეტენზია არ აქვს. უფრო სწორად, აქამდე არ ჰქონდა. დღეს კი სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამბავი უნდა გაცნობოთ: გაზეთ „ბასკეტინსაიდმა" ვიქტორ სანიკიძე იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდად, საუკეთესო ევროპელ კალათბურთელად დაასახელა და ცხადია, სერია A-ს სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა. მართალია, იტალიაში მხოლოდ რეგულარული ეტაპი დასრულდა, მაგრამ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა - რეგულარულში საუკეთესო, სეზონის საუკეთესოდ სახელდება.

თხრობით თავს არ შეგაწყენთ: ცხრილებად ჩამოვაწიკწიკოთ ნომინაციები, რომელთა უმეტესობაში ქართული გვარი ფიგურირებს.

სეზონის მოთამაშე: **დრეიკ დიენერი (დინამო)**

სეზონის უკანახაზელი: **დრეიკ დიენერი (დინამო) - 16.6ქ, 5.0მ, 3.2პ, 19.2მქკ.**

სეზონის ფორვარდი: **ვიქტორ სანიკიძე** (ვირტუსი) - 12.1ქ, 10.9მ, 0.9დ, 1.4პ, 19.8მქკ.

სეზონის ცენტრი: **ლინტონ ჯონსონი (აველინო) - 13.4ქ, 10.1მ, 1.3დ.**

საუკეთესო ევროპელი: **ვიქტორ სანიკიძე**

საუკეთესო არაევროპელი: **დრეიკ დიენერი**





ახლაც კარგად მახსოვს: 2003 წელს **გიორგი ცინცაძე** საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად რომ დავასახელეთ, მეგობარ **ვიქტორ სანიკიძეზე** მითხრა - ამოუცნობი მფრინავი ობიექტია, როდის საიდან გამოფრინდება, კაცმა არ იცისო... ვიქტორმა, მას მერე ბევრი იფრინა და იტალიის „ვირტუსში" დამკვიდრდა, რომლის ქომაგებმა მას **AIR GEORGIA** (დაახლოებით ასე ითარგმნება: მფრინავი ქართველი) შეარქვეს.

# ამოუცნობი მფრინავი ობიექტი

საუკეთესო იტალიელი: ჯუზეპე პოეტა, ანჯელო ჯილი (ორივე „ვირტუსი")

საუკეთესო მწვრთნელი: რომეო საკეტი (დინამო), ატილიო კაია (კრემონა)

I ხუთეული: ტრევის დიენერი (დინამო), დრეიკ დიენერი (დინამო), ჯეიმს უაითი (პესარო), **ვიქტორ სანიკიძე** (ვირტუსი), ლინტონ ჯონსონი (აველინო).

II ხუთეული: ბო მაკალები (მონტეპასკი), რიკი ჰიკმანი (პესარო), **ქუინტონ ჰოსლი** (დინამო), ანდრე სმიტი (კასერტა), იოანის ბურუსისი (მილანი).

ევროპელთა ხუთეული: ბო მაკალები (მონტეპასკი), მარკეს გრინი (აველინო), **ვიქტორ სანიკიძე** (ვირტუსი), დევიდ ანდერსენი (მონტეპასკი), იოანის ბურუსისი (მილანი).

დაცვითი ხუთეული: **დორონ პერკინსი** (კანტუ), ობრი კოულმანი (ბიელა), დევიდ მოსი (მონტეპასკი), კრისტიან კანგური (ვარეზე), ტონი ისლი (დინამო).

■ ■ ■

თუნდაც, ამ მონაცემების გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას - ვიქტორი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ამავე გვერდზე შეგიძლიათ ფოტოების დახმარებით სანიკიძის კარიერას გადაავლოთ თვალი.



2003-06 დიჟონი (საფრანგეთი)



2006-07 ესტუდიანტესი (ესპანეთი)

**TimeLine**

| | |
|---|---|
| Username: | ვაჟა |
| Password: | სიმონიშვილი |



2008 დინამო (თბილისი)



2008-09 ტარტუ (ესტონეთი)



2004 წელს NBA-ს დრაფტზე ატლანტამ აიყვანა და სან ანტონიოს დაუთმო

2009-დღემდე ვირტუსი (ბოლონია, იტალია)

### აბა გამოიცანით

სოციალური ქსელი „ფეისბუქი" ზოგისთვის საკუთარი ფოტოგრაფიების საჯაროდ გამოტანის, ზოგისთვის კონტაქტის, ზოგისთვის გაცნობის საშუალებაა... ბოლო დროს გამოცანებიც გახშირდა. ვფიქრობ, განვლილ შვიდდღეულში ყველაზე საინტერესო გამოცანა იტალიელმა ჟურნალისტმა **კარლო პეროტიმ** შემოგვთავაზა. მან ერთ სალამოს „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე დაწერა: **მაქვს ბომბა-ინფორმაცია!** ამას მოჰყვა 78 კომენტარი, რომელთაგან მკითხველს ყველაზე საინტერესოებს შევთავაზებთ.

*სიმონე ფილიპეტო: ინფორმაცია „კანტუს" შესახებ?*

*დანილო მერონი: კანტუელებს ახალი სპონსორი ჰყავთ?*

***კარლო პეროტი: პასუხს ცოტა ხანში გაგცემთ.***

*სტეფანო ბროგი: „კანტუს" მწვრთნელი ანდრეა ტრინჩიერი „რეალში" გადადის და თან მარკოიშვილი და მარკონატო მიჰყავს?*

*ანდრეა ბონანომი: საბავშვო ბაღში ვართ?! - მე რაღაცა ვიციო და არავის ეუბნები. თქვი, რაღას ელი!*

*ალესანდრო ნავა: ტიმ დანკანი ჩამოდის „კანტუში" თუ კობი ბრაიანტი?*

*ლუკა ფაძინი: რიკი რუბიო მომარაგებს პასებით გიორგი შერმადინს?*

***კარლო პეროტი: ინფორმაცია აღმოსავლეთ ევროპას ეხება.***

*ლუკა კოლიატი: ქართული პასპორტის მქონე ჰოსლი საქართველოს ნაკრებში არ ითამაშებს?*

***კარლო პეროტი: ახლოს ხარ.***

*რიჩ მარელი: სანიკიძე „კანტუში"?*

***კარლო პეროტი: კანტუელმა დორონ პერკინსმა, შესაძლოა, საქართველოს პასპორტი მიიღოს და კავკასიური ქვეყნის ღირსება დაიცვას!***

კარლომ იქვე გამოაქვეყნა სტატია პერკინსისა და ჩვენი ქვეყნის შესახებ, რომელიც სხვა გაზეთებმაც აიტაცეს და სახალისო კომენტარებიც მოჰყვა:

*სანტა73: შერმადინი და პერკინსი საქართველოს ნაკრებშიც ერთად ითამაშებენ და კლუბშიც. ოღონდ, არა „კანტუში", არამედ თელ-ავივის „მაქაბიში".*

*ოლიმპია1930: როგორც ჩანს, ქართველებსაც სურთ მაკალებოვსკის დონის ნატურალიზებული. საინტერესოა, როგორი რეაქცია მოჰყვება დიქტორის სიტყვებს, როცა გამოაცხადებს - შერმადინი, მარკოიშვილი, პერკინსიშვილი...*



● ჭადრაკი


ბელა ხოტენაშვილი

# ბელა ხოტენაშვილი საქართველოს ჩემპიონია

საერთაშორისო დიდოსტატმა **ბელა ხოტენაშვილმა** წლევანდელ სეზონში, იმის მიუხედავად, რომ ჯერ მხოლოდ ოთხიოდე თვეა გასული, უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს: თურქეთში ევროპის ქალთა მე-12 ინდივიდუალურ ჩემპიონატში 7,5 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა და მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მერე ჩინეთის წრიულ ტურნირში, სადაც მასპინძელთაგან, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის **ჰოუ იფანის** გარდა, ყველა უძლიერესი და უკრაინის ნაკრების წევრი **მარია მუზიჩუკი** ასპარეზობდნენ, მეორე ადგილზე გავიდა და, აი, ახალი გამარჯვებაც: გუშინ ანაკლიაში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 69-ე ეროვნული ჩემპიონატი 12 მანდილოსნის მონაწილეობით. ბოლო ტურის წინ ხოტენაშვილი 7,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობდა და ოქროს მედლის მოსაპოვებლად ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა. **მადონა ბოკუჩავასთან** თეთრი ფიგურებით 49-სვლიანი მარათონის შემდეგ 64- უჯრიან დაფაზე საყაიმო პოზიცია შეიქმნა და მეტოქენიც დაზავდნენ. ხოტენაშვილმა 11 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და საქართველოს ჩემპიონობა პირველად მოიპოვა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ახალგაზრდა ქუთაისელი საერთაშორისო ოსტატი **მერი არაბიძე.** მართალია, იგი გუშინ შავი ფიგურებით **ნინო ბაციაშვილთან** დამარცხდა, მაგრამ ეს შედეგიც საკმარისი აღმოჩნდა ვერცხლის მედლის მოსაპოვებლად. სამაგიეროდ, ბაციაშვილმა 6,5 ქულას მოუყარა თავი და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ბოლო ტურის დანარჩენი შეხვედრები: **ინგა ჭარხალაშვილი - ნაზი პაიკიძე** 0,5:0,5, **სოფიკო გურამიშვილი - ინგა ხურცილავა** 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი - სალომე მელია** 0:1, **მაია ლომინეიშვილი - სოფიო გვეტაძე** 0,5:0,5. მეოთხე-მეთორმეტე ადგილებზე გავიდნენ: ნაზი პაიკიძე - 6, სალომე მელია - 5,5, სოფიკო გურამიშვილი - 5,5, მაია ლომინეიშვილი - 5, სოფიო გვეტაძე - 5, მადონა ბოკუჩავა - 4,5, ინგა ჭარხალაშვილი - 4,5, ინგა ხურცილავა - 4,5, სოფიკო ხუხაშვილი - 4 ქულა.

ჩემპიონატზე დაწესებული იყო საპრიზო ფონდი - 13.500 ლარი, რომელიც ასე განაწილდა: ხოტენაშვილი - 4.000, არაბიძე - 3.500, ბაციაშვილ - 3000, პაიკიძე - 2.000, სალომე მელია - 1.000 ლარი.

ვაჟა დანელია




● კრივი. აკაკი კაკაურიძის სახელობის ტურნირი

# ქუთაისიდან წყალტუბოში

ახალგაზრდებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის აკაკი კაკაურიძის სახელობის მეორე საერთაშორისო ტურნირს წყალტუბოს სპორტის სასახლემ უმასპინძლა. თავდაპირველად, შეჯიბრების ჩატარება კაკაურიძის მშობლიურ ქალაქში- ქუთაისში იგეგმებოდა, მაგრამ სამდღიან ტურნირს საკალათბურთო სუპერლიგის პლეი ოფის მატჩი დაემთხვა („ქუთაისი"–თსუ), რის გამოც რინგმა ქუთაისის სპორტის სასახლის ნაცვლად მეზობელ წყალტუბოში გადაინაცვლა. იქ კი მოკრივეებს არანაკლებ კარგი პირობები დაუხვდათ. მოგეხსენებათ, წყალტუბოს სპორტის სასახლე ცოტა ხნის წინ გარემონტდა და მაღალი დონის შეჯიბრებების მასპინძლობის საშუალებაც აქვს. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ახალგაზრდებსა და ჭაბუკთა შორის გაიმართა ქუთაისის, თბილისის, გორის, ფოთის, ჭიათურის, აჭარის, თურქეთისა და სომხეთის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ტურნირის მთავარმა მსაჯმა და კრივის ფედერაციის დელეგატმა **ტარიელ გოგოჭურმა** ხაზი გაუსვა ფედერაციისთვის ტურნირის დიდ მნიშვნელობას და ხარისხითაც კმაყოფილი დარჩა.

*„საინტერესო და დაძაბული პაექრობები ვიხილეთ. მართალია, ახალგაზრდული ნაკრები ადრეე დაკომპლექტდა, მაგრამ ეს შეჯიბრება მაინც მნიშვნელოვანი იყო. გვინდოდა გვენახა, ვინ როგორ ფორმაშია და რამდენად იმსახურებენ ადგილს ეროვნულ გუნდში. უმრავლესობამ იმედები გაგვიმართლა. ძლიერად იასპარეზა ევროპის ჩემპიონმა ალექსანდრე დოკვაძემ და ევროპის პრიზიორმა ჯემალ შალამბერიძემ. სხვა მოკრივეებმაც მოგვაწონეს თავი. ვფიქრობ, კარგი და სასარგებლო ტურნირი იყო"* – აღნიშნა ჩვენთან საუბარში საქართველოს მოკრივეთა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა **ბეჟან ჭიჭინავამ.**

**აკაკი გუჯაბიძე** - ქუთაისის კრივის სკოლის დირექტორის მოადგილე, ტურნირის ორგანიზატორი: *„შეჯიბრება ქუთაისის მერიამ დააფინანსა. დიდი მხარდაჭერა გაგვიწია მის ჩატარებაში წყალტუბოს გამგეობამ და საკრებულომ. საინტერესო ტურნირი გამოვიდა. ორთაბრძოლების ხარისხიც მაღალი იყო.*

### გამარჯვებულები

### ახალგაზრდები

**გიორგი გაბოძე** (52კგ.თბილისი), **ალექსანდრე ლურსმანაშვილი** (56, გორი), **ვახტანგ ჟორჟოლიანი** (60), **ჯემალ შალამბერიძე** (64), **კონსტანტინე ხვისტანი** (69, სამივე-ქუთაისი), **ადილ ჩოპუროვი** (75), **ალექსანდრე დოკვაძე** (81, ორივე-რუსთავი), **დავით კვირკველია** (91, ფოთი), **მურმან გოგისვანიძე** (+91, ქუთაისი).

### ჭაბუკები

**ზაურ ხურციძე** (54, ქუთაისი), **არჩილ ტურავა** (57, ფოთი), **ვახტანგ სვანიძე** (63, ქუთაისი), **გიორგი ხარაბაძე** (66, ქუთაისი), **ოსმან ტერზი** (70, თურქეთი).

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან



● სუმო. ნაცუ ბაშო. 6-20 მაისი

# უიღბლო დღე

გუშინ ტოკიოში ქართულ სამეულს უიღბლო დღე ჰქონდა - ყველამ წააგო. **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** და **კოკაიმ (ლევან ცაგურიამ)** მაისის ბაშოზე პირველი მარცხი იგემეს, აი, **გაგამარუსთვის (თეიმურაზ ჯუღელი)** ეს უკვე მესამე წაგებაა. ყველაზე დასანანი კოკაის ორთაბრძოლა იყო - ქართველი ვეტერანი და მისი მეტოქე **ოივატო** ერთდროულად გავარდნენ დოჰიოდან, მაგრამ ლევანმა წამით ადრე დააბიჯა ფეხი.

ნაცუ ბაშოს 5 დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს, რომელთაგან ორი ოძეკი და სამი რიგითი მაეგაშირაა. მათ შორის ერთ-ერთი - მე-4 მაეგაშირა **ტოჩიოძანი** დღეს გაგამარუს დაეჭიდება.

### IV დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-მიოგირიუ (ჰატაკიკომი), კოტოშოგიკუ-არანი (იორიკირი), კოტოოშუ-ტაკეკაძე (იორიტაოში), კაკურიუ-ტოიონოშიმა (უვატედაშინაგე), ჰარუმაფუჯი-ტაკაიასუ (კოტენაგე), ამინიშიკი-ბარუტო (უვატედაშინაგე), კისენოსატო-**გაგამარუ** (იორიკირი), გოეიდო-ჰომაშო (იორიკირი), ტოიოჰიბიკი-მიაბიამა (ოშიდაში), კიოკუტენჰო-ტოჩინოვაკა (იორიკირი), ტენკაიჰო-**ტოჩინოშინი** (ვატაშიკომი). **ძურიო:** ოივატო-**კოკაი** (ცუკიოტოში).

### სატურნირო მდგომარეობა

**4-0:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 4), აოიამა (მ 6), კაისეი (მ 12)... **3-1: ტოჩინოშინი** (მ 8)... **1-3: გაგამარუ** (მ 2)

### V დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ჰომაშო, კოტოოშუ-ამინიშიკი, კაკურიუ-ტაკაიასუ, ჰარუმაფუჯი-ტოიოჰიბიკი, ბარუტო-არანი, კისენოსატო-მიოგირიუ, კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე, გოეიდო-ტოიონოშიმა, **გაგამარუ-ტოჩიოძანი**, ტოჩინოვაკა-შოჰოზანი, **ტოჩინოშინი**-მიაბიამა. **ძურიო: კოკაი**-ჰომარეფუჯი.

ნიკოლოზ ნეფარიძე



● ძიუდო. რეიტინგები


ეროვნული ბიბლიოთეკა
ვალერი ლიპარტელიანი

# მონინავეთა შორის ვართ და...

## შესანიშნავ შვიდეულებში გავერიეთ

**ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო რეიტინგების საბოლოო ვარიანტი გამოაქვეყნა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი ინფორმაცია, რომ საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა შვიდივე საგზური მოიპოვა და რაც ყველაზე სასიამოვნოა, შვიდივე ჩვენებური პირდაპირ მოხვდა სალიცენზიო 22-კაციან ზონაში და ევროპული კვოტა აღარ დაგვჭირდა - ეს გუნდის სტაბილურობის მაჩვენებელია.**

ბოლო სალიცენზიო ტურნირებმა - ევროპისა თუ სხვა კონტინენტების პირველობებმა რეიტინგში ჩვენებურთა განლაგებაში მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა, ოღონდ მხოლოდ ჩვენთვის სასიკეთო, ანუ წინ წავიწიეთ. მაგალითად, 66-ში სწორედ მაშინ შევედით 22-ში, 90-ში კი ორი ადგილით დავწინაურდით და მეოთხემდე ავედით, რაც ნაკრების საუკეთესო სარეიტინგო მაჩვენებელია. თუმცა ეს მნიშვნელოვანი მხოლოდ სტატისტიკისთვისაა, თორემ ოლიმპიადაზე განთესვისას მეოთხე და მეხუთე სულერთია.

საბოლოო ჯამში ჩვენმა გუნდმა 10 ლიცენზია მოიპოვა, მაგრამ ოლიმპიადაზე მხოლოდ შვიდი სპორტსმენი გამოვა. შვიდიდან სამ წონაში - 60, 100 და +100-ში ორ-ორი ლიცენზია გვაქვს და ის სამი ზედმეტიც სწორედ ამათში ამოირჩევა, თორემ დანარჩენებში, რაკი 22-ში თითო კაცი გვყავს, მათ ვერ შევცვლით. ამდენად, ჩვენი ოლიმპიური გუნდის ოთხი მონაწილე უკვე ცნობილია - **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90). 60-ში სალიცენზიო ზონაში **ამირან პაპინაშვილი** და **ბეთქილ შუკვანი** შევიდნენ, 100-ში **ლომერ ჟორჟოლიანი** და **ირაკლი ცირეკიძე**, მძიმეში - **ადამ ოქრუაშვილი** და **ზვიად ხანჯალიაშვილი.** ახლა მწვრთნელთა გადასაწყვეტია, ვის აარჩევენ ამათგან და ვის წაიყვანენ ოლიმპიადაზე.

რეგიონული პირველობების წინ მაინც რჩებოდა ძალზე მცირე შანსი იმისი, რომ გუნდი ბოლომდე ვერ შეგვევსო, თუმცა აქეთ ჩვენებმა ივაჟკაცეს (განსაკუთრებით - შავდათუაშვილმა), იქით - მეტოქეებმა ვერ ივარგეს ან ძალზე მოულოდნელი შედეგები აჩვენეს, რამაც ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. ასე მაგალითად, 73-ში ახალზელანდიელი **ვოო სუ ჩოი** ბოლო ორი წელიწადი იგებდა ოკეანიის პირველობას და წლეულსაც ფინალში გავიდა, მაგრამ ერთი შეხედვით, უიმედოდ ჩამორჩენილმა თანაგუნდელმა **კალდერ ლეემ** მოუგო. ამით ლეემ ჩოის ქულებითაც გადაუსწრო, თუმცა რეგიონული კვოტა მაინც ვერ მიიღო, რადგან იგი ზელანდიას ქალებში გადაეცა (შეგახსენებთ, რომ ერთ ქვეყანას მხოლოდ ერთი რეგიონული კვოტა ეძლევა). აფრიკის პირველობაზე ასევე ბოლო ორ ფინალს იგებდა ეგვიპტელი **აჰმედ ავადი**, მაგრამ წლეულს მას ლიბიელმა აჰმედ იოუსეფ ელკავისენიმ აჯობა, მერე ჩემპიონიც გახდა და რეგიონული კვოტით საგზურიც მიიღო...

### სარეიტინგო სტატისტიკა

ლონდონის ოლიმპიადის საგზურების სრული კომპლექტი მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ მოაგროვა, ანუ ქალებსა და ვაჟებს შორის ყველა მონაწილე - 14-14 სპორტსმენი მასპინძელთა გარდა მხოლოდ იაპონიას, ბრაზილიას, საფრანგეთსა და კორეას ეყოლება. ამათგან კორეამ ქალებში ერთი საგზური რეგიონული კვოტით მიიღო. ვაჟთა შორის სრული გუნდი ამ ოთხეულისა და ბრიტანელთა გარდა ჩვენ, რუსებს, უკრაინელებს, ყაზახებსა და უზბეკებს გვეყოლება, ოღონდ უზბეკებმაც ერთი ლიცენზია აზიის კვოტით მიიღეს. საინტერესოა, რომ იაპონელები ვაჟებში არც ერთ წონაში არ არიან პირველი ნომერი. სამაგიეროდ, ქალებში ხუთი ლიდერი ჰყავთ. ვაჟებში პირველი ნომერი შვიდ ქვეყანაზეა გადანაწილებული ანუ არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს თუნდაც ორი დაწინაურებული. 60-დან ზევით თანამიმდევრობით ამ ქვეყნების სია ასეთია: უზბეკეთი, რუსეთი, სამხრეთ კორეა, ბრაზილია, საბერძნეთი, ყაზახეთი და საფრანგეთი.

გამოვარჩევთ ჩინეთის ვაჟთა ნაკრებსაც. იქაურებს ქალებში ძლიერი გუნდი ჰყავთ - შვიდივე საგზური მოიპოვეს და იმათგან მხოლოდ ერთია კვოტით. მათი ქალთა ლიდერი, ოლიმპიური და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **ვენ ტონგი** სულაც მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავია, მაგრამ ვაჟებში ახლა იდგამენ ფეხს. აქ მხოლოდ ერთ წონაში - 60-ში მოიპოვეს ლიცენზია, თუმცა 22-ში ერთბაშად ორი კაცი ჰყავთ - **ლამუსი ა** და **იუნლონგ ჰე.**

>> მე-11 გვერდზე




რუბრიკას უძღვება ალექსანდრე ჯინორიძე


1976 სსრკ თასი

# თასი 76

ფილმი ასახავს ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ღირშესანიშნავ მოვლენას - საბჭოთა კავშირის საფეხბურთო თასის მოპოვებას თბილისის „დინამოს" მიერ. სურათში მრავალი საბჭოთა საარქივო მასალაა გამოყენებული. 1936 წლიდან მოყოლებული, ექვსი საფეხბურთო ფინალის ისტორია, ექვსივე მოსკოვში. რასაკვირველია, ეს ქრონიკები არ შეიცავენ ქართველი სპორტსმენების დისკრიმინაციის ამბებს „ბოროტების იმპერიის" სპორტმესვეურთა მხრიდან და ჩვენმა კინემატოგრაფისტებმა შეძლებისდაგვარად დელიკატურად ასახეს ცნობილი ქართველი და რუსი ფეხბურთელების გამონათქვამები თასისკენ მიმავალ გზაზე.

სცენარის ავტორიები და რეჟისოები: ჯ. ებრალიძე, მ. ჭიაურელი. ოპერატორი ი. ვაჩნაძე, ვ. ტატიაშვილი, რ. ოდიშელიძე, ტ. კანდელაკი. საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდია, შავ-თეთრი, სამი ნაწილი, 1977 წელი.

---

« მე-10 გვერდიდან

## დარჩება თუ არა ახალი წესი?

საგზურების განაწილების ახლანდელ წესს, რომელიც ძალიან ჩახლართულიცაა და დროში გაწელილიც, იმთავითვე ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ერთი მხრივ, კარგია ის, რომ სარეიტინგო ჩათვლაში ოლიმპიადებს შორის არსებული მთელი ოთხწლიანი ტურნირების შედეგები შედის - ეს სპორტსმენებს მუდმივად მობილიზებას აიძულებს, მაგრამ რეალურად, საგზურების მოპოვებაში გადამწყვეტი ბოლო ორი წლის ქულებია. სწორედ მათი დაჯამებით მივიღეთ საბოლოო რეიტინგი, დანარჩენები კი მხოლოდ კონკრეტულ შეჯიბრებებზე განთესვისთვის ალმოჩნდა მნიშვნელოვანი. ცოტა უცნაურია - რატომ გვათვლევინებენ იმ მაჩვენებლებს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენს? აქ ჩვენს ნაკრებშიც და სხვაგანაც ძალზე ხშირად ერთი უცნაურობაც იქმნებოდა - ამა თუ იმ წონაში ორი ან მეტი კანდიდატიდან ერთი თუ ეს ოთხი წელიწადი განუწყვეტლივ ჭიდაობდა, სხვები მხოლოდ ბოლო წლებში ჩაერთნენ სალიცენზიო მარათონში. ამიტომ პერიოდულად პირველებს ქულების განულება-განახევრებით ბოლომდ შედეგი აკლდებოდათ, მეორეებს კი დასაკლები არაფერი გააჩნდათ და დაწინაურებულებთან ჩამორჩენას უჭიდავებლადაც ამცირებდნენ.

ამ წესს ერთი დადებითი ნამდვილად აქვს - რეიტინგებს თუ გადავხედავთ, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთაგან განსხვავებით, უსაგზუროდ არ დარჩენილა არც ერთი ძლიერი და ტიტულოვანი ფალავანი, ვინც კი ჭიდაობდა და სპორტიდან არ წასულა, როცა იმ საჭიდაო სახეობებში დასტა-დასტად შეგვიძლია ხელმოცარული წარმატებული ფალავნების ჩამოთვლა. იქ ათლეტებს საგზურების მოსაპოვებლად სულ ოთხი შანსი ჰქონდათ, აქ - გაცილებით ბევრი და რეიტინგები ძალთა ბალანსს ბევრად უფრო ზუსტად ასახავს. თუმცა რეგიონულ კვოტებთან დაკავშირებით ძიუდოშიც ბლომად ვიხილეთ მოულოდნელი და საჭოჭმანო სურათი. მაგალითად, 66-ში სულ რომ ვითვლიდით ლატვიელი **დენის კოზლოვსის** ან ჰოლანდიელი **იესპერ დე იონგის** შანსებს (თუმცა ამისას - ნაკლებად) რეგიონულ კვოტაში მოსახვედრად, საბოლოოდ ის ვერც ერთმა მიიღო და ვერც - მეორემ, რადგან ორივე ქვეყანას სხვა წონებში გადაეცა კვოტები. სამაგიეროდ, ევროპული კვოტით საგზურები რეიტინგში 73-ე ადგილზე მყოფმა ბელგიელმა **იესპერ ლეფევერემ** და 92-ზე მდგომმა ბულგარელმა **მარტინ ივანოვმა** მიიღეს! სპორტული თვალსაზრისით ისინი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ, ამ დროს კი მათზე ბევრად ძლიერები დარჩნენ უსაგზუროდ - ეს უკვე არსებული წესის ხარვეზია, რაც უნდა გამოსწორდეს. მოარული ხმებით, ოლიმპიადის შემდეგ ძიუდოს სამყაროში ბევრი ცვლილება მოხდება. სავარაუდოდ, ერთ-ერთი ლიცენზიების განაწილებაც იქნება.

## რეიტინგი და ქართველთა ოლიმპიური შანსები

ოლიმპიადაზე განთესილთა შორის ორი ქართველი იქნება - 60-ის მონაწილე და ლიპარტელიანი. 60-ში პაპინაშვილი კარგა ხანს მეექვსე იყო, მერე კი ერთი ადგილით წინ წაიწია და საბოლოოდ მეხუთეზე დამკვიდრდა. ამავე წონაში **ბეთქილ შუკვანი** სალიცენზიო ჩათვლაში მე-11 ადგილზეა. ამათ შორის ვინც უნდა წაიყვანონ მწვრთნელებმა, უშუალოდ შეჯიბრებისას ყველაფერი თუ ლოგიკურად წარიმართა, მეოთხედფინალში ჩვენი ფალავანი რუსს შეხვდება (იმათაც ორი საგზური აქვთ, მონაწილე კი ჯერ უცნობია), ხოლო ამათში მოგებული ნახევარფინალში რეიტინგის პირველ ნომერს, მსოფლიოს ბოლო ორი პირველობის მომგებ უზბეკ **დიშოდ სობიროვს** დაეჯახება. ვიმეორებთ - ეს იმ შემთხვევაში, თუ ლიდერები ნაადრევად არ გავარდებიან.

შაცდათუაშვილმა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და 22 კაცში 21-ე ნომრად შევიდა. მას თავიდანვე ძლიერებთან მოუწევს დაპირისპირება, თუმცა აქ სიძლიერეზე ლაპარაკი პირობითია — ასაკის გამო ჩვენებური მხოლოდ წლეულს ჩაერთო სალიცენზიო შეჯიბრებებში, თორემ სპორტული მონაცემებით რომ არავის ჩამორჩება, ეს პრაღის მსოფლიოს თასის მოგებითა და ევროპული ბრინჯაოთი დაამტკიცა.

22-ში ადგილი ტატალაშვილმა სეზონის დასაწყისში გაინაღდა, და ჭრიკიშვილმა - ჯერ კიდევ შარშან, საბოლოოდ კი პირველი 20-ზე დამკვიდრდა, მეორე - მე-18-ზე. მათ მედლამდე ბევრად ძნელი გზის გავლა მოუწევთ.

90-ში ყველაფერი თუ ასევე ლოგიკურად წავიდა, ლიპარტელიანი მეოთხედფინალში კუბელ **ეშლი გონსალესს** შეხვდება, ნახევარფინალში კი - **ილიას ილიადისს (ჯარჯი ზვიადაურს)**. გონსალესთან ჩვენებური წლეულს პარიზის „დიდი მუზარადის" მეოთხედფინალში დამარცხდა, ორი წლის წინ კი მონაგები აქვს მასთან. გაცილებით ხანგრძლივია ლიპარტელიანისა და ილიადისისი შეხვედრათა ისტორია - ის ოთხ ორთაბრძოლას მოითვლის, ანგარიში კი 2:2-ია.

100-ში ჟორჟოლიანი თავიდანვე დაწინაურდა, სალიცენზიო მარათონი კი მე-11 ადგილით დაამთავრა, ხოლო ცირეკიძე მე-17-ეა. მძიმე წონის ლიდერი ოქრუაშვილია, რომელმაც ბოლო შეჯიბრებებში კარგი გამოსვლით გადაუსწრო ხანჯალიაშვილს. ოქრუაშვილი რეიტინგში მე-13-ეა, ხანჯალიაშვილი - მე-19-ე. ჩვენები 9-10 ივნისს რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადზე" გამოვლენ, იქიდან კი ერთობლივი ვარჯიშების შემდეგ არგენტინაში გადავლენ და 16-17 ივნისს ბუენოს აირესში მსოფლიოს თასზე იასპარეზებენ. სადავო წონებში საბოლოო არჩევანიც ამ შეჯიბრებათა შედეგების გათვალისწინებით გაკეთდება.

**ირაკლი თავაძე**

## მილოცვა

იროდი ბეჟაშვილი და მეგობრები დაბადებიდან საიუბილეო 75 წელს ულოცავენ ვეტერან მოჭიდავეს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს **ვაჟა ნუცუბიძეს.**



# ქართული სპორტის ქრონიკები

### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

## ანა დოლონაძე

დაიბადა 15.02.1973, მცხეთა. ბატუტზე ხტომა. ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (2004), სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (2000, VIII ადგილი), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1990 - გუნდური, 1998 - სინქრონული, 2001 - პირადი), ორგზის მეორე (1999, 01 - სინქრონული) და ოთხგზის მესამე (1998, 99, 03 - პირადი; 2003 - სინქრონული) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1993 - სინქრონული), მეორე (1993 - პირადი) და ორგზის მესამე (2002 - სინქრონული, 2004 - პირადი) პრიზიორი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი (1989 - გუნდური; 1997, 98, 01 - სინქრონული; 1998 - პირადი) და ხუთგზის მეორე (1993, 95, 00 - სინქრონული; 1993, 00 - პირადი) სამგზის მესამე (1998 - გუნდური; 2001 - პირადი; 2002 - სინქრონული) პრიზიორი, სსრკ ჩემპიონი (1990 - პირადი), მეორე (1989 - პირადი) და მესამე (1990 - სინქრონული) პრიზიორი, დობროვოლსკის თასის მფლობელი (1988 - პირადი), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1988). 1996 წლიდან ცხოვრობს გერმანიაში, 1998-იდან გამოდის ამ ქვეყნის სახელით. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.



### ქართული ხალხური თამაშები

## გოხის რეკება

გოხის რეკება (ქვის სროლა) თუშური ხალხური თამაშია. შეჯიბრება ტარდება ადგილიდან გოხის ქვის (რიყის ქვის) სროლაში სიშორეზე. ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებიან, როგორც ჩვეულებრივ, გასართობად, ისე საერო თუ სასულიერო დღესასწაულებზე. ასეთ შეჯიბრებაში გამარჯვებული „მკლავწვენიანი" ტიტულის მფლობელი ხდება, რაც საპატიო და საამაყოა თემში.



### პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ოფიციალური საავიაციო კლუბი სახელწოდებით „სკაი ტრაველ" საქართველოში გაიხსნა 2005 წელს. კლუბის დევიზია: „ჩვენი ძირითადი საქმიანობა არის ცაში თავგადასავალი".

■ ■ ■

**პირველმა** საქართველოს ოფიციალური რეკორდი ცურვაში დაამყარა ბათუმელმა **ნიკოლოზ პაკროვსკიმ**. 100 მ თავისუფალი სტილით მან 1.08,6 წუთში დაფარა.

■ ■ ■

**პირველად** საჭიდაო ხალიჩაზე **დავით გობეჯიშვილი** მოსწავლეთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში ქუთაისის საქალაქო პირველობაზე გავიდა და 16 წლის ახალგაზრდამ ყველას აჯობა. რაც მთავარია, მწვრთნელ **მურად დახტურიშვილის** ყურადღების ცენტრში მოექცა.

### საფალავნოს ფოტომატიანე

თუ არ ვცდები, ეს ფოტო პრესაში არასდროს გამოქვეყნებულა. მინაწერით ირკვევა, რომ გადაღებულია 1900-იან წლების დასაწყისში. მარცხნივ **ალექსანდრე ეგნატაშვილია,** მეორე ფალავანი კი უცნობია. ალექსანდრე ცნობილი მოჭიდავის **იაკობ ეგნატაშვილის** ვაჟი იყო.



თბილისის ცირკში და შემდეგ სპორტის სასახლეში, ადრე რამდენჯერმე გათამაშდა ცნობილ ქართველ ფალავანთა, მათ შორის იაკობის სახელობის პრიზი.

მოჭიდავეთა ეს გვარი წარმოშობით სოფელ რუისიდანაა, რომელიც იმ პერიოდში გორის მაზრაში შედიოდა.

ფოტო მოგვაწოდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორმა **გურამ რატიშვილმა,** რომელიც მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აკადემიის ჭიდაობის კათედრას და სამეცნიერო-მეთოდურ დახმარებას უწევდა ბერძნულ-რომაული ჭიდაობისა და ძიუდოს ნაკრებ გუნდებს.

**გურამ სალარაძე**
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

### 10 - 16 მაისი

**10. 1923 წ.** დაიბადა **ომარ ქორქია** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს.

**10. 1931 წ.** დაიბადა **იოსებ კრიხელი** - საჭადრაკო კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1988 წელს.

**10. 1937 წ.** დაიბადა **ვაჟა ნუცუბიძე** - ჭიდაობა, სპორტის ვეტერანი მუშაკი. დაბადებიდან 75 წელი.

**10. 1945 წ.** დაიბადა **მურმან ქურიძე** - კალათბურთი, მსაჯი.

**10. 1971 წ.** დაიბადა **გიორგი ნემსაძე** - ფეხბურთი.

**11. 1937 წ.** დაიბადა **რომა გიუტაშვილი** - ალპინიზმი.



**11. 1968 წ.** ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში სსრ კავშირის ნაკრებში უნგრეთთან მატჩში **მურთაზ ხურცილავა** საუკეთესოდ აღიარეს.

**12. 1961 წ.** გაიხსნა თბილისის სპორტის სასახლე.

**13. 1981 წ.** თბილიის „დინამოს" გამარჯვება დიუსელდორფში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში „კარლ-ცეისთან" - 2:1.

**14. 1930 წ.** დაიბადა **რეზო ტრაპაიძე** - მძლეოსნობა.

**15. 1914 წ.** დაიბადა **მიხეილ ბერძენიშვილი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1981 წელს.

**15. 1952 წ.** დაიბადა **ოლეგ ზურაბიანი** - ძიუდო.

**15. 1968 წ.** დაიბადა **ზურაბ კახაბრიშვილი** - სპორტული მედიცინა, პროფესორი.

**16. 2008 წ.** „ზესტაფონმა" თბილისის „ამერი" 2:1 დაამარცხა და პირველად დაეუფლა საქართველოს თასს ფეხბურთში.

### ვიქტორინა

**1. სად და რომელ წელს გახდა ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილი?**

ა - მიუნხენში 1972 წელს
ბ - მონრეალში 1976 წელს
გ - მოსკოვში 1980 წელს

**2. რომელ წელს იასპარეზა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალში საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა (ფაქტობრივად, თბილისის „დინამომ"?)**

ა - 1971 წელს
ბ - 1975 წელს
გ - 1979 წელს

**3. ერთი მატჩის რამდენი წუთის განმავლობაში გაიტანა 1966 წლის 22 სექტემბერს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელმა ილია დათუნაშვილმა 5 ბურთი ერევნის „არარატის" კარში?**

ა - 19 წუთში
ბ - 26 წუთში
გ - 38 წუთში

**4. სად შედგა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპონატის ფინალური მატჩი ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას შორის 1975 წელს?**

ა - რიგაში
ბ - ბორჯომში
გ - პიწუნდაში

**5. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუა გახდა ჯერ ოლიმპიური:**

ა - მეორე პრიზიორი და შემდეგ ჩემპიონი
ბ - ჩემპიონი და შემდეგ პრიზიორი
გ - ჩემპიონი, პრიზიორი არ გამხდარა

პასუხები: 1 - ა, 2 - ბ, 3 - ბ, 4 - გ, 5 - ა

## კალათბურთი. საქართველოს XXII ჩემპიონატი. 1/2 ფინალი

# არმია ფინალისკენ დაიძრა



მატჩის გმირი უილიამ ტომასი

როცა ერთმანეთს კლასით თანაბარი კალათბურთელები უპირისპირდებიან, მცირე ნიუანსსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, გუშინ აშკარად გამოჩნდა, რომ „არმია" უფრო შეკრული გუნდია და სხვადასხვა სიტუაციაში შეუძლია ტაქტიკურ მონახაზში ცვლილებების სათავისოდ შეტანა. თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ არმიელების მწვრთნელმა, **კოტე ტუღუშმა** სწორი დასკვნა გამოიტანა - მესამე პერიოდში თამაში ააჩქარა. ასეთ დროს, როგორც წესი, ბევრი რამ გამთამაშებლებზეა დამოკიდებული, ძალოვნებში კი ფორვარდი **უილიამ ტომასი** გამოირჩა, რომელიც **ვიქტორ სანიკიძესავით** დრიბლინგით გადადიოდა მეტოქის ნახევარზე და უმეტეს შემთხვევაში შეტევას ფარქვეშიდან ზუსტი გდებით ამთავრებდა. საბოლოოდ ტომასმა ბომბარდირობა არავის დაუთმო - 30 ქულას მოუყარა თავი.

მესამე პერიოდში „არმიას" მიერ ტემპის მომატებამ შედეგიც გამოიღო და მეოთხე რაუნდს 11-ქულიანი უპირატესობით შეხვდა. სტატისტიკაც უნდა მოვიშველიოთ: საწყის ორ მეოთხედში ტუღუშის შეგირდებს სწრაფი შეტევით 7 ქულა ჰქონდათ მოგროვილი, მესამე პერიოდში კი პირველი შეტევის შედეგად ერთბაშად 8 ქულა მოინაგრეს. ხოლო მეოთხე რაუნდში სწრაფი იერიშებით ქულაც არ მოუპოვებიათ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან არმიელებს ბოლო რაუნდში არსად ეჩქარებოდათ.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: „სოხუმმა" მოხსნებში 36:34 იმარჯვა. ამის მიუხედავად, სამწამიანი ზონიდან შეტევაში „არმიას" სერიოზული უპირატესობა ჰქონდა - 42 ქულა ჩააგდო, მაშინ, როცა საკუთარ კალათში 28 მიიღო. ფარქვეშიდან ტყორცნების მიხედვით პირველ ტაიმში სხვაობა მხოლოდ ორ ქულას შეადგენდა, მესამე ათწუთეულში კი, როგორც გითხარით, ძალოვნები სწრაფი თამაშით ფარქვეშ შესვლას კარგად ახერხებდნენ და ქულებსაც უმთავრესად სამწამიანი ზონიდან აგროვებდნენ...

მეორე მატჩი დღეს გაიმართება. საინტერესოა, რომელ გუნდს აღმოაჩნდება სათანადო რესურსი ზედიზედ მეორე შეხვედრის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

9 მაისი, თბილისი

### არმია-სოხუმი 79:63

15:15, 20:16, 21:14, 23:18

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, ს. საიწერისი

| მოთამაშე | წთ | 2ქ.ჩაგ. | 2ქ.ნას. | 2ქ% | 3ქ.ჩაგ. | 3ქ.ნას. | 3ქ% | 1ქ.ჩაგ. | 1ქ.ნას. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რიჩარდსონი* | 25:57 | 3 | 7 | 42.9 | 1 | 4 | 25 | 2 | 2 | 100 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 11 |
| ბაბიაშვილი | 01:56 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბოისა* | 17:02 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 |
| უგრეხელიძე | 09:40 | 1 | 1 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 2 |
| კვიმსაძე | 15:10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ტომასი* | 35:27 | 13 | 18 | 72.2 | 0 | 1 | 0 | 4 | 6 | 66.7 | 1 | 7 | 8 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 30 |
| შელბომი | 22:33 | 4 | 4 | 100 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 100 | 5 | 4 | 9 | 1 | 4 | 0 | 2 | 1 | 10 |
| დიასი* | 31:27 | 3 | 7 | 42.9 | 1 | 5 | 20 | 3 | 3 | 100 | 0 | 5 | 5 | 4 | 4 | 2 | 0 | 0 | 12 |
| ვუდსაიდი* | 36:50 | 7 | 12 | 58.3 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 2 | 1 | 0 | 14 |
| საყვარელიძე | 03:58 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯამი | | 31 | 52 | 59.62 | 2 | 13 | 15.38 | 11 | 13 | 84.62 | 10 | 24 | 34 | 17 | 22 | 7 | 6 | 2 | 79 |

| მოთამაშე | წთ | 2ქ.ჩაგ. | 2ქ.ნას. | 2ქ% | 3ქ.ჩაგ. | 3ქ.ნას. | 3ქ% | 1ქ.ჩაგ. | 1ქ.ნას. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფარლალავა* | 35:40 | 2 | 5 | 40 | 1 | 6 | 16.7 | 2 | 2 | 100 | 1 | 2 | 3 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 9 |
| ჩლაიძე* | 15:31 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 2 | 2 | 100 | 1 | 3 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ათუაშვილი | 04:00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 100 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ფაცაცია* | 39:16 | 3 | 7 | 42.9 | 2 | 7 | 28.6 | 1 | 3 | 33.3 | 3 | 4 | 7 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 13 |
| გაფრინდაშვილი | 01:50 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ჯგერენაია | 07:30 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 50 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ჩაჩიბაია | 05:54 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯექსონი* | 33:11 | 4 | 7 | 57.1 | 1 | 4 | 25 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 11 |
| მილოშევიჩი* | 32:55 | 6 | 13 | 46.2 | 0 | 0 | 0 | 3 | 4 | 75 | 2 | 7 | 9 | 4 | 3 | 4 | 1 | 1 | 15 |
| რიჩარდსი | 24:13 | 4 | 5 | 80 | 0 | 3 | 0 | 2 | 2 | 100 | 2 | 1 | 3 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 10 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ჯამი | | 19 | 39 | 48.72 | 4 | 22 | 18.18 | 13 | 17 | 76.47 | 15 | 21 | 36 | 11 | 15 | 14 | 3 | 1 | 63 |

**სერია - 1:0**

## V-VIII ადგილები

# 33

9 მაისი, თბილისი

### დინამო-თსუ 115:82

25:12, 26:19, 32:25, 32:26

**დინამო:** ლეჟავა (3ქ, 6პ, 8მ), ლომიძე (2ქ), კეიდია (10ქ, 8მ), მეხრიშვილი (10ქ), გრუევი (19ქ, 10პ), ზესევიჩი (17ქ, 3პ), ოლუიჩი (21ქ, 14მ, 3პ, 11დ), კარტერი (33ქ, 14მ, 3პ, 3ჩ).

**თსუ:** მჭედლიშვილი (5ქ, 3პ), კოხრეიძე (6ქ, 6მ), თავამაიშვილი (4ქ), ჩიტაშვილი (1ქ, 5პ), ხიზანიშვილი (11ქ), შერმადინი (2ქ), მაისურაძე (27ქ, 7მ), ჩქარეული (5ქ), ბაქრაძე (3ქ), ჩიკვილაძე (18ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე

ამ შეხვედრას რიცხვი 33 მწვანე ზოლად გაჰყვა: მატჩის ბომბარდირი 33 ქულით „დინამოს" 33-ე ნომერი **ქიენ კარტერი** გახდა. მისმა გუნდმა კი 33 ქულის სხვაობით დაამარცხა თსუ.

სუპერლიგის წლევანდელ გათამაშებაში მორიგი სამმაგი დუბლი შესრულდა: **მილან ოლუიჩმა** 21 ქულა, 14 მოხსნა და 11 დაფარება მოაგროვა. 11 „ბლოკ-შოტი" არა მხოლოდ მიმდინარე სუპერლიგის, არამედ საქართველოს ჩემპიონატების აბსოლუტური რეკორდია.



**მილან ოლუიჩის ჩატენვა**

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ოლიმპის ნანატრი გამარჯვება



როგორც მოსალოდნელი იყო, ნახევარფინალურმა შეხვედრამ ქუთაისში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ადგილობრივი სპორტის სასახლე პირთამდე გაივსო და დარბაზში შესანიშნავი საკალათბურთო გარემო იყო. შეხვედრის დაწყებამდე კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** „ქუთაისის" ცნობილი ვეტერანი კალათბურთელი, ამჟამად „ქუთაისის" მწვრთნელი **გელა დარსაძე,** რომელსაც 50 წელი შეუსრულდა, სამახსოვრო პრიზითა და საქართველოს ნაკრების 50-ნომრიანი მაისურით დააჯილდოვა.

„ქუთაისსა" და „ოლიმპს" შორის უშელავათო ბრძოლა რომ გაიმართებოდა ამის წინაპირობას ამ გუნდებს შორის გამართული წინა მატჩები იძლეოდა. მართალია, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გუნდს ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ მიმდინარე სეზონში „ქუთაისთან" გამართულ სამივე მატჩში დამარცხდა და როგორც თამაშის შემდეგ თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა **გია კაზანჯიანმა** გვითხრა, უხერხულ მეტოქესთან რევანშისთვის მისი შეგირდები გაორმაგებული მონდომებით ემზადებოდნენ. თბილისელებს შემართება დაუფასდათ, დაძაბულ ბრძოლაში „ქუთაისის" დამარცხება მოახერხეს და ფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს.

შეხვედრა თავიდანვე „ოლიმპის" აქტიურობით დაიწყო. **სლიუკამ** ჯერ სამქულიანი ჩააგდო, რასაც ორქულიანიც მიაყოლა და სტუმრები 5:0 დააწინაურა. საწყის წუთებში მასპინძლებს სროლები არ წაუვიდათ. ზუსტად 3 წუთი იყო გასული, როცა **ცეკვავამ** პირველი ორქულიანი ჩააგდო, მანამდე კი ქუთათურების მონაგარი მხოლოდ **მათიაშვილის** ჯარიმიდან ჩაგდებული ერთი ქულა გახლდათ. დროდადრო მასპინძლებმა თავიანთი „კოზირი" - სამქულიანი სროლები სრული სიზუსტით აამოქმედეს და ოთხი ქულითაც დაწინაურდნენ - 13:9. მალე უპირატესობა ისევ თბილისელთა ხელში გადავიდა და ამაში ლომის წვლილი **გიორგი ცინცაძემ** შეიტანა, რომლის შეტევებს ქუთათურები ვერაფერს უპირისპირებდნენ. მან ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი **ბერიშვილს** გაუწია ასისტენტობა და პირველი პერიოდი „ოლიმპმა" 10 ქულით მოიგო - 13:23.

საერთო ჯამში „ოლიმპის" დიდმა გაქცევამ 16:0 შეადგინა და ანგარიში 13:25 გახდა. ამ მომენტში კარგად გაისარჯა ოლიმპელთა სათადარიგო ფორვარდი **ივან ტოდოროვიჩი**, რომელმაც 15 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა და ორივე გუნდიდან გამორჩეული იყო.

მასპინძლებმა თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლეს, კარგად ჩაერთო თამაშში **დარკო კოჰადარევიჩი** და დიდ შესვენებამდე ისევ 10-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა - 24:34.

მესამე პერიოდის დასაწყისში ტოდოროვიჩმა შესანიშნავად ჩატენა ბურთი, მაგრამ, მალე გულშემატკივრებისგან გამხნევებულ ქუთაისელებს სამქულიანი სროლები შესანიშნავად წაუვიდათ და 13:0 „გაქცევა" მოაწყვეს. ჯერ **გიგი ბარბაქაძემ** ჩააგდო, შემდეგ კი **რეზო დიდიამ** ზედიზედ ორჯერ ისროლა ზუსტად, რასაც **რიჩარდ მათიაშვილის** საჯარიმოებიც დაერთო და მასპინძლებმა 4 ქულამდე დაიყვანეს სხვაობა. უსტიაშვილის შეგირდები უკეთეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყვნენ და ეს გამოიყენეს კიდეც. მასპინძლები გიგი ბარბაქაძემ და კოჰადარევიჩმა წინ გაიყვანეს - 45:41. ეს იყო პერიოდი, როცა ემოციებისგან და ხმაურისგან ლამის დარბაზი ჩამოინგრა. მესამე მეოთხედის ბოლო წამები უალრესად დაძაბულად წარიმართა და მიხეილ ბერიშვილის მიერ მოპოვებული ექვსი ქულის წყალობით „ოლიმპი" ისევ დაწინაურდა - 49:53

გადამწყვეტი პერიოდის დასაწყისში ქუთაისელებმა ზედიზედ რამდენიმე უნაყოფო შეტევა განახორციელეს და მეტოქეს 8 ქულით ჩამორჩნენ. ტოდოროვიჩის შესანიშნავი გდების შემდეგ ანგარიში 51:59 გახდა. დიდიას დროული სამქულიანის წყალობით ქუთათურებმა მატჩის გადარჩენის შანსი დაიბრუნეს, მაგრამ ბოლო წუთებზე შესანიშნავად ითამაშა **ლაშა გამყრელიძემ**, რომელმაც გუნდის ლიდერობა იტვირთა, ამ პერიოდში 6 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ „ოლიმპმა" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

*ავტორის ფოტო*

9 მაისი, ქუთაისი

### ქუთაისი-ოლიმპი 59:67

13:23, 11:11, 25:19, 10:14

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი

| მოთამაშე | წთ | 2ქ.ჩაგ. | 2ქ.ნას. | 2ქ% | 3ქ.ჩაგ. | 3ქ.ნას. | 3ქ% | 1ქ.ჩაგ. | 1ქ.ნას. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 14:06 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 |
| კოჰადარევიჩი | 24:21 | 6 | 11 | 54.5 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 5 | 6 | 1 | 2 | 3 | 0 | 4 | 12 |
| ბაბუნაშვილი* | 32:22 | 1 | 2 | 50 | 0 | 6 | 0 | 2 | 4 | 50 | 0 | 1 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| დიდია* | 30:33 | 0 | 2 | 0 | 5 | 6 | 83.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 4 | 3 | 2 | 2 | 1 | 0 | 15 |
| ცეკვავა* | 33:32 | 1 | 6 | 16.7 | 2 | 5 | 40 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 | 6 | 7 | 2 | 5 | 0 | 0 | 8 |
| დ. ბარბაქაძე | 03:45 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გ. ბარბაქაძე* | 32:58 | 2 | 3 | 66.7 | 1 | 7 | 14.3 | 1 | 1 | 100 | 1 | 2 | 3 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 8 |
| მათიაშვილი* | 28:23 | 4 | 6 | 66.7 | 0 | 1 | 0 | 4 | 9 | 44.4 | 2 | 11 | 13 | 1 | 3 | 3 | 2 | 2 | 12 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 2 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯამი | | 14 | 32 | 43.75 | 8 | 29 | 27.59 | 7 | 14 | 50.00 | 10 | 29 | 39 | 19 | 15 | 16 | 5 | 6 | 59 |

| მოთამაშე | წთ | 2ქ.ჩაგ. | 2ქ.ნას. | 2ქ% | 3ქ.ჩაგ. | 3ქ.ნას. | 3ქ% | 1ქ.ჩაგ. | 1ქ.ნას. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე* | 37:06 | 5 | 11 | 45.5 | 0 | 3 | 0 | 2 | 2 | 100 | 0 | 3 | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | 0 | 12 |
| გულისაშვილაშვილი | 12:38 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მილუტინოვიჩი | 07:30 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 100 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ბერიშვილი | 21:41 | 2 | 2 | 100 | 1 | 4 | 25 | 5 | 6 | 83.3 | 1 | 3 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 1 | 12 |
| სლიუკა* | 24:56 | 1 | 2 | 50 | 1 | 5 | 20 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 5 |
| ტუტუსი* | 22:58 | 0 | 1 | 0 | 1 | 4 | 25 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 2 | 0 | 3 |
| ცინცაძე* | 33:11 | 4 | 10 | 40 | 2 | 4 | 50 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 6 | 3 | 3 | 0 | 1 | 0 | 14 |
| ტოდოროვიჩი | 27:36 | 7 | 11 | 63.6 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 50 | 3 | 9 | 12 | 1 | 4 | 3 | 2 | 0 | 15 |
| ჰოგერი * | 12:24 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 4 | 4 | 100 | 3 | 4 | 7 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 2 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ჯამი | | 19 | 42 | 45.24 | 5 | 23 | 21.74 | 14 | 16 | 87.50 | 13 | 30 | 43 | 13 | 16 | 11 | 9 | 1 | 67 |

**სერია - 0:1**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ბრივი ლიდერებისაგან იცლება


მარცხნივ დავით ხინჩაგიშვილი

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ბოლოსწინა ტურში მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა ქართველ მორაგბეთა გუნდისთვის - დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა და ირაკლი ნატრიაშვილის „ბრივი“ შინ მოულოდნელად დამარცხდა უშუალო კონკურენტ „ბორდოსთან“ და ბოლოსწინა, დივიზიონიდან გასავარდნ ადგილზე დამკვიდრდა.**

ბრიველები, ფაქტობრივად, უკვე მეორე დივიზიონში არიან. ბოლო ტურში ჩვენებურთა ამ გუნდს სტუმრად უწევს თამაში ერთ-ერთ ლიდერთან, **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონთან“. მართალია, „ვულკანებს“ ამ თამაშში გამარჯვება არაფერში სჭირდებათ, მაგრამ მათ საკუთარ მოედანზე აგერ უკვე მეორმოცე მატჩია, არ წაუგიათ და არც ამჟამად დათმობენ რამეს. თანაც „ბრივმა“ ისე უნდა მოიგოს, რომ პრემიალური ქულაც დაიმსახუროს.

ამასთან ერთად, კონკურენტმა „ბაიონმა“ სტუმრად პრემიალურის გარეშე უნდა წააგოს **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრთან“. რაც სავსებით შესაძლებელია, თუმცა „ბრივის“ წარმატება ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება.

შინაგანად უკვე ყველა შეეგუა, რომ ფრანგული რაგბის ერთ-ერთი უძველესი და ტიტულოვანი გუნდი ელიტას გამოეთხოვა. „ბრივი“ მე-19 საუკუნის მიწურულს 1883 წელს დაარსდა და საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული 13-ჯერ მოიპოვა. ამ გუნდში თამაშობდა ოდესღაც ქართული წარმოშობის ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი მორაგბე **მიშელ იაშვილი, დიმიტრი** და **გრეგუარ იაშვილების** მამა.

ცხადია, ელიტიდან გავარდნის გამო გუნდს ბევრი წამყვანი მოთამაშე დატოვებს. საქართველოს ნაკრების ბურჯი ვასილ კაკოვინი დიდი ხანია ცნობილია, რომ ფრანგული რაგბის გრანდში, „ტულუზში“ გადადის. ახლახან კი ყოველდღიურ სარაგბო გაზეთ „მიდი ოლიმპიკმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩვენი ნაკრების კიდევ ერთი ბურჯი დავით ხინჩაგიშვილი შესაძლოა პარიზულ „სტად ფრანსეში“ გადაბარგდეს. სავარაუდოდ, მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

გადაწყვეტილია, რომ „ბრივში“ რჩება საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი**. ამავე გუნდში ჩაირიცხება საქართველოს A ნაკრების მესამეხაზელი **ბექა ბინაძე**.

აღსანიშნავია, რომ თუ ხინჩაგიშვილი პარიზულ კლუბში ჩაირიცხა, ის იქ ერთადერთი ქართველი არ იქნება. „სტად ფრანსემ“ დიდი ხანია თვალი დაადგა ქუთაისის „აიას“ შერკინების ბურჯ **ზურაბ ჟვანიას**, რომელიც ფოთის „რაინდების“ აღზრდილია. ჟვანია პარიზს ჯერ კიდევ ამ სეზონის დაწყების წინ უნდა გამგზავრებულიყო, თუმცა სავიზო პრობლემების გამო ეს არ მოხერხდა.

ამის გარდა მოსალოდნელია კიდევ რამდენიმე ახალი ტრანსფერი. ქუთაისის „აიას“ კიდევ ერთი შერკინების ბურჯი **თორნიკე ლომიძე** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის „ბიარიცში“ ჩაირიცხა, რომელმაც ქართველი მორაგბე განათხოვრების წესით „მონ დე მარსანს“ დაუთმო.

ეს გუნდი ამჟამად ელიტურ, მეორე დივიზიონში ასპარეზობს და პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის. გამორიცხული არაა, წარმატების შემთხვევაში პირველ დივიზიონშიც აღზევდეს. სავარაუდოდ, ამავე გუნდში განაგრძობს ასპარეზობას „არმიას“ შუამარბი **თამაზ მჭედლიძეც**.

დაჯილდოება

# საუკეთესონი: რობშო და ფარელი

**ლონდონში, სასტუმრო „ჰილტონში“ ინგლისის ჩემპიონატის საუკთესო მორაგბეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. 2011-12 წლების საუკეთესო ინგლისელ მორაგბედ ჰარლიქვინზის კაპიტანი კრის რობშო დაასახელეს.**

მან ეს ტიტული უკე მეორედ მოიგო. პირველად აღიარება რობშოს 2008-09 წლების სეზონში ხვდა წილად.

„მან ეს პრიზი ალალად დაიმსახურა. ყველაზე მეტად, რაც ამ მორაგბეში მხიბლავს, გუნდის მიმართ მისი ერთგულების გრძნობაა. რობშო იმ მოთამაშეების კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც პირადულზე მაღლა გუნდის ინტერესებს აყენებს. მთავარი მისთვის გუნდის მიერ მოპოვებული წარმატებაა. ეს კრისს მართლაც ღირსებას მატებს“ - თქვა „ჰარლიქვინზის აღმასრულებელმა დირექტორმა **კონორ ოშიმ**.

საუკეთესო მორაგბესთან ერთად ინგლისელებმა სეზონის აღმოჩენაც გამოავლინეს. ასეთად ამჯერად 20 წლის „სარასენზის“ მგეზავი **ოუენ ფარელი** დასახელდა. მას პრიზი ბრიტანეთის დედოფლის შვილიშვილმა, ლეგენდარული ინგლისელი მორაგბის, **მაიკ თინდოლის** მეუღლემ, **ზარა ფილიპსმა** გადასცა.

შეგახსენებთ, რომ შარშან სეზონის აღმოჩენად შუამარბი **მანუ ტუილაგი** დაასახელეს.

წლეულს საუკეთესო მენეჯერად „ექსეტერის“ პრეზიდენტი **რობ ბაქსტერი** აღიარეს. გამოვლინდა აგრეთვე სეზონის სიმბოლური ნაკრები.

სიმბოლური ნაკრები: 15. მაიკ ბრაუნი (ჰარლიქვინზი), 14. ორასიო აგულა (ლეტერი), 13. ჯორჯ ლოუ (ჰარლიქვინზი), 12. ჯორჯ პისი (ნორსჰეპთონი), 11. ალესანა ტუილაგი, 10. ტობი ფლუდი (ორივე-ლესტერი), 9. ჰეიდენ ტომასი (ექსეტერი). 1. ჯო მარლერი (ჰარლიქვინზი), 2. სხალკ ბრიტსი (სარასენზი), 3. დენ კოლი (ლესტერი), 4. სამუ მანოა (ნორსჰემპთონი), 5. ჯოფ პერლინგი (ლესტერი), 6. კრის რობშო (ჰარლიქვინზი), 7. ჯეიმზ სკეისბრუკი (ექსეტერი), 8. ნიკ ისთერი (ჰარლიქუინზი).


ზარა ფილიპსმა ოვენ ფარელი დააჯილდოვა

**ყველა საუკეთესო**

2004-05: მატინ ძორი (ლესტერ ტაიგერზი)
200506: მაიკ ძეთი (ლონდონ აირიში)
2006-07: მარტინ კასტროჯოვანი (ლესტერ ტაიგერზი)
2007-08: ჯეიმზ სიმპსონ-დენიელი (გლოსტერი)
2008-09: კრის როგშო (ჰარლიძუინზი)
2009-10: კრის ეშტონი (ნორსჰემთონი)
2010-11: ტომ ვუდი (ნორსჰემპთონი)

ჭაბუკთა B ლიგა



# B-ლიგელები ეკვატორს მიუახლოვდნენ

**მორიგი ტურის მატჩები გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა B ლიგის გათამაშებაში. შეგახსენებთ, რომ აქ გუნდები ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონაში არიან განაწილებული, რომლებშიც ასევე ორი, A და B ჯგუფებია.**

აღმოსავლეთ ზონის A ჯგუფში შვიდი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ორია, თბილისის „ჯიქები“ და „არმია“. როგორც ჩანს, პლეი ოფში გასვლის მთავარი კანდიდატებიც ეს გუნდები იქნებიან. მათ კვალში უდგანან და კონკურენციის გაწევას ცდილობენ რუსთავის „ხარები“ და თბილისის “ტორნადო“.

მე-7 ტურში „არმია“ სტუმრად შეხვდა პატარძეულის „ვეფხვებს“ და დიდი ანგარიშით დაამარცხა - 58:0. „ჯიქებმა“ კი ასევ დიდი ანგარიშით სძლიეს თბილისის „ივერიას“ - 40:0. მომდევნო ტურში ერთმანეთს სწორედ ლიდერთა რკენაა. „არმიას“ ამჟამად 32 ქულა აქვს და „ჯიქებს“ ოთხი ქულით უსწრებს. ამ გუნდს კი ერთი თამაში თადარიგში აქვს.

რუსთავის „ხარებმა“, რომელიც 22 ქულით მესამე ადგილზეა, სტუმრად მოუგო მშრალი ანგარიშით თბილისის „ყოჩებს“ - 20:0. „ტორნადო“ კი, რომელიც რუსთაველებს ორი ქულით ჩამორჩება ამ ტურში ისვენებდა.

დიდი ანგარიშებით დასრულდა ამ ჯგუფის კიდევ ორი შეხვედრა. დებიუტანტმა თბილისის „ჯვაროსნებმა“ შინ დაამარცხეს თელავის „მუტრუკები“ - 47:3. თბილისის „ლელოს“ პირველმა გუნდმა კი მეორეს 78:0 სძლია.

**აღმოსავლეთი ზონა**

**A ჯგუფი**

**ჯიქები-ივერია 40:0, ყოჩები-ხარები 0:20, ჯვაროსნები-მუტრუკები 47:3, ლელო 1-ლელო 2 78:0, ვეფხვები-არმია 0:58.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. არმია - 32 ქულა, 2. ჯიქები - 28, 3. ხარები - 22, 4. ტორნადო - 20, 5. ლელო 1 - 18, 6. ყოჩები - 16, 7. ჯვაროსნები - 15, 8. ივერია - 10, 9. ლელო 2 - 9, 10. ვეფხვები - 0, 11. მუტრუკები - 0.**

B ჯგუფში დაუმარცხებელი აღარავინაა. თბილისის „აკადემიამ“, რომელიც აქამდე გათამაშების ლიდერი იყო, პირველად მეხუთეადგილოსან თბილისის „არმაზთან“ წააგო - 6:15. სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე კი თბილისის „ლოკომოტივის“ პირველი გუნდი გადაბარგდა. „უმცროსმა რკინიგზელებმა“ გათამაშების დებიუტანტ თბილისის „წაქარას“ შანსი არ დაუტოვეს - 77:0.

სასიამოვნო მოულოდნელობაა გურჯაანის „კახების“ შესანიშნავი ასპარეზობა. კახელებმა მე-7 ტურში სტუმრად დაამარცხეს გათამაშების კიდევ ერთი დებიუტანტი თბილისის „ჩოხოსნები“ - 35:0 და 25 ქულით მეორე ადგილზე არიან.

ლიდერებს ბევრად არ ჩამორჩება თბილისის „ხულიგანა“, რომელიც 23 ქულით მე-4 ადგილზეა. ხულიგანელებმა სტუმრად კასპში „თსუ ლომებთან“ სარეკორდო ანგარიშით გაიმარჯვეს - 120:0.

**B ჯგუფი**

**თსუ ლომები-ხულიგანა 0:120, აკადემია-არმაზი 6:15, ჩოხოსნები-კახები 0:35, წიქარა-ლოკომოტივი-1 0:77, თიბისი-ლოკომოტივი 2 6:5.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლოკომოტივი 1 - 27 ქულა, 2. კახები - 25, 3. აკადემია - 24, 4. ხულიგანა - 23, 5. არმაზი - 23, 6. მიმინო - 14, 7. ჩოხოსნები - 14, 8. თიბისი - 12, 9. თსუ ლომები - 6, 10. ლოკომოტივი 2 - 2, 11. წიქარა - 0.**

დასავლეთი ზონის ორივე A და B ჯგუფებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისური გუნდები ლიდერობენ. A ჯგუფში ქუთაისის პირველ გუნდს, რომელსაც აქამდე ჯერ არ წაუგია და 23 ქულით პირველ ადგილზეა, ასევე დაუმარცხებელი ფოთის „რაინდები“ უწევს კონკურენციას. ფოთელები ქუთათურებს სამი ქულით ჩამორჩებიან, თუმცა ერთი მატჩით ნაკლები აქვთ გამართული.

„ქუთაისი 1“-მა განვლილ ტურში თანაქალაქელთა მეოთხე გუნდი დაამარცხა დაძაბულ ბრძოლაში - 15:12. „რაინდები“ კი ამჯერად ისვენებდნენ.

მეოთხეადგილოსანმა „ადიგენმა“ შინ მოუგო „ქუთაისი 5“-ს - 20:7. ასპინძის „ლომები“ კი შინ ვერას გახდნენ „ბორჯომთან“ - 5:57.

**დასავლეთი ზონა**

**A ჯგუფი**

**ლომები-ბორჯომი 5:57, ადიგენი-ქუთაისი 5 20:7, ქუთაისი 4-ქუთაისი 1 12:15.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ქუთაისი 1 - 23 ქულა, 2. რაინდები - 20, 3. ქუთაისი 4 - 16, 4. ადიგენი - 10, 5. ბორჯომი - 9, 6. ქუთაისი 5 - 5, 7. ლომები - 0.**

B ჯგუფში დაუმარცხებელი ერთიღა დარჩა, ეს ქუთაისის მესამე გუნდია, რომელმაც შინ გაწბილებული გაისტუმრა საჩხერის „ჯრუჭი“ - 51:0. ქუთათურებს ახლა 29 ქულა აქვთ და პირველ ადგილზე არიან. მათ რვა ქულით ჩამორჩება „ქუთაისი 2“, რომელიც განვლილ ტურში ისვენებდა.

მეორე მატჩი მოიგეს ოზურგეთის „არწივებმა“. ამ გუნდმა სტუმრად შეძლო სატურნირო ცხრილის მეზობლის, ჭიათურის „იმერეთის“ ძლევა - 17:12.

სატურნირო ცხრილში წინ წაიწია „ქობულეთმა“, რომელმაც სტუმრად აუტსაიდერი „ქუთაისი 6“ დაამარცხა - 41:5. ქობულეთელებს ახლა 11 ქულა აქვთ და მესამე ადგილზე არიან.

**B ჯგუფი**

**ქუთაისი 6-ქობულეთი 5:41, ქუთაისი 3-ჯრუჭი 51:0, იმერეთი-არწივები 12:17.**

**სატურნირო მდგომაეობა**

**1. ქუთაისი 3 - 29 ქულა, 2. ქუთაისი 2 - 21, 3. ქობულეთი - 11, 4. არწივები - 10, 5. იმერეთი - 10, 6. ჯრუჭი - 6, 7. ქუთაისი 6 - 2.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ფრანგების სიის პრეზენტაცია

# ფრანგების გაფართოებული

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვენსან კოლემ** ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. 18-კაციან სიაში ქვეყნის პრაქტიკულად ყველა უძლიერესი კალათბურთელი მოხვდა, მათ შორის NBA-ის ვარსკვლავები – **ტონი პარკერი, ნიკოლა ბატუმი, ჟოაკიმ ნოა** და სხვები.

სავარაუდოდ, ოლიმპიადაზე ვერ ითამაშებს "ბოსტონ სელტიქსის" წევრი **მიკაელ პიეტრუსი**, რომელიც რეზერვისტთა სიაშია შეყვანილი.

საფრანგეთის ნაკრების წინასწარი განაცხადი ასე გამოიყურება:

**მცველები** – ენდრიუ ალბისი ("გრაველენი"), როდრიგ ბობუა ("დალასი", NBA), ტონი პარკერი ("სან ანტონიო", NBA), სტიდ შიკამბუ ("შალონი"), იანიკ ბოკოლო ("გრაველენი"), ფაბიენ კაზერი ("შოლე"), ნანდო დე კოლო ("ვალენსია");

**ფორვარდები** – ნიკოლა ბატუმი ("პორტლენდი", NBA), იაკუბა დიავარა ("ვარეზე", იტალია), მიკაელ ჟელაბალე ("ხიმკი", რუსეთი), შარლ კაუდი ("დე მანი"), ბორის დიაო ("სან ანტონიო", NBA), ფლორან პიეტრუსი ("ვალენსია", ესპანეთი);

**ცენტრები** – ხოაკიმ ნოა ("ჩიკაგო", NBA), იან მაინმი ("დალასი", NBA), რონი ტურიაფი ("მაიამი", NBA), ალი ტრაორე ("ლოკომოტივ-ყუბანი", რუსეთი), კევინ სერაფინი ("ვაშინგტონი", NBA).

პიეტრუსის გარდა, სარეზერვო სიაში მოხვდნენ მცველები **ევან ფურნიე** ("პუატიე"), **ტომას ერტელი** ("კახა ლაბორალი", ესპანეთი) და **ერვინ ჯექსონი** ("ვილერბანი"), ფორვარდი **კიმ ტილი** ("ვილერბანი") და ცენტრი **ალექსის აჟინკა** ("სტრასბური").

■ ■ ■

"მაიამი ჰიტის" ერთ-ერთი ლიდერი **დუეინ უეიდი**, რომელმაც ამ სეზონის მსვლელობისას რამდენიმე უსიამოვნო ტრავმა გადაიტანა, დარწმუნებული არ არის, რომ 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

*"უნდა დავაკვირდე, როგორ ვიგრძნობ თავს პლეი ოფის შემდეგ. საქმე ჯანმრთელობას ეხება. ვფიქრობ, ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რომ ზაფხულს ჯანმრთელი შევხვდე",* - ამბობს უეიდი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე.

■ ■ ■

ლეგენდარული კანადელი კალათბურთელი, "ფინიქს სანზის" 38 წლის გამთამაშებელი **სტივ ნეში** კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერის პოსტზე დაინიშნა, - იტყობინება სააგენტო AP.

ამ გუნდმა შარშან, სექტემბერში ვერ შეძლო ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება და მას შემდეგ კანადელები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩნენ.

ნეშის თანაშემწედ **როუენ ბარეტი** დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ კანადის ნაკრებს 2000 წლის შემდეგ არ მიუღია მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში.

## დანაკლისი ოთხთა ფინალის წინ

საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" ცენტრი **ლაზაროს პაპანდოპულოსი** მონაწილეობას ვერ მიიღებს ევროლიგის "ოთხთა ფინალში", რომელიც 11-13 მაისს სტამბოლში გაიმართება. საბერძნეთის ნაკრების კალათბურთელმა მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა ბოლო რამდენიმე ვარჯიში, მისი ადგილი კი **ანდრის გლინიადაკისმა** დაიკავა.

"ოთხთა ფინალის" ნახევარფინალში "ოლიმპიაკოსი" "ბარსელონას" შეხვდება.

## კობის ნიღაბი ძვირია

აშშ-ში გამართულ აუქციონზე 67 ათას დოლარად გაიყიდა "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერის **კობი ბრაიანტის** დამცავი ნიღაბი. საბოლოო ფასი საწყისზე 129-ჯერ მაღალი აღმოჩნდა.

კობის ეს ნიღაბი "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემდეგ დაუმზადეს, რადგან მცველმა "ოლ სტარზე" ცხვირი გაიტეხა.

აუქციონიდან შემოსულ თანხას უსახლკაროების დასახმარებად გამოიყენებენ.

## ჰოვარდს გაცვლას უპირებენ

ამერიკულ პრესაში ისევ გაჩნდა ინფორმაცია "ორლანდო მეჯიქის" ცენტრის **დუაიტ ჰოვარდის** სავარაუდო ტრეიდის შესახებ.

კლუბის პრეზიდენტმა **ალექს მარტინსმა** განაცხადა, რომ ამ ზაფხულს კლუბის მთავარი მიზანი "სუპერმენთან" კონტრაქტის გახანგრძლივება იქნება. ხოლო თუ "მეჯიქის" ლიდერი არ მოისურვებს თავის ამჟამინდელ კლუბთან თანამშრომლობას, მას სხვა კლუბში გაცვლიან, რადგან მომავალი სეზონის შემდეგ, ჰოვარდი თავისუფალი აგენტი გახდება.

დუაიტმა წლევანდელ რეგულარულში 54 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 20.6 ქულა, 14.5 მოხსნა და 2.2 დაფარება დააგროვა.

## კროუფორდზე დიდი მოთხოვნაა

ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება "პორტლენდის" მცველი **ჯამალ კროუფორდი**. როგორც ადრე ვწერდით, მან უარი თქვა "ბლეიზერსთან" კონტრაქტის მეორე წელზე და შესაბამისად, მალე თავისუფალი აგენტების ბაზარზე გავა.

უკვე გამოჩდნენ პირველი პრეტენდენტები კროუფორდის ხელში ჩასაგდებად. როგორც ამერიკული პრესა წერს, კალათბურთელისთვის ბრძოლას აპირებენ "მინესოტა", "ბრუკლინი" (ყოფილი "ნიუ ჯერსი") და "ფინიქსი".

ამ სეზონის 60 მატჩში 32 წლის კროუფორდის საშუალო სტატისტიკა 13.9 ქულას, 2.0 მოხსნასა და 3.2 შედეგიან პასს უდრიდა.

# წინ მხოლოდ ინდიანა წავიდა

გასულ სათამაშო დღეს ერთბაშად ოთხი სერიის ბედი შეიძლებოდა გარკვეულიყო, რადგან თითოეულ წყვილში ერთ რომელიმე გუნდს ერთი გამარჯვება აკლდა მეოთხედფინალში გასასვლელად, მაგრამ წარმატებას მხოლოდ "ინდიანამ" მიაღწია. როგორც აღმოჩნდა, **დუაიტ ჰოვარდის** გარეშე დარჩენილი "ორლანდოს" დამარცხება რთული საქმე არ ყოფილა.

რა თქმა უნდა, "მეჯიქი" ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, უფრო მეტიც, ბოლო მეოთხედის წინ სტუმრები მცირე სხვაობით იგებდნენ – 71:69. წინ გასვლა მათ **ნელსონის** წყალობით შეძლეს, რომელმაც ხუთ წუთში სამი შორეული ტყორცნის შესრულება მოახერხა.

თუმცა **ვან განდის** შეგირდების სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა. გუნდმა კვლავ ჩააგდო ერთი მეოთხედი – ამჯერად, მეოთხე, რომელშიც **კოლისონმა** გაიბრწყინა. რეზერვისტის 15 (!) ქულა გამარჯვებისთვის კარგი საფუძველი გახდა, მით უმეტეს, რომ მცველს პარტნიორებმაც აუბეს მხარი. სირენამდე ხუთი წუთით ადრე მასპინძლების უპირატესობა ორნიშნა გახდა. იმ მომენტში მატჩის საბოლოო შედეგში ეჭვი აღარავის ეპარებოდა.

ინდიანაპოლისურმა კლუბმა 2005 წლის შემდეგ პირველად გააღწია პლეი ოფის მეორე რაუნდში.

**ინდიანა-ორლანდო 105:87**

**28:19, 22:28, 19:24, 36:16**

**ი:** გრეინჯერი (25+3 პასი), კოლისონი (19+6 პასი+3 ჩაჭრა), ჰილი (15+6 მოხსნა), უესტი (12+8 მოხსნა+2 დაფარება), ჰიბერტი (11+7 მოხსნა+2 დაფარება), ჯორჯი (8+6 მოხსნა), ბარბოზა (7+6 მოხსნა+3 პასი), ამუნდსონი (6), ჰენსბრო (2).

**ო:** ნელსონი (27+5 პასი), დევისი (15+8 მოხსნა+2 დაფარება), ანდერსონი (14), რედიკი (12), რიჩარდსონი (8), თურქოგლუ (7+5 მოხსნა), კლარკი (2+5 მოხსნა), რიჩარდსონი (2), დუჰონი (0+3 პასი+3 ჩაჭრა).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (52.4/42.1), სამქულიანები (52.9/36.7), საჯარიმოები (71.4/63.2).

**სერია:** 4-1

■ ■ ■

სულ მცირედი დააკლდა "ბოსტონს" იმისთვის, რომ "ინდიანას" შეერთებოდა და მეოთხედფინალის საგზური მოეპოვებინა.

მატჩის ბოლო წუთებს გუნდები თანაბრად შეხვდნენ. როგორც კი რომელიმე გუნდი წინ გაიჭრებოდა, მეტოქე მაშინვე ახერხებდა დაწევას. მაგალითად, სირენამდე ოთხი წუთით ადრე, **ჯონსონის** ტყორცნის შემდეგ მასპინძლების უპირატესობა 7 ქულამდე გაიზარდა. ჩამორჩენის გასაბათილებლად **დოკ რივერსს** ერთი ტაიმ-აუტი დასჭირდა. მწვრთნელის დარიგებების შემდეგ, სტუმრებმა 7:0 გაქცევა მოაწყვეს, მაგრამ ფინიშამდე წუთით ადრე ისევ მდევრის როლში აღმოჩდნენ. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დარჩენილ დროში "ატლანტას" ქულა არ დაუგროვებია, ხოლო **პირსმა** სამქულიანი ჩააგდო, "კელტებმა" გამარჯვების საკმაოდ კარგი შანსი მიიღეს.

სირენამდე ათი წამი რჩებოდა, როცა გვერდითი ხაზიდან ბურთი **ჯოშ სმიტმა** შეიტანა, მაგრამ ეს ძალიან ცუდად გააკეთა – პასი **რაჟონ რონდომ** ჩაჭრა. "სელტიქსს" ტაიმ-აუტი დარჩენილი აღარ ჰქონდა, ამიტომაც მცველი სწრაფად წავიდა წინ, მაგრამ ჯერ კინაღამ დაკარგა ბურთი, შემდეგ კი **გარნეტს** ვერ გაუკეთა პასი, რითაც წყალში ჩაყარა ამ მატჩში თავისი ბრწყინვალე გამოსვლა. ცნობისთვის, ბოლო შეტევაში რაჟონს **ჰორფორდი** უპირისპირდებოდა. ამ ცენტრმა დაბრუნების შემდეგ მხოლოდ მეორე მატჩი ჩაატარა და უკვე გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები – ელი შეხვედრის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა.

**ატლანტა-ბოსტონი 87:86**

**15:21, 25:19, 26:24, 21:22**

**ა:** ჰორფორდი (19+11 მოხსნა+3 დაფარება+3 პასი+3 ჩაჭრა), ტიგი (16+5 პასი+2 დაფარება), ჯონსონი (15+4 პასი), უილიამსი (15), სმიტი (13+16 მოხსნა+6 პასი), ჰაინრიხი (7), დამპიე (2).

**ბ:** პირსი (16+6 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (16+7 მოხსნა), ალენი (15+4 პასი), ბასი (14+7 მოხსნა), რონდო (13+12 პასი+5 ჩაჭრა+5 მოხსნა), ჰოლინზი (5), დულინგი (3), ბრელდი (2), პიეტრუსი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (46.6/44.2), სამქულიანები (43.8/42.9), საჯარიმოები (85.7/80).

**სერია:** 2-3

■ ■ ■

"ფილადელფია" სამართლიანად იმსახურებდა ამ მატჩში დამარცხებას, თუნდაც იმიტომ, რომ პირველ ტაიმში დაგროვილი 26 ქულით საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა. იმიტომაც, რომ თამაშიდან 32 პროცენტის სიზუსტით ესროლა. და კიდევ, **იგუოდალამ** და **ჰოლიდეიმ** 36 ცდიდან მხოლოდ ცხრაჯერ ისროლეს ზუსტად, სასტარტო ხუთეულის კიდევ ორმა წევრმა – **ბრენდმა** და **ტერნერმა** ერთად ათი ქულაც კი ვერ მოაგროვეს.

რა თქმა უნდა, შეტევაში პრობლემები "ჩიკაგოსაც" ჰქონდა, მაგრამ ნაკლებად კრიტიკული. **ლუოლ დენგმა** დაამტკიცა, რომ ის წელს შემთხვევით არ აუყვანიათ "ყველა ვარსკვლავის მატჩზე". მან ხუთიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო და ორი ნაბიჯი დააკლდა ორმაგ დუბლამდე. ასევე კარგი მატჩი ჩაატარა **კარლოს ბუზერმა**, რომელმაც ექვსი შედეგიანი პასით პლეი ოფში პირადი რეკორდი გაიმეორა.

**ჩიკაგო-ფილადელფია 77:69**

**17:16, 18:10, 22:22, 20:21**

**ჩ:** დენგი (24+8 მოხსნა+2 დაფარება), ბუზერი (19+13 მოხსნა+6 პასი), გიბსონი (8+7 მოხსნა+4 დაფარება), ბრიუერი (6+8 მოხსნა+3 პასი+3 ჩაჭრა), ჰემილტონი (6), უოტსონი (5+7 პასი), ლუკასი (5), აშიქი (4+6 მოხსნა+3 დაფარება).

**ფ:** ჰოლიდეი (16+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა+2 დაფარება), უილიამსი (13+3 პასი), ჰეისი (11+14 მოხსნა+3 პასი+2 დაფარება), იგუოდალა (11+3 ჩაჭრა), ალენი (9+6 მოხსნა+2 დაფარება), ბრენდი (5+7 მოხსნა+3 დაფარება), ტერნერი (4+8 მოხსნა).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (41.5/32.1), სამქულიანები (50/18.2), საჯარიმოები (36.4/70.8).

**სერია:** 2-3

■ ■ ■

"დენვერმა" ვერ შეძლო **კობი ბრაიანტის** შეჩერება, რომელმაც გუშინ 43 ქულა ჩააგდო, სამაგიეროდ, "ნაგეტსის" რიგებში აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელმაც **ბინუმისა** და **გასოლის** წყვილის დაჩაგვრა მოახერხა და სტუმრების მოულოდნელი გამარჯვებაც ამის წყალობით შედგა. ეს კალათბურთელია "დენვერის" ცენტრი **ჯავალ მაკგი**.

სირენამდე ოთხი წუთით ადრე სტუმრები კომფორტულად (11 ქულის სხვაობით) იგებდნენ, მაგრამ ცნობილია, რომ "ლეიკერსის" წინააღმდეგ მოდუნება ლუპვის ტოლფასია. კობის მიერ წუთ-ნახევარში ჩაგდებული ზედიზედ სამი სამქულიანის შემდეგ, "დენვერის" უპირატესობა ორ ქულამდე დავიდა. ამის შემდეგ **ჯორჯ კარლის** შეგირდებმა არაერთი საჩუქარი უძღვნეს მეტოქეს: **ლოუსონმა** და **ჰარინგტონმა** საჯარიმოები ააცილეს, **მილერმა** თამაშიდან ვერ ჩააგდო... მაგრამ კალიფორნიელებმა ბოძებული შანსი ვერ გამოიყენეს. ბრაიანტს მნიშვნელოვან მომენტში ხელი აუკანკალდა – მან სამჯერ ააცილა ბურთი, მათ შორის სირენამდე ხუთი წამით ადრე.

მატჩის შემდეგ გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ "ლეიკერსის" დამრიგებელმა **მაიკ ბრაუნმა** შეგნებულად დათმო მატჩი, რათა დისკვალიფიცირებულ **მეტა უორლდ პისს** რაც შეიძლება ნაკლები შეხვედრა გამოეტოვებინა "ოკლაჰომასთან" მომდევნო რაუნდში. ეს კალათბურთელი "ლეიკერსს" **დურანტისა** და **უესტბრუკის** გასანეიტრალებლად სჭირდება.

**ლეიკერსი-დენვერი 99:102**

**23:26, 20:23, 22:27, 34:26**

**ლ:** ბრაიანტი (43+6 მოხსნა+5 პასი), ბინუმი (16+11 მოხსნა), ბარნსი (11), გასოლი (9+10 მოხსნა+3 დაფარება), სეშენსი (9+6 პასი+6 მოხსნა), ბლეიკი (8+6 მოხსნა+4 პასი), იბენქსი (3), ჰილი (0+5 მოხსნა).

**დ:** მილერი (24+8 პასი), მაკგი (21+14 მოხსნა+2 დაფარება), აფლალო (19+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), გალინარი (14+5 მოხსნა), ფარიდი (10+9 მოხსნა), ლოუსონი (9+8 პასი), ჰარინგტონი (3+5 მოხსნა), ბრიუერი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (41.5/32.1), სამქულიანები (50/18.2), საჯარიმოები (36.4/70.8).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (38.9/45.9), სამქულიანები (37.5/15.8), საჯარიმოები (76.9/77.8).

**სერია:** 3-2

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ინდიანა-ორლანდო

ჩოგბურთი. მადრიდის მასტერსი

# მოქმედი ჩემპიონის გარეშე


რაფაელ ნადალი

მადრიდის უმაღლესი კატეგორიის ტურნირი თანდათან გადამწყვეტ ფაზაში შედის. გუშინ იქ ქალებმა მეოთხედფინალისტების გამოვლენა დაიწყეს.

რთული მატჩი ჩაატარა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ვიქტორია აზარენკამ**. მეორე წრეში მისი მეტოქე **ანდრეა ჰლავაჩკოვა** იყო, რომელიც **ლუსი ჰრადეცკასთან** ერთად წყვილებში როლან გაროსის მოქმედი ჩემპიონი გახლავთ, ერთეულთა რეიტინგში კი 117-ე ადგილს იკავებს. თუმცა მან სერიოზული ბრძოლა გაუმართა ბელარუს ჩოგბურთელს.

ვიქტორიამ პირველი სეტი მეექვსე გეიმში ალებული ერთადერთი ბრეიკის წყალობით მოიგო. მეორე პარტიაში კიდევ უფრო დაძაბული ბრძოლა იყო. მესამე გეიმში აზარენკამ ხუთი ბრეიკი მიილო, მაგრამ ჩეხი რისკავდა და მიზანში არტყამდა. მეხუთე გეიმში მხოლოდ მესამე ცდაზე გააკეთა აზარენკამ ბრეიკი და 3:2 დაწინაურდა. თითქოს ყველაფერი მსოფლიოს პირველი ჩოგანის გამარჯვებისკენ მიდიოდა, მაგრამ მე-10 გეიმში ვიქტორიას საკუთარ გეიმში ჩავარდნა დაეწყო – მან სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ჩეხს ბრეიკის საშუალება მისცა. 6:5-ზე ჰლავაჩკოვას სეტბოლიც კი ჰქონდა, მაგრამ აზარენკამ არ მისცა მისი გამოყენების საშუალება. ტაი-ბრეიკზე ბელარუსს თავის უპირატესობაში ეჭვის შეტანის საშუალება არ მიუცია - 7:2.

გუშინ კი აზარენკამ მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ამჯერად მას უფრო რთული მეტოქე ჰყავდა – სერბი **ანა ივანოვიჩი**. ამჯერადაც ბელარუსს ტაი-ბრეიკამდე საქმე არ მიუყვანია და ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით მოიგო – 6:4. ორივე პარტიის სცენარი ერთნაირი იყო – ვიქტორია ორ ბრეიკს ილებდა, რასაც ანა ერთი ბრეიკით პასუხობდა. ბელარუსის მთავარი ნაკლი მოწოდება იყო – მან შვიდი ორმაგი შეცდომა დაუშვა. მეოთხედფინალში მისი მეტოქე ჩინელი **ნა ლი** იქნება.

ბოლო ორი დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან მთავარია მოქმედი ჩემპიონის, ჩეხი **პეტრა კვიტოვას** გავარდნა. 22 წლის ჩეხი თანამემამულე **ლუსი ჰრადეცკას** ხვდებოდა, რომელიც მხოლოდ 106-ე ადგილზეა რეიტინგში. კლასიფიკაციაში დიდი სხვაობის მიუხედავად (კვიტოვა მეოთხეა), ჰრადეცკამ ორ სეტში გაიმარჯვა – 6:4, 6:3.

კვიტოვამ ძალიან ბევრი – ხუთი ბრეიკის საშუალება მისცა მეტოქეს, რასაც მხოლოდ ორი ბრეიკით უპასუხა. პეტრას რვა ორმაგი შეცდომა ჰქონდა და ამანაც განაპირობა მისი კრახი.

■ ■ ■

მამაკაცთა ტურნირში მეორე წრიდან ჩაებნენ ბრძოლაში ფავორიტები. თითქოს ძალიან იოლი მეტოქე შეხვდა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** – ესპანელი **დანიელ ხიმენო-ტრავერო**. მან წელს ხუთი მატჩი ჩაატარა ATP-ის ტურნირებზე და ხუთივეში მარცხი განიცადა. მაგრამ ისიც არ უნდა დაგვევიწყებინა, რომ შარშან, სწორედ მადრიდის მასტერსზე ხიმენო-ტრავერომ დაამარცხა **რიშარ გასკე, იურგენ მელცერი** და მხოლოდ გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკი დათმო **მიკაელ ლოდრასთან**. წელს, ესპანელმა ჯერ კვალიფიკაცია გაიარა, შემდეგ კი პირველ წრეში **ვიქტორ ჰანესკუს** აჯობა.

პირველი სეტის მიხედვით არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ამ მატჩში დიდი ბრძოლა იქნებოდა. ნოვაკმა ძალიან დამაჯერებლად მოიგო – 6:2. მეორე სეტში სერბი მისთვის უჩვეულოდ ბევრს ცდებოდა და დანიელმა ეს შანსი კარგად გამოიყენა – პარტია მანაც 6:2 მოიგო. მესამე სეტში ჯოკოვიჩმა უკლო შეცდომებს და შედეგმაც არ დააყოვნა. პირველი პრობლემა მოწოდებაზე ხიმენო-ტრავეროს მეხუთე გეიმში გაუჩნდა. მან ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია აქტიური მოქმედების წყალობით, მაგრამ შემდეგ შეცდა და ჯოკოვიჩს წინ გასვლის საშუალება მისცა. და ნოვაკმა თავისი უპირატესობა ხელიდან არ გაუშვა – 6:3. შემდეგ ეტაპზე პირველი ნომერი შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას** შეხვდება.

ძალიან დამაჯერებელი სტარტი აიღო ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, რომელიც ერთ დროს ძლიერ რუსს **ნიკოლაი დავიდენკოს** ხვდებოდა. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მხოლოდ ოთხი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის – 6:2, 6:2.

თითო პარტიაში ნადალმა ორი ბრეიკი აიღო, თავად კი ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა დავიდენკოს. რაფას ანგარიშზე ექვსი ეისი მოდის, ამასთან, მასპინძელს არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია.


პეტრა კვიტოვა

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

### H ჯგუფი

**ბელარუსი–ყაზახეთი 3:2**

0:1, 3:1, 0:0

გოლები: 0:1 კრასნოლობოდცევი-2, 0:2 კრასნოლობოდცევი-3 (დუდარევი-3 ერემეევი-1), 1:2 კოლცოვი-2, 2:2 გრაბოვსკი-1 (გრაბორენკო-1), 3:2 კოვირშინი-1 (გორომკო-1).

**ფინეთი–შვეიცარია 5:2**

1:0, 2:2, 2:0

გოლები: 1:0 იმონენი-1 (ნისკალა-1, სალმელა-1), 1:1 ამბული-1 (სბისა-1), 2:1 კომაროვი-1 (იარვინენი-1, იოენსუუ-1), 3:1 იმონენი-2 (პესონენი-1, გრანლუნდი-3), 3:2 ვიკი-1 (მტრაიტი-2), 4:2 ფილპულა-1 (ი. იოკინენი-1, პიეტანენი-1), 5:2 ფილპულა-2 (ვაანანენი-1, ი. იოკინენი-2).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 2. კანადა | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 14-9 | 7 |
| 3. შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 10-8 | 6 |
| 4. აშშ | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 14-10 | 5 |
| 5. სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 6-6 | 3 |
| 6. ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 7. საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 10-17 | 3 |
| 8. ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 6-14 | 0 |

### S ჯგუფი

**ლატვია–იტალია 5:0**

1:0, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 კენინსი-1 (ბერძინსი-1), 2:0 მეია-1 (კენინსი-1, ბარტულისი-2), 3:0 ბარტულისი-1 (ციპულისი-1), 4:0 ინდრასისი-3 (სპრუკტსი-4, გალეინსი-3)6 5:0 რედლიჰსი-1 (ინდრასისი-2).

**რუსეთი–გერმანია 2:0**

1:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ჟერდიოვი-1 (მედვედევი-2, მალკინი-4), 2:0 ტერეშენკო1 (შიროკოვი-1, ჟერდიოვი-1).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 13-6 | 9 |
| 2. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 11-4 | 9 |
| 3. ლატვია | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 10-7 | 6 |
| 4. ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 7-7 | 5 |
| 5. გერმანია | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 6. იტალია | 3 | 0 | 1 | 0 | 2 | 4-11 | 2 |
| 7. დანია | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 7-12 | 1 |
| 8. ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 6-11 | 1 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

**10 მაისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVII ტურის მიმოხილვა.
11:00 ევროპის ლიგა. ფინალი. ატლეტიკო-ბილბაო.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVII ტური. ლივერპული-ჩელსი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. დორტმუნდი-ფრაიბურგი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVII ტური. გრანადა-რეალი.
21:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ნიიმეგენი-ვიტესი. I მატჩი (LIVE).
23:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ვაალვიკი-ტვენტე. I მატჩი (LIVE).
01:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგის პლეი ოფი. ჰერტა-ფორტუნა. I მატჩი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-კატანია.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მემფისი-კლიპერსი. V მატჩი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სუონსი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
18:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. ატლეტიკო-ბილბაო.
22:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგის პლეი ოფი. ჰერტა-ფორტუნა. I მატჩი (LIVE).
00:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მემფისი-კლიპერსი. V მატჩი.
06:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დენვერი-ლეიკერსი. VI მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II წრე. მადრიდი. ესპანეთი.
12:00 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-პარმა.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III წრე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**I არხი**

21:20 ფეხბურთი. ევრო 2012 (UNDER 17). ფინალური ტურნირი. საქართველო-ისლანდია (LIVE).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევროპალიგა — ფინალი**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-ბილბაო | 3:0 |

**ინგლისი — ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-ბლეკპული | 2:2 |

**შოტლანდია — I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დამბარტონი-არბროა | 2:1 |
| ეირდრი-ეირი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ელჯინი-ალბიონი | 1:0 |
| სტრანრარი-ქუინზ პარკი | 3:1 |

**ნორვეგიის თასი — II დივიზიონი**

| | | |
|---|---|---|
| კვიკი-ფრედრიკსტადი | 2:2 პენ. | 5:3 |
| სკეიდი-ვოლერენგა | | 0:3 |
| ასკერი-ბორუმი | | 5:3 |
| ლორენსკოგი-კონგსვინგერი | | 1:2 |
| ოტერსტადი-ლილესტრიომი | | 0:2 |
| ჰამ კამი-ვალდრესი | | 5:1 |
| ნიბერგსუნდი-ჰიონეფოსი | | 1:4 |
| რაუფოსი-სტრომენი | | 2:0 |
| გიოვიკი-სტრომსგოდსეტი | | 0:2 |
| ნოტოდენი-კიელსასი | | 4:3 |
| პორს გრენლანდი-სანდეფიორდი | | 0:2 |
| არენდალი-ოდ გრენლანდი | | 0:5 |
| ეგერსუნდი-ვიდარი | 3:3 პენ. | 8:7 |
| სტარტი-ვარდ ჰაუგესუნდი | | 5:0 |
| სტაალი-ჰაუგესუნდი | | 1:5 |
| ალგარდი-ნესტ სოტრა | | 0:2 |
| ფანა-სტაბეკი | 1:1 დ.დ. | 1:4 |
| არნა-ჰიოდი | | 0:1 |
| ასანე-ბრინი | | 1:0 |
| ტრეფი-ულ/კისა | | 0:1 |
| ნარდო-ბოდო გლიმტი | | 0:1 |
| სტიორდალსი-ტრომსიო | | 1:2 |
| ვერდალი-მიოლდე | 0:0 დ.დ. | 0:2 |
| ჰარსტადი-რუსენბორგი | | 0:7 |
| ტრომსდალენი-მიოლნერი | 1:1 დ.დ. | 3:2 |

**ფინეთის თასი — 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰიკ-კოტეპე | 3:0 |
| ჰონკა-ვაასა | 2:0 |
| კუოპიო-მარიეჰამნი | 3:0 |

**საბერძნეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ირაკლისი (პ)-პანახაიკი | 1:3 |
| ფოკიკოსი-პანსერაიკოსი | 1:0 |
| ანაგენისი (ე)-კალონისი | 1:4 |
| აგროტიკოსი-ვიცასი | 1:2 |
| ტრასივულოსი-ვერია | 1:0 |
| კალითეა-პიერიკოსი | 0:0 |
| ლარისა-პანთრაკიკოსი | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლოვაცკო-ვიქტორია | 2:1 |
| ჰრადეცი-სიგმა | 1:2 |
| პლზენი-პრშიბრამი | 5:0 |
| ბანიკი-სლავია | 3:0 |
| ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | 1:0 |
| იაბლონეცი-ლიბერეცი | 0:2 |
| დუკლა-სპარტა | 1:1 |
| ბოჰემიანსი 1905-ტეპლიცე | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მოსტი-ბოჰემიანსი | 1:0 |
| კარვინა-სეზიმოვო | 1:1 |
| ზლინი-ბრნო | 0:0 |
| სპარტა II-ჩასლავი | 3:0 |
| სლოვანი-უსტი | 2:0 |
| ვლაშიმი-ზნოიმო | 1:1 |
| იჰლავა-სოკოლოვი | 1:1 |
| ოპავა-ტრშინეცი | 0:0 |

**ხორვატიის თასი — ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| დინამო-ოსიეკი | 3:1 |

**რუსეთის თასი — ფინალი**

| | |
|---|---|
| დინამო-რუბინი | 0:1 |

**ბოსნია**

| | |
|---|---|
| სლობოდა-სელიკი | 1:0 |
| ბორაცი-გოსკი | 6:0 |
| ჟვიეზდა-ველეჟი | 2:0 |
| ოლიმპიკი-სარაევო | 1:0 |
| ტრავნიკი-ლეოტარი | 2:0 |
| რუდარი-შიროკი ბრიეგი | 1:1 |
| ჟელეზნიჩარი-სლავია | 3:1 |
| ჟრინსკი-პოჟარა | 2:3 |

**ჩერნოგორია**

| | |
|---|---|
| გრბალი-სუტიესკა | 0:4 |
| დეჩიჩი-ბერანე | 1:0 |
| მოგრენი-ლოვჩენი | 1:2 |
| ზეტა-რუდარი | 0:3 |
| პეტროვაცი-ბუდუჩნოსტი | 1:4 |
| მლადოსტი-ბოკელი | 2:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| დაჩია-ბრაშოვი | 0:1 |
| სპორტული-ოცელული | 0:2 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ი-ქ)-მაკაბი (ჰ) | 0:1 |
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (თ-ა) | 4:3 |

### კალათბურთი

**ბელგია**

| | |
|---|---|
| მონსი-ლევენი | 83:69 |
| აალსტი-გენტი | 75:70 |
| ოსდენტე-ანტვერპენი | 65:55 |
| პეპინსტერი-ლიეჟი | 71:84 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-პანიონიოსი | 71:68 |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| ცრვენა ზვეზდა-რადნიჩკი | 85:71 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლევსკი-იამბოლი | 103:95 |
| აკადემიკი-ჩერნო მორე | 89:57 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვიურცბურგი-ალბა | 79:66 |
| ტელეკომ ბონი-ბამბერგი | 53:67 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| უნივერსიტეტი-ლიეპაიასი | 63:94 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| შიაულიაი-რუდუპისი | 81:61 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| სოპოტი-ტუროვი | 77:71 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| პინარი-ეფესი | 73:84 |
| ფენერბაჰჩე-ბეშიქთაში | 74:77 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ნიმბურკი-კოლინი | 96:63 |

### ჰოკეი

**მს. ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-ყაზახეთი | 4:2 |
| ნორვეგია-იტალია | 6:2 |
| კანადა-შვეიცარია | 3:2 |
| შვედეთი-გერმანია | 5:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. მადრიდი**

| | |
|---|---|
| ვავრინკა-მელცერი | 6:1, 6:4 |
| მონფილსი-ანდრეევი | 6:3, 1:0 უარი |
| დოლგოპოლოვი-სეპი | 6:7, 7:6, 6:3 |
| ისნერი-ჩილიჩი | 6:7, 6:7 |
| ფერერი-შტეპანეკი | 7:6, 6:2 |
| გასკე-ტროიცკი | 7:5, 6:3 |
| ვერდასკო-ფალა | 6:7, 6:4, 6:4 |
| ნადალი-დავიდენკო | 6:2, 6:2 |
| ალმაგრო-გრანოლერსი | 6:3, 7:6 |
| ცონგა-ჰარისონი | 6:2, 7:6 |
| დელ პოტრო-იუჟნი | 6:4, 7:6 |
| ტიპსარევიჩი-დელბონისი | 7:6, 6:7, 6:3 |
| სიმონი-გარსია ლოპესი | 6:4, 6:3 |
| ფედერერი-რაონიჩი | 4:6, 7:5, 7:6 |

**WTA. მადრიდი**

| | |
|---|---|
| ა. რადვანსკა-ერანი | 6:0, 6:1 |
| ვიკმაიერი-ვინჩი | 1:6, 2:6 |
| კერბერი-ნა ლი | 5:7, 4:6 |
| კირილენკო-მაკაროვა | 4:6, 4:6 |
| სტოსური-ჩეტკოვსკა | 6:3, 6:2 |
| ჰრადეცკა-კვიტოვა | 6:4, 6:3 |
| აზარენკა-ივანოვიჩი | 6:4, 6:4 |

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 15 | 30 | (მზე) |
| ბათუმი | 16 | 23 | (მზე) |
| ფოთი | 16 | 25 | (მზე) |
| ზუგდიდი | 14 | 29 | (მზე) |
| გორი | 11 | 28 | (მზე) |
| თელავი | 11 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 5 | 18 | (მზე) |
| ბორჯომი | 10 | 25 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 8 | 24 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1175 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6260 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6245 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4550 |

## ამბები

ოლიმპიზმი

### 2004 წელს ისევ შეამოწმებენ

უახლოეს პერიოდში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დაიწყებს ხელოვნურად გაყინული დოპინგ-სინჯების განადგურებას, რომელიც 2004 წლის ოლიმპიადაზეა აღებული. მაგრამ მანამდე, ოლიმპიური ჩინოვნიკები ამ სინჯების კიდევ ერთხელ შემოწმებას აპირებენ. ოლიმპიურ კომიტეტში მიაჩნიათ, რომ ამ ანალიზებში შეიძლება აღმოაჩინონ ის აკრძალული პრეპარატები, რომელთა იდენტიფიცირება რვა წლის წინ შეუძლებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთხელ უკვე შეამოწმა 2006 წელს ტურინისა და 2008 წელს პეკინის თამაშებზე აღებული სინჯები.

### მადრიდი ბოლომდე იბრძოლებს

ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი არ აპირებს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლის შეწყვეტას. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ესპანელები ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიური სიტუაციის გამო უარს იტყოდნენ არჩევნებში მონაწილეობაზე, როგორც ეს ადრე იტალიის დედაქალაქმა რომმა გააკეთა.

შეგახსენებთ, რიგით 35-ე ოლიმპიური თამაშების მასპინძელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2013 წლის სექტემბერში აირჩევს. ესპანეთის დედაქალაქის გარდა, ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ – ტოკიო, დოჰა, ბაქო და სტამბოლი.

ფორმულა 1

### მერსედესი დარჩება

"მერსედესის" საჯინიბოს შეფმა **როს ბრაუნმა** უარყო ჭორი იმის თაობაზე, თითქოს მისი გუნდი ფორმულა 1-ის დატოვებას აპირებს.

*"კარგად არის ცნობილი, რომ საავტომობილო სპორტი ახალი ტექნოლოგიების გამოცდის კარგი პოლიგონია. ფორმულა 1 ავტოსპორტის მწვერვალია და უახლოეს წლებში ის ამ როლს არ დაკარგავს, ასე რომ, "მერსედესი" არ გეგმავს ამ სერიის დატოვებას"*, - ამბობს ბრაუნი.

ავტოსპორტი

### ალეზის ინდიზე ვნახავთ

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **ჟან ალეზი** მაინც მიიღებს მონაწილეობას ლეგენდარულ ამერიკულ რბოლაში – "ინდი 500"-ში. ფრანგი Fan Force United-ის გუნდის ბოლიდით გამოვა.

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ალეზი ცნობილი საჯინიბოს - Newman/Haas-ის ერთ-ერთი წევრი გახდებოდა, მაგრამ, ბოლო მომენტში, გუნდმა უარი თქვა რბოლაში მონაწილეობაზე და ჟანს სხვა ვარიანტის ძებნამ მოუწია. საბოლოოდ, ალეზი Fan Force United-მა შეიფარა.

მალე ფრანგი მონაწილეობას მიიღებს ტესტებში, რომელიც რბოლის დებიუტანტებისთვის ტარდება.

მოტოსპორტი

### როსიმ წასვლის ჭორი უარყო

მოტოგრანპრიში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **ვალენტინო როსი**, რომელიც ამჟამად "დუკატის" ღირსებას იცავს, გამოეხმაურა ბოლო დროს გავრცელებულ ჭორებს იმის შესახებ, თითქოს ის 2012 წლის სეზონის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს. ამ თემაზე სპეკულაცია მას შემდეგ დაიწყო, რაც როსიმ ღიად გააკრიტიკა "დუკატის" ახალი მოტოციკლი. *"მე არ შემიძლია ამ მოტოციკლით რბოლა..."* – განაცხადა კატარის გრანპრის შემდეგ ლეგენდარულმა იტალიელმა.

*"სეზონის დასრულების შემდეგ, არსად წასვლას არ ვაპირებ"*, - მოკლე კომენტარი გააკეთა როსიმ, რომლისთვისაც ამ სეზონში გამართულ ოთხ რბოლაში საუკეთესო შედეგი მეშვიდე ადგილი იყო.

ჰოკეი

### იაგრმა ჯერ არ იცის

"ფილადელფიისა" და მისი ჩეხი ვეტერანისთვის – **იარომირ იაგრისთვის** სეზონი დასრულდა. ლეგენდარულ ფორვარდს ამ ზაფხულს უმთავრდება კონტრაქტი და ყველას აინტერესებს, აპირებს თუ არა ის ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კარიერის გაგრძელებას.

*"ძალიან მომეწონა გასული ჩემპიონატი. შესაძლოა, ეს იყო ჩემს კარიერაში ყველაზე სასიამოვნო სეზონი. სტენლის თასი და სხვა ჯილდოები მომიგია, მაგრამ ეს წელი ძალიან მომეწონა.*

*სამწუხაროა, რომ სეზონი ნაადრევად დავასრულეთ. ახალი კონტრაქტის თაობაზე არაფრის თქმა არ შემიძლია. უბრალოდ არ ვიცი, რა იქნება შემდეგ"*, - განაცხადა იაგრმა.

40 წლის ფორვარდმა რეგულარული ჩემპიონატის 73 მატჩში 54 ქულა (19+35) დააგროვა.

ჩოგბურთი

### ვესნა სერბი გახდა

22 წლის რუსმა ჩოგბურთელმა **ვესნა დოლონცმა** სერბეთის მოქალაქეობა მიიღო და ამიერიდან ამ ქვეყნის სახელით იასპარეზებს. ასევე იტყობინებიან, რომ უახლოეს ხანში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია განიხილავს დოლონცის სერბეთის ნაკრებში თამაშს ფედერაციის თასზე.

აღსანიშნავია, რომ ჩოგბურთელის მამა – ეთნიკური სერბია, დედა – რუსი. დოლონცი ამჟამად 169-ე ადგილს იკავებს WTA-ის რეიტინგში.

კალათბურთი

### რედიკი ყველაზე სექსუალურია

საერთაშორისო ქალთა ჟურნალმა Cosmopolitan-მა გამოკითხვა ჩაატარა თავის მკითხველებს შორის და გამოავლინა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 30 ყველაზე სექსუალური კალათბურთელი.

პირველი ადგილი დაიკავა **ჯეი-ჯეი რედიკმა**. მეორეზე გავიდა **რაჟონ რონდო**, მესამეზე – **რიკი რუბიო**. **ბლეიკ გრიფინი** მეშვიდე პოზიციაზე აღმოჩნდა, **კარმელო ენტონი** – მერვეზე, **დერიკ როუზი** – მეჩვიდმეტეზე, **კევინ დურანტი** – მეცხრამეტეზე, **კობი ბრაიანტი** – ოცდამეხუთეზე, **დუეინ უეიდი** – ოცდამეშვიდეზე.

## დოლი



უეინ რუნი ჟოკეი რიჩარდ ლინგსკტოთან და მაიკ ოუენთან



პიპი (მარცხნიდან მესამე) დოლის დროს

# რუნის ცხენი არ დარბის

წარუმატებელი გამოდგა დოლში დებიუტი "მანჩესტერ იუნაიტედის" ლიდერისთვის- **უეინ რუნისთვის**. ფორვარდს ეკუთვნის ცხენი, სახელად "პიპი" (მასში ფეხბურთელმა 67 ათასი გადაიხადა), რომელიც ჩესტერის იპოდრომზე გამართულ დოლში ბოლო ადგილზე გავიდა. რუნის მსგავსად, ეს "პიპის" დებიუტიც გახლდათ.

სხვათა შორის, ამ დოლში "პიპის" ერთ-ერთი კონკურენტი იყო ცხენი, სახელად Dascombe, რომლის მფლობელი გახლავთ "მანჩესტერ იუნაიტედში" რუნის თანაგუნდელი **მაიკლ ოუენი**.

დოლის წინ "პიპის" კოეფიციენტი ცხრას უდრიდა. რუნიმ აღიარა, რომ "რამდენიმე ფუნტი" დადო თავისი ცხენის მოგებაზე, მაგრამ არ გაუმართლა.

## ყველაზე მდიდრები

# ბრიტანეთში პირველი, მსოფლიოში მეათე

ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემი** სათავეში ჩაუდგა ყველაზე მდიდარი ბრიტანელი სპორტსმენების სიას.

ამ დღეებში გაზეთმა "სანდი თაიმსმა" ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი სპორტსმენია "ლოს ანჯელეს გელაქსის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი. 37 წლის ფეხბურთელის ქონება 160 მილიონ ფუნტ სტერლინგად არის შეფასებული.

"სანდი თაიმსის" ტოპ-ასეულში 48 ფეხბურთელია, ხოლო ცურვის, ველოსპორტისა და მძლეოსნობის ბრიტანელი ვარსკვლავები იმდენად "ღარიბები" არიან, რომ ამ სიაში მათი ადგილი არ აღმოჩნდა.

მეორე ადგილი დაიკავა ყოფილმა მორაგბემ **პოლ კედიკმა**, რომელიც ამჟამად უძრავი ქონებისა და სამშენებლო კომპანიის მფლობელია, აგრეთვე რაგბის კლუბის – "ლიდს რაინოსის" პრეზიდენტი გახლავთ.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი სპორტსმენების სიაში ბექჰემი მეათე ადგილს იკავებს. აქ ლიდერი ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსია**, რომელიც 538 მილიონი ფუნტის პატრონი გახლავთ. მას მოჰყვებიან ავტომრბოლი **მიხაელ შუმახერი** და კალათბურთელი **მაიკლ ჯორდანი**. 55 მილიონი ფუნტით ქალებს შორის უკონკურენციოდაა რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**.



დევიდ ბექჰემი

## ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/4 ფინალი



შაიბა ბრიზგალოვის კარში

# მესამეც გაირკვა

სტენლის თასის გათამაშებაში გაირკვა მესამე ნახევარფინალისტი. "ლოს ანჯელესსა" და "ფინიქსს" მიბაძა "ნიუ ჯერსიმ" და მანაც ძალიან იოლად მოიგო თავისი სერია "ფილადელფიას" წინააღმდეგ.

"ფილადელფიას" შეტევით პოტენციალზე ცუდად იმოქმედა პლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირის – **კლოდ ჟირუს** დისკვალიფიკაციამ. მის გარეშე "მფრინავებს" შეტევაში ფანტაზია აკლდათ, თუმცა მასპინძლებმა 28 დარტყმა შეასრულეს, მაგრამ ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა **ბროდომ** 27 დარტყმა მოიგერია.

"ფილადელფიამ" ისევ პირველმა გაიტანა. მეორე მატჩიდან მოყოლებული, ამას ის ყოველ შეხვედრაში აკეთებდა – **დანი ბრიერმა** მეკარის საჯარიმოსკენ გაუშვა შაიბა და იქ **შენმა** და **ტელბოტმა** ერთობლივი მონდომებით "შეტენეს" ის კარში. ამ სამეულს პირველ პერიოდში კიდევ სამი-ოთხი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ გოლები "დევილზმა" გაიტანა და ორჯერვე შაიბა **ილია ბრიზგალოვის** სინდისზეა. პირველ შემთხვევაში მან ადრე მოახდინა რეაგირება **ბრაის სალვადორის** დარტყმაზე და შაიბა ზედა კუთხეში შევარდა. სალვადორმა, რომელსაც რეგულარულის 82 მატჩში არც ერთი გოლი არ ჰქონდა გატანილი, ამ სერიაში უკვე ორჯერ გამოიჩინა თავი.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი ბრიზგალოვი პასის შესრულებისას შეცდა, შაიბა **დევიდ კლარკსონის** ყვინჯს მოხვდა და კარში შევარდა.

მეორე პერიოდში მეტოქეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ძელს გარტყმული შაიბების რაოდენობით – არ გაუმართლათ **კოვალჩუკს, ელიაშსა** და ბრიერს. მეორე პერიოდში აშკარა იყო, რომ "ნიუ ჯერსიმ" ინიციატივა მოიპოვა და ეს ბოლო 20-წუთეულის წინ დარტყმების რაოდენობაში გამოიხატა: 23-18 "ეშმაკების" სასარგებლოდ.

მსგავსი სიტუაცია იყო ორი დღის წინ – "დევილზი" ორი პერიოდის შემდეგ ერთ შაიბას იგებდა და მესამეში მეტოქეს ერთი რეალური მომენტის შექმნის საშუალება არ მისცა. ახლა კიდევ უფრო მარტივად იყო საქმე – 45-ე წუთზე კოვალჩუკმა რიცხობრივ უპირატესობაში გაიტანა.

დარჩენილ დროში "ფილადელფიამ" შტურმის მოწყობა სცადა, მაგრამ მასპინძლების მცდელობა უფრო აგონიას ჰგავდა. "მფრინავებმა" ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრეს და შარშანდელი შედეგი გაიმეორეს – პლეი ოფის მეორე რაუნდში გამოვარდნენ, "ნიუ ჯერსი" კი 2003 წლის შემდეგ პირველად გავიდა კონფერენციის ფინალში.

გასარკვევი დარჩა ერთადერთი ნახევარფინალისტი – "რეინჯერსისა" და "ვაშინგტონის" სერიაში ანგარიშია 3:2 ნიუიორკული კლუბის სასარგებლოდ.

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 1:3**

**1:2, 0:0, 0:1**

**გოლები**: 1:0 ტელბოტი-4 (შენი-6, ბრიერი-5), 1:1 სალვადორი-2 (ჰენრიკი-4, კოვალჩუკი-7), 1:2 კლარკსონი-2, 1:3 კოვალჩუკი-5 (ჰენრიკი-5, ზუბრუსი-4).

**სერია**: 1-4

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია